ვერსია

ფასი 40 თეთრი

№5 (761) 18 - 20 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი

ოთხი სკანდალური ვერსია და „ცისის ჯალათის“ დაანონსებული გაუხმაურებელი კადრები

რაფომ აბრუნებენ საქართველოში ღადო ბედუკაძეს და ვინ აგორებს შავ პიარს ირმა ინაშვილის წინააღმდეგ ბაჩო ახალაიას „გადასარჩენად“?

გვ. 5

ქუთაისელების სამი მთავარი კითხვა ისევ უპასუხოდ დარჩა!

რაფომ არ ესწრებოდა პარლამენტის თბილისში გადაფანის საჯარო განხილვას ქუთაისის მაჟორიფარი გუბაზ სანიკიძე

გვ. 2

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი პოლიტიკური დევნის წინააღმდეგ!

როგორ შეთანხმდნენ „ოცნება“ და „ნაციონალები“ სხდომის ერთადერთ საკითხზე

გვ. 4

„ბოლო დროს, საკაშვილი ძალიან მოიწონს“

პრემიერის მრჩეველ აღექსანდრე რუსეცკის „მიკერძოებული“ პროგნოზები

გვ. 7

გვ. 3

ექსკლუზივი

ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები ახალ პოლიტიკურ ძალას შექმნიან!

„ზურაბ ჯაფარიძემ თავს მიხედოს... არ მესმის, თავი რატომ უნდა ვიმართლო!“

გია ხუხაშვილი „ვერსიას“ სარკინიგზო გადაზიდვების კორუფციულ სქემას უშიფრავს

გვ. 9

კობა ბუჩუკური დუმილს არღვევს

სოფელ ვაჭევის მოსახლეობა შველას ითხოვს!

ჭიათურის რაიონის მკვიდრებს ხეებზე გაჭიმული მაღალი ძაბვის ელექტროსადენები საფრთხეს უქმნის!

გვ. 12

მანუჩარ მაჩაიძე: „ქვეყანას ვადაგასული პრეზიდენტი არ სჭირდება! აქციებს დავიწყებთ!“

გვ. 8

ნიკა ვაჩეიშვილი თანამდებობიდან ბაგრატის ტაძრის სკანდალის გამო გაუშვეს

გვ. 2

სკანვორდი
სუდოკუ
კულტურა
ჰოროსკოპი
დაიჯესტი
სპორტი
facebook NEWS



ნიკა ვაჩეიშვილი თანამდებობიდან ბაგრატის ტაძრის სკანდალის გამო გაათავისუფლეს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამ ინფორმაციას არც თავად ვაჩეიშვილი ადასტურებს და არც — კულტურის სამინისტრო. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ნათია მურაჩაშვილის განმარტება კი ასეთია: **„ვერ დაგიდასტურებთ, ვინაიდან ოფიციალურ ინფორმაციას არ ვფლობ. დადასტურების საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში მექნება, თუ ჩემამდე მოვა ოფიციალურად ხელმოწერილი ბრძანება ვაჩეიშვილის გათავისუფლების თაობაზე. ჯერჯერობით, მეც მხოლოდ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ვეცნობი“.**

სამაგიეროდ, „ვერსიას“ ინფორმაციას სააგენტოს რამდენიმე თანამშრომელი უდასტურებს, რომლებიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებენ, მაგრამ ხელმძღვანელის მოხსნის მიზეზებზე საუბრობენ. როგორც ირკვევა, ნიკა ვაჩეიშვილი ბოლო დროს, ბაგრატის ტაძრის ირგვლივ აგორებულ სკანდალს შეეწირა. „ვერსიის“ წყაროს ცნობით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბაგრატის ტაძრის იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიიდან ამოღების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, კულტურის სამინისტროში იმაზე ფიქრობენ, „გაფუჭებული საქმის“ გამო, ხელი ვის შეაწმინდონ. შესაბამისად, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „მთავარი დამნაშავე“ იპოვეს ვაჩეიშვილის სახით.

„ჩემს გათავისუფლებაზე საუბარი არ ყოფილა. სამინისტროდან არავინ შემხმიანებია. კულტურის სამინისტროს კითხეთ, ეს მაგათი თემაა. მე ჩემი ნებით თანამდებობას არ დავტოვებ“, — განაცხადა ვაჩეიშვილმა და ისიც დასძინა, რომ „იუნესკოს“ წამყვანი ექსპერტები ბაგრატის ტაძრის რესტავრაციით აღფრთოვანებულები არიან. ვაჩეიშვილმა, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია კი უარყო, მაგრამ თქვა, „საქმე აქეთ მიდის“.

„ვერსიის“ წყაროს ცნობით, „საქმე აქეთ“ უკვე წასულია, მაგრამ სომხეთიდან კულტურის მინისტრის, გურამ ოდიშარიას დაბრუნებას ელოდებიან. მერე, ალბათ, მოაწყობენ საგანგებო პრესკონფერენციას და საზოგადოებას ამცნობენ, რომ ვაჩეიშვილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობას აღარ იკავებს.

სავარაუდოდ, ამ ინფორმაციის გახმოვანებისთანავე გახდება ცნობილი სააგენტოს ახალი ხელმძღვანელის ვინაობა. „ვერსიის“ ინფორმატორების ცნობით, ვაჩეიშვილის მემკვიდრეების სავარაუდო სია კულტურის სამინისტროს მაღალ ეშელონებში უკვე ცნობილია, „პრეტენდენტების“ ვინაობას კი იმიტომ არ ამხელენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მინისტრმა უნდა მიიღოს. ოდიშარია ვის ანდობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელის პოსტს, ამის პროგნოზირება სააგენტოში უჭირთ.

„ვერსიას“ იმის შესახებაც მიანოდეს ინფორმაცია, რომ კულტურის სამინისტროს თანამშრომლებს შორის აზრი ორადაა გაყოფილი. მოგეხსენებათ, ვაჩეიშვილი ერთი პერიოდი, მცირე დროით, კულტურის მინისტრიც გახლდათ. შესაბამისად, უწყებაში შემორჩენილია კადრები, ვინც მის მიმართ ანტიპათიითაა განწყობილი. ცხადია, ხელმძღვანელს, „განაწყენებული“ თანამშრომლები სააგენტოშიც ეყოლება. მიუხედავად ამისა, სააგენტოში ბევრი აღიარებს, რომ ნიკა ვაჩეიშვილი პროფესიონალია, საქმეს უმაღლეს დონეზე ასრულებდა და მსგავსი კადრის პოვნა, მათ, ვინც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი, ბაგრატის ტაძრის სკანდალს „ზვარაკად შესწირა“, ძალიან გაუჭირდებათ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ნიკოლოზ ვაჩეიშვილს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მფლობელია. 1990 წლიდან დღემდე, გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

რამდენიმე წელი თბილისის სასულიერო აკადემიისა და თსუ-ს ახალციხის ფილიალის პედაგოგიც იყო. 1990-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სარესტავრაციო ძეგლთა ექსპერტ-კონსულტანტად, 1997-1998 წლებში კი, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პროგრამის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. მომდევნო 2 წლის განმავლობაში ნიკა ვაჩეიშვილი მსოფლიო ბანკის, ევროსაბჭოსა და საქართველოს მთავრობის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის“ ექსპერტი იყო. 2002 წლიდან კი — საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ურბანული მემკვიდრეობის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი და „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი. 2003 წლიდან „ქართველ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის“ დირექტორატი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული „უცხოეთში ქართული ძეგლების“ კომისიის წევრი გახლდათ. მომდევნო წელს, გარკვეული პერიოდი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს, 2008 წლის იანვარ-ოქტომბერში კი, მინისტრის პორტფელიც ებარა. ნიკა ვაჩეიშვილი საგამომცემლო საქმიანობითაც იყო დაკავებული — 2000 წელს „საქართველოს მეგზურის“ ავტორი და გამომცემელი გახლდათ, მოგვიანებით კი, იყო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს სიძველენი“ გამომცემელ-რედაქტორი.

ნიკა ვაჩეიშვილი 1998 წლიდან დღემდე, არის საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს წევრი. დაარსებიდან ანუ 2008 წლიდან კი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ხელმძღვანელობდა.

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ქუთაისელების სამი მთავარი კითხვა ისევ უპასუხოდ დარჩა!

რაფომ არ ესწრებოდა პარლამენტის თბილისში გადატანის საჯარო განხილვას „ოცნების“ ქუთაისის მაჟორიტარი გუბაზ სანიკიძე

„საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავდა პარლამენტის ან სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს ადგილსამყოფელის განმსაზღვრელ ნორმას. ასევე, არ იყო განსაზღვრული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელი. საქართველოს კონსტიტუციაში 2009 წლის 24 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით, პარლამენტის ადგილსამყოფელად განისაზღვრა ქალაქები თბილისი და ქუთაისი, ხოლო 2011 წლის 1 ივლისს შეტანილი კიდევ ერთი ცვლილებით — ქალაქი ქუთაისი... ეს კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციიდან 48 ნორმის ამოღებას, რომლის თანახმად, პარლამენტის ადგილსამყოფელი ქუთაისია“, — კითხულობენ ქუთაისელები ზვიად ძიძიგურის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც სასტუმრო „ბაგრატის“ მისაღებ დარბაზში დეპუტატებმა საჯარო-საყოველთაო განხილვის წინ დაახვედრეს. როგორც ითქვა, ეს მცირე დარბაზი და არა თეატრის დიდი დარბაზი სპეციალურად აიღეს, განხილვაზე ცოტა ხალხი რომ მოსულიყო და, შესაბამისად, აზრიც ნაკლები გამოთქმულიყო, მაგრამ როგორ გინდა, ქუთაისელები დაარწმუნო, რომ მათი ქალაქი ხალხით დასახლებული არაა და, როგორც ეკა ბესელიას წამოსცდა, **„პარლამენტი თბილისში, ხალხთან ახლოს უნდა იყოს“...**

პარლამენტის დედაქალაქში გადატანის გარდა, დეპუტატები კიდევ ერთი კანონპროექტის, სააკაშვილისთვის მთავრობის დათხოვნისა და მის მიერ დანიშნული მთავრობით ხელახალი არჩევნების ჩატარების საჯარო განხილვასაც გეგმავდნენ, მაგრამ ეს თემა „ბაგრატის“ დარბაზში აქტუალური არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამეგრელოში, ზუგდიდში მიღებული ცუდი გამოცდილების შედეგად, მთელი ქუთაისი პატრულის თანამშრომლებით იყო სავსე. სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე კი მანქანებსაც არ უშვებდნენ და პოლიციის კორდონებს შორის მანძილი თითქმის აღარ იყო. მანამდე კი, „ნაციონალებს“ დაანონსებული ჰქონდათ, რაიმე უსიამოვნებას ადგილი ქუთაისშიც თუ ექნება, განხილვაში აღარ მივიღებთ მონაწილეობასო. გამოსვლები მართლაც, ექსცესების გარეშე დაიწყო, არც კვერცხები უსვრია ვინმეს, არც აკაკი ბობოხიძის დანახვა შეუცხადებიათ, ხალხის რისხვას მარიამ საჯაიაც გადაურჩა. აი, ქუთაისის მერყოფილი გიორგი თევდორაძე კი — ვერა. 3-საათიანი პროცესის განმავლობაში, ადგილიდან წამოძახილები, ძირითადად, სწორედ მას ეკუთვნოდა. განხილვის დასაწყისშივე, ზვიად ძიძიგურმა, როგორც კანონპროექტის ინიციატორმა, განაცხადა: **„სულ გზაში ვართ, ჩვენი დრო, ენერგია და ბიუჯეტის სახსრები წინ და უკან სიარულში მიდის, არ გვაქვს ფუფუნება, სულ გზაში ვიყოთ“** და დარბაზის უკანა რიგებიდან მშვენიერი პასუხიც მიიღო — იმის ფუფუნება ხომ გაქვთ, დანიშვნიდან ორ დღეში პრემიები რომ ჩამოირიგეთო. ძიძიგურს ვახტანგ ხმალაძის, მეორე კანონპროექტის ინიციატორის გამოსვლა მოჰყვა: „მწვავე პოლიტიკური კრიზისის საფრთხის წინაშე ვართ, 1 ოქტომბრამდე პრეზიდენტს პარლამენტის დამორჩილების ბევრი ბერკეტი ჰქონდა, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კი, ასე აღარ არის. ჩვენი სურვილი არ არის, პრეზიდენტის უზარმაზარი ძალაუფლება პრემიერის ხელში გადავიდეს“. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სანდრო ბარამიძემ კი, რომელიც ასევე, ერთ-ერთი მომხსენებელი იყო, კანონის რამდენიმე მუხლი ჩამოარაკრაკა. მოსაწყენი გამოსვლების შემდეგ, აკაკი ბობოხიძემ ტრადიციული ცეცხლი დაანთო და მისხალ-მისხალ გაშიფრა — ამ ცვლილებით, სააკაშვილს 12-დღიანი კრიზისის შექმნის ბერკეტს კი არ ართმევთ, საშუალებას აძლევთ, 3 თვეში ერთხელ გადაგაყენოთ, თუ პარლამენტი მთავრობას არ დაამტკიცებსო. აქვე, ბობოხიძემ ისიც დასძინა, ეს რა „იაღლიში“ მოგვივიდა, თითქმის არცერთი ქუთაისელი რომ არ დაგვისაქმებია ახალ პარლამენტში, მაგრამ აწი, პარლამენტის აპარატი სულ თქვენი იქნებაო: **„მთელი საქართველო თბილისშია თავმოყრილი და ქუთაისიდან პარლამენტის დედაქალაქში გადასატანად, ერთადერთი არგუმენტი, რაც მესმის ისაა, რომ პარლამენტი და მთავრობა ერთად უნდა იყვნენ. ჰოდა, პარლამენტი ირჩევს მთავრობას და არა პირიქით, ამიტომ ჩვენ კი არ უნდა გადავიდეთ დედაქალაქში, მთავრობა უნდა გადმოვიდეს ქუთაისში“,** — „კრეშჩენდოზე“ დაასრულა აკაკი ბობოხიძემ და, ძალაუნებურად, ყველასთვის ცხადი გახადა, რომ „ბაგრატის“ დარბაზის მეორე ნახევარი „ნაციონალების“ აქტივს ეკუთვნოდა, წინა რიგები კი „ოცნების“ მხარდამჭერებით იყო დაკომპლექტებული. ამის შემდეგ, განხილვის ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყო — ორ-ორწუთიანი რეგლამენტით, დარბაზის ორ სხვადასხვა ბოლოში, მოქალაქეების სიტყვით გამოსვლის ჯერი დადგა. განსაკუთრებით საინტერესო გამომსვლელთა მოსაზრებები კი ასე ჟღერდა:

ნინო შიუკაშვილი: „**რამდენიმე წელი რუსეთში ვცხოვრობდი. ორმაგი მოქალაქეობა მაქვს და ვიცი, რასაც ვამბობ — რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა და მას ნუ გავეჯიბრებით. პრეზიდენტს კი მინდა ვთხოვო, დაითხოვოს ეს მთავრობა და ახალი დანიშნოს. ნუ იქნება ეს, მაინცდამაინც, ძველი მთავრობა, ვინც უნდა, ის დანიშნოს, ოღონდ ესენი მოხსნას“!**

მონიკა, სტუდენტი: „**აღვნიშნავ იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობა, ომარ ნიშნიანიძის გარდა, უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრებზე არ მოდის. მინდა, ვკითხო ბატონ ომარ ნიშნიანიძეს, სწორია თუ არა პარლამენტის ქუთაისში გადატანა და რას ნიშნავს ფრაზა, „პარლამენტი უნდა იყოს ხალხთან“, აქ რა, ხალხი არ ცხოვრობს?“**

გიორგი უკლება, საკრებულოს წევრი: „**ქუთაისს სულ ჰქონდა განსაკუთრებული სტატუსი — ნუ წაგვართმევთ ამ სტატუსს და თუ გვართმევთ, გვითხარით, რა სტატუსს მივიღებთ სანაცვლოდ?“**

ძნელი მისახვედრი არც ის იყო, რომ გამომსვლელთა პოლიტიზირებული ნაწილი ძველი ხელისუფლების ბანაკს ეკუთვნოდა, ახალი ხელისუფლების მხარდამჭერები კი, მაინცდამაინც, ვერ აქტიურობდნენ. ბოლოს და ბოლოს, საქმე ხომ იმ კანონპროექტის განხილვას ეხებოდა, რომლის პარლამენტში გასვლის შემთხვევაში, ქუთაისი საპარლამენტო ქალაქის სტატუსს დაკარგავს. საკუთარი აზრის დაფიქსირება ყველას სურდა — შესაბამისად, მიკროფონებისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში როცა გადავიდა, სწორედ მაშინ ანიშნეს კომისიის წევრებმა მოქალაქეებს, შეხვედრას უსასრულოდ ვეღარ გავაგრძელებთო. ამის შემდეგ 3-3-წუთიანი დრო კომისიის ყველა წევრს მიეცა, დასკვნითი ნაწილის გასახმოვანებლად. არადა, გასახმოვანებელი არაფერი ყოფილა — ყველა ისევ თავის აზრზე დარჩა. ალბათ, ამიტომაც, დღის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გუბაზ სანიკიძე, პარლამენტის თბილისში გადატანის საკითხს არ ესწრებოდა! „ვერსიას“ სანიკიძის თანაპარტიელებმა აუხსნეს, ბატონ გუბაზს, რომელიც, ამავდროულად, დიასპორების კომიტეტსაც თავმჯდომარეობს, არაქართველი სტუმრები ჰყავს და მათ ვერ მიატოვებდაო. აი, ხალხისთვის კი, არავის არაფერი აუხსნია და სამი ყველაზე საინტერესო კითხვა უპასუხოდ დარჩა: 1. სად არის და რატომ არ ესწრება საკითხის განხილვას გუბაზ სანიკიძე; 2. რას უპირებთ ქუთაისის პარლამენტის შენობას, რომელზეც 360 მილიონი ლარია დახარჯული; 3. საპარლამენტო ქალაქის სტატუსს რომ ართმევთ ქუთაისს, სანაცვლოდ, რა სტატუსს აძლევთ?

ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები მალე ახალ პოლიტიკურ ძალას შექმნიან!

ეკა სეხნიაშვილი

ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნისას, მალე გაიხსნება და საზოგადოება ბევრ სკანდალურ ინფორმაციას, პოლიტიკოსების ცნობილ თუ ჯერ გაუხმაურებელ გვარებს გაიგებს. რატომ წავიდა პოლიტიკიდან ჟვანიას გუნდის წევრი, ყოფილი გუბერნატორი კობა ბუჩუკური, ვინ ართმევდა მას ბიზნესს სააკაშვილის ხელისუფლებიდან, როგორ აფასებს მიხეილ მაჭავარიანის, გია ბარამიძისა და სააკაშვილის პოლიტიკურ გუნდში დარჩენილ ყოფილ თანამოაზრეთა გადაწყვეტილებებს — „ვერსიას“, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, კობა ბუჩუკური ესაუბრება.

კობა ბუჩუკური დუმილს არღვევს

— ბატონო კობა, პოლიტიკიდან წახვედით, მაგრამ ახლა სხვა პოლიტიკური პერიოდია. თქვენ ჟვანიას გუნდის წევრად მოიაზრებოდით, როგორ ფიქრობთ, რატომ წავიდა ხელისუფლებიდან სააკაშვილის გუნდი?

— აქტიურ პოლიტიკას ჩამოვშორდი, მაგრამ შეიძლება ითქვას, არსად წავსულვარ. ვფიქრობ, ვინც ოდესმე პოლიტიკაში ყოფილა, მუდმივად პოლიტიკით ცხოვრობს და მეც შინაგანად, ყოველთვის ვიყავი აქტიური. თუ ჩემს პოზიციას არ ვახმაურებდი, არ ნიშნავს, რომ პოლიტიკას ჩამოვშორდი. ჩვენ, ყველამ ერთად, გავიარეთ დიდი, ბნელი ღამე. ამ გრძელმა ღამემ დაანგრია საქართველოში არსებული ყველანაირი პოლიტიკური ურთიერთობების ნორმა და პოლიტიკური აქტივობის სურვილი. თუ სააკაშვილსა და მის გუნდთან ყოფნა არ გინდოდა, ციხე და ბნელი ღამე გარანტირებული გქონდა.

— მაგრამ თქვენი მეუღლე მარინა მოლოდინი, გარკვეული პერიოდი ხომ იყო სააკაშვილთან?

— მოდი, ვიყოთ გულახდილები: ჩემი მეუღლე მარინა მოლოდინი სააკაშვილთან არასოდეს ყოფილა, რასაც სააკაშვილი არ აღიარებს, მაგრამ ისიც იყო იმ ძლიერ პოლიტიკოსებთან, ვისგანაც ურთიერთობა და ელემენტარული პოლიტიკა ისწავლა. ვგულისხმობ ზურაბ ჟვანიას. ჟვანია იყო მეტრი და განსაზღვრავდა პოლიტიკურ ამინდს. მაშინ მისი გუნდის წევრები ერთად იყვნენ და მის ირგვლივ მყოფი ადამიანების უმრავლესობა, შინაგანად, ზურაბ ჟვანიას პოლიტიკის ერთგული დარჩა.

— მიშა მაჭავარიანი როგორ დარჩა ზურაბ ჟვანიას პოლიტიკის მიმდევრად, თუმცა ბოლო დროს ის საეჭვოდაა გაჩუმებული — სააკაშვილის გარემოცვაში აღარ ჩანს, მისი ძმა კი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.

> **— დარწმუნებული ვარ, მიშა მაჭავარიანი, შინაგანად, დღესაც ჟვანიას თანაგუნდელია. აი, სააკაშვილის ადმინისტრაციის დღევანდელი უფროსი დავით ტყეშელაშვილი კი, არასოდეს ყოფილა ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელი და არც დღეს იქნება. ამას ნებისმიერ ადგილას დავადასტურებ, ხელისმოწერით. დათო ტყეშელაშვილი ყოველთვის იყო მედროვე ადამიანი. მეტიც, ზურაბ ჟვანია ჯერ გაციებული არ იყო და გამოსამშვიდობებელ პანაშვიდებზე ტყეშელაშვილი დუჟმორეული ღაღადებდა, რომ თურმე ჟვანია მას შეუქმნია. ასეთი დამოკიდებულებისა და მენტალიტეტის მქონე ადამიანი შეიძლება, აზროვნებდეს პოლიტიკურად? ტყეშელაშვილი იყო და არის მედროვე.**

— თუ ჟვანიას თანაგუნდელები შინაგანად, მისი ერთგულები დარჩით, რატომ არ აიმაღლეთ ხმა მის ბურუსითმოცულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით?

— კობა ბუჩუკური მიჩუმათებულია და არა გაჩუმებული! ამ პერიოდში, ყველაზე მძიმე ბრალდება მე და ჩემს მეუღლეს წამოგვიყენეს იმ დილას, როცა ჟვანიას სიკვდილის გამო, რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში, ვერ დაგვაოკეს და ვერ გაგვაჩუმეს. დღესაც მჯერა, რომ პრემიერი მოკლეს, თუმცა ფაქტებით რომ ვისაუბრო, ბოლომდე მიუწვდომელია ჩემთვის ზუსტი ინფორმაცია. კონკრეტულად, ვისი ხელითაა ეს გაკეთებული და იქ რა მოხდა, ამას პროკურატურა იტყვის.

— ვასილ მაღლაფერიძე რატომ დუმს ამ საკითხთან დაკავშირებით. ისიც ხომ ჟვანიას თანაგუნდელი იყო. ჩემი ინფორმაციით, ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, რამდენიმე ადამიანი: თქვენ, შალვა ოგბაიძე... შეიკრიბა და ეჭვი გამოთქვით, რომ პრემიერი მაშინდელ მაღალჩინოსნებს შეიძლება მოეკლათ... დღეს, სხვა მთავრობის პირობებში, მაინც რატომ დუმს ვასილ მაღლაფერიძე?

— ვასიკო მაღლაფერიძე ჩემთან ერთად იყო ჟვანიას გუნდის წევრი, მაგრამ მიუხედავად აქტიურობისა, პასიურ მდგომარეობაში ბოლო დროს მე აღმოვჩნდი. წლების განმავლობაში, მაღლაფერიძეს აქტიურად მოუწია თანამშრომლობა და მუშაობა მაღალი რანგის თანამდებობაზე მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში, მე არ მომიწია — არასოდეს მქონია შემოთავაზება სააკაშვილის მთავრობიდან, ვყოფილიყავი რაიმე თანამდებობაზე. თავის დროზე, იმავე მიხეილ სააკაშვილისა და ავთანდილ ჯორბენაძის მიერ, ერთობლივად დადგმული სპექტაკლის ფონზე, ჩამომაცილეს გუბერნატორის პოსტს. შემდეგ სასამართლომ აღმადგინა თანამდებობაზე, თუმცა მაშინვე მოვიდნენ და მითხრეს, დაწერე განცხადება, რომ გუბერნატორის პოსტზე მუშაობა არ გსურსო. მაშინ ჟვანიამაც მირჩია, ასე მოვქცეულიყავი და ორსაათიანი ფიქრის შემდეგ, უარი ვთქვი. ჯორბენაძე, რომელიც თითქოს ზურაბ ჟვანიას ეკეკლუცებოდა, სინამდვილეში, სააკაშვილთან თანამშრომლობდა.

— მიანიშნეთ, რომ ვასილ მაღლაფერიძე სააკაშვილმა დაასაჩუქრა. გია ბარამიძის დუმილზე რაღას იტყვით, ისიც ხომ ჟვანიას თანაგუნდელი იყო?

— ჩემი გზა ვიპოვე, ისევე, როგორც ჟვანიას გუნდის ბევრმა წევრმა, რომლებსაც გვსურდა, ღირსება და რეპუტაცია შეგვენარჩუნებინა.

> **ალბათ, ეს იყო გიორგი ბარამიძის ბედისწერა. მე შინაგანად ვებრძვი საკუთარ თავს — როცა მედიასაშუალებებში ამბობენ, გიორგი ბარამიძემ იცოდა ჟვანიას მკვლელობის დეტალებიო, რატომღაც, შინაგანი ხმა ყოველთვის მეუბნება, ასე რომ იყოს, არ გაჩუმდებოდაო. გიორგის რომ ჰქონდეს კონკრეტული ინფორმაცია, ხელისუფლებიდან ვინმე ჟვანიას სიკვდილის შემკვეთია, დარწმუნებული ვარ, არ იქნებოდა ამ ადამიანების გვერდით.**

— დღეს მთავრობა შეცვლილია, საგამოძიებო სტრუქტურები სააკაშვილის ხელში აღარ არის, პროკურატურამ კი დააანონსა ჟვანიას გარდაცვალების საკითხს გამოვიძიებთო, მაგრამ ფიქრობთ, საქმე გაიხსნება?

— აუცილებლად გაიხსნება და თან ძალიან მალე. ივანიშვილმა წელში გატეხა სააკაშვილის მთავრობა. არადა, ეს ბევრს არ სჯეროდა მაშინ, როცა ივანიშვილი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

> **დარწმუნებული ვარ, ჟვანიას მკვლელობა გაიხსნება და თანაც, მიშას საპრეზიდენტო ვადაში. ლოგიკა იქით მიდის, რომ გამოძიებისას გამოიკვეთება ძალიან სერიოზული ადამიანი, ვინც დღეს ჩვენთვის, ზოგადად, წარმოუდგენელიც შეიძლება იყოს. შემკვეთიცა და შემსრულებელიც ერთდროულად გახდება ცნობილი. მგონია, ამ ადამიანების გვარები და სახელები ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისა და ქვეყნის პრემიერ ივანიშვილისთვის უკვე ცნობილია. ქალბატონი წულუკიანის თაოსნობით, აუცილებლად გაიხსნება ეს საქმე.**

— ფიქრობთ, საქმეში ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი პირველი პირები ფიგურირებენ?

— მათ გარეშე ამისი შესრულება და დასრულება წარმოუდგენელია. ზოგადად, ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირების გარეშე, ქვეყანაში არაფერი მოხდებოდა. ჩემი ბიზნესიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, კონკრეტულ გვარ-სახელებს არ დავასახელებ, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი — როცა ჩემი ბიზნესების ხელში ჩაგდება სურდათ,

დასასრული მე-4 გვერდზე

ერთდღიანი ვიზიტი სომხეთში და სერჟ სარქისიანის მადლობა ბიძინა ივანიშვილს

ქართული დელეგაცია 17 იანვარს, ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით მეზობელ სომხეთს ესტუმრა. ექსპერტების ნაწილი პროგნოზირებდა, რომ ჟურნალისტების მხრიდან, მაია ფანჯიკიძის მიერ ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების არასწორი ინტერპრეტირების შემდეგ, სომხეთში ივანიშვილის ვიზიტი „მარტივად არ ჩაივლიდა“ და გარკვეული უხერხულობისა თუ სირთულეების შემცველი იქნებოდა. პროგნოზი არ გამართლდა — სომხეთში ვიზიტი წარმატებული და შედეგიანი აღმოჩნდა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერი სომეხ კოლეგასაც შეხვდა და სომხეთის პრეზიდენტსაც. სერჟ სარქისიანთან შეხვედრა, ამ უკანასკნელის სასახლეში შედგა. საუბრის მთავარი თემა ქვეყნებს შორის თანამშრომლობა იყო. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კეთილმეზობლური პოლიტიკა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ივანიშვილს, საგანგებო სადილზეც უმასპინძლეს.

პრემიერ ტიგრან სარქისიანთან აუდიენცია რესპუბლიკის მთავრობის შენობაში გაიმართა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ყველა საკითხი კეთილმეზობლური პოლიტიკის კონტექსტში უნდა გადაწყდეს. სომეხ კოლეგასთან საუბრისას, ივანიშვილმა მოკლედ იმ გაუგებრობის შესახებაც ისაუბრა, რომელიც ორიოდე დღის წინ, ქართულ და სომხურ მხარეს შორის მოხდა. საკითხი, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინ-

ისტრ მაია ფანჯიკიძის მიერ მთიანი ყარაბაღის შესახებ გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება, ამოწურულია. ფანჯიკიძის სიტყვები მედიით დამახინჯებულად გავრცელდა — ასეთი განმარტება გააკეთა ივანიშვილმა ტიგრან სარქისიანის წინაშე და დასძინა, რომ საქართველო მხარს უჭერს ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. თავის მხრივ, სომხეთის პრემიერმა ქართველ კოლეგას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, არსებული განონასწორებული დამოკიდებულების გამო, ერთობლივ პრესკონფერენციაზე მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი პრემიერის რანგში სომხეთს პირველად ეწვია, ორმხრივი შეხვედრა ძალიან თბილ ვითარებაში წარიმართა. პრემიერ-მინისტრებს შორის გამართული თბილი შეხვედრის მნიშვნელობას ხაზი ივანიშვილმაც გაუსვა: **„ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ჩვენ ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ. შეხვედრის განმავლობაში, მივიღეთ საინტერესო გადაწყვეტილებები, დარჩა რამდენიმე საკითხი, რომელიც განხილვას კიდევ საჭიროებს“**. პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ორმხრივი ურთიერთობების დინამიკურ გაუმჯობესებას გააგრძელებს.

ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებშივე გაიმართა, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის ოფიციალურ დელეგაციათა მოლაპარაკებები. ქართული მხრიდან აღნიშნულ შეხვედრას პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და სომხეთში საქართველოს ელჩი თენგიზ შარმანაშვილი ესწრებოდნენ.

სომხეთის მთავრობის შენობაში ერთობლივ დოკუმენტებს მოეწერა ხელი: კერძოდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის პროგრამას 2013-2014 წლებში. ასევე, საბაჟო პუნქტების შესახებ ხელშეკრულებას.

ვიზიტის ფარგლებში, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა სომეხ კოლეგასთან ვაჩე გაბრიელიანთან ერთად, ხელი მოაწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „სადახლო-ბაგრატაშენი,“ „სადახლო-აირუმი,“ „გუგუთი-გოგავანი“ და „ნინოწმინდა-ბავრა“ სახმელეთო გამშვები პუნქტების ერთობლივი გამოყენების შესახებ.

შეთანხმება ითვალისწინებს კომერციული ტვირთის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების გამარტივებასა და საბაჟო კონტროლის გაუმჯობესებას. შეთანხმებით გათვალისწინებულია საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის ზოგადი დეკლარირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ელექტრონულად, წინასწარ გაცვლა, რაც შეამცირებს სავალდებულო საბაჟო კონტროლის ღონისძიებებსა და ქვეყნების საბაჟოებისთვის განსხვავებული ინფორმაციის წარდგენის პრაქტიკას. ამ შეთანხმებით, არ იკრძალება საბაჟო კონტროლის განხორციელება. შეხვედრის დროს, ცხადია, ისაუბრეს საქართველოში მცხოვრებ სომხებზე.

პრემიერ ივანიშვილის განცხადებით, ახალი ხელისუფლება მოწოდებულია, საქართველოს ეთნიკურად სომეხმა მოქალაქეებმა თავი სამშობლოში იგრძნონ და მათი ინტეგრაცია მოხდეს: **„ძალიან ბევრი სომეხი მეგობარი მყავს, როგორც საქართველოში მცხოვრებლები, ისე მის ფარგლებსგარეთ, განსაკუთრებით, რუსეთში. წინასაარჩევნო პერიოდში მოვახერხე და ყველა რეგიონში ვიყავი. მათ შორის, ისეთ რეგიონებში, სადაც ადრე არ ვყოფილვარ. ბევრი თბილი შეხვედრა მქონდა ეთნიკურად სომეხ ჩვენს მოქალაქეებთან. მგონი, მათ ჩემი გულწრფელობა დაიჯერეს და ეს არჩევნების შედეგებზეც აისახა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ისტორიას არ ახსოვს ისეთი შედეგი, როგორიც იმ რეგიონებში ოპოზიციამ მიიღო. რაც შევპირდი ყველაფერს გავაკეთებ მათთვის და მეტსაც“.**

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

16 იანვრის რიგგარეშე სესია პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა, რომელსაც ბიუროს ოთახისგან განსხვავებით, ქუთაისურმა წვიმამ ვერაფერი დააკლო. სამაგიეროდ, ეტყობა, დეპუტატები ვერ განაწყო სამუშაოდ და საშობაო არდადეგებიდან დაბრუნებულთა საპარლამენტო შემადგენლობა არც ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. უფრო არაშთამბეჭდავი იმ საკითხების სია იყო, რომლებიც რიგგარეშე სხდომაზე გამოიტანეს განსახილველად. უფრო სწორად, საკითხები კი არა, სულ ერთი საკითხი — ცვლილება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ანუ სასამართლო სისტემაში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი პოლიტიკური დევნის წინააღმდეგ!

რატომ არ განიხილა პარლამენტმა ბაგა-ბაღებში გადასახადის გაუქმების საკითხი და როგორ შეთანხმდნენ „ოცნება“ და „ნაციონალები“ სხდომის ერთადერთ საკითხზე

ვიდრე პარლამენტი სიტყვიდან საქმეზე გადავიდოდა, „ნაციონალმა“ დეპუტატებმა, თავიანთ სადეპუტატო გამოსვლებში, ფრთები გაშალეს და „ოცნებას“ დემოკრატიის ხარისხი დაუწუნეს. ერთადერთი პოლიტიკური გამოხტომა ამ ნაწილში ზურაბ ჯაფარიძეს ეკუთვნოდა, რომელსაც, რატომღაც, გია ხუხაშვილი გაახსენდა და განაცხადა, ერთი ის გამაგებინეთ, ეგ კაცი, ჭავჭავაძეზე რომ ზის და ბიზნესმენებს ატერორებს, საერთოდ, ვინ არისო. დანარჩენი გამომსვლელები კი ორ თემას, ზუგდიდში ჩატარებული საჯარო-სახალხო განხილვისას დეპუტატებზე თავდასხმასა და ჯაზმენ ბექა გოჩიაშვილზე ზეწოლას გამოეხმაურნენ.

გოკა გაბაშვილი: „სიტუაცია იყო უკონტროლო! დღეს უკვე არის ინფორმაცია, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები და აქტივები ერთმანეთსაც დაერივნენ. ძალიან სამწუხაროა, ადგილობრივი ხელისუფლება სამეგრელოში აქციების ორგანიზებით რომაა დაკავებული. მათ მიიღეს მითითება კიდევ ერთი აქციის ჩატარების შესახებ, პროვოკაციების მოწყობით არიან დაკავებულნი და იმის ნაცვლად, ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყონ, ამ საფრთხეს თავად ქმნიან“. გაბაშვილმა კოლეგებს პრემიერის საახალწლო სურვილები შეახსენა და ახალ წელს ქვეყნის მართვის ახალი მეთოდების გამოყენებისკენ მოუწოდა. პარლამენტში გაისმა ურთიერთბრალდებები იმის თაობაზე, თუ ვინ გაუწია ორგანიზება პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის საკითხზე გამართული საჯარო განხილვების დროს მომხდარ არეულობას. „ოცნება“ თავდაცვის რეჟიმში ჩადგა და ოპონენტებს უმტკიცებდა, ჩვენ ამას როგორ ვიზამდით, როცა ჩვენს ინტერესებში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადატანა ყოველგვარი პრობლემების გარეშე შედისო. თავის მხრივ, პოზიციებს არ თმობდნენ წინა დღეს, ზუგდიდში თავზე კვერცხებდალეწილი „ნაციონალები“ და პარტიული აქტივის მობილიზებაში ბრალს სწორედ ოპონენტებს სდებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, იმ ერთადერთ განსახილველ საკითხზე გადავიდნენ, რაზეც თითქოს, ბევრი იდავეს და საბოლოო ჯამში, მაინც შეთანხმდნენ. ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის დანერგვის შესახებ ინიციატივა „ნაციონალებიდან“ ჩიორა თაქთაქიშვილმა და ლევან ბეჟაშვილმა შემოიტანეს, „ოცნებიდან“ — იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, სანდრო ბარამიძემ. „ოცნება“ ამ ინსტიტუტის შემოღებას მხარს მხოლოდ პოლიტიკური საქმეების განხილვისას უჭერს, ყოფილი მმართველი გუნდის კანონპროექტი კი ბევრად მასშტაბურია — ნაფიცმა მსაჯულებმა როგორც პოლიტიკური, ისე სისხლის სამართლის საქმეები უნდა განიხილონო. „ნაციონალები“ ამბობენ, რომ ბრალდებულის გადასაწყვეტი უნდა იყოს, მას ნაფიცი მსაჯულები გაასამართლებენ თუ ერთი მოსამართლე. ჩანს, ამის წინააღმდეგნი არც ხელისუფლებაში არიან. „ოცნებიდან“ საპარლამენტო უმცირესობის ინტერესებს **თინა ხიდაშელი** იცავდა: **„ეს კონკრეტული მექანიზმია იმ საქმეების განხილვისთვის, რაზეც აჟიოტაჟი ატეხეთ და პოლიტიკური დევნა უწოდეთ. ჩვენი ინიციატივების ინტერპრეტირებას შეეშვით. როგორღაც შევძლებთ საკუთარი აზრის გამოხატვას, ხოლო იმისთვის, რომ თქვენ იყოთ მშვიდად და ნაკლები ინერვიულოთ იმაზე, თითქოს ქვეყანაში პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, გთავაზობთ, შემოვიღოთ თქვენს მიერ აღიარებული და დადასტურებული სისტემა, რათა უფრო მეტი ნდობა გქონდეთ საკუთარი ხალხის მიმართ, რომლებიც ისხდებიან სასამართლო პროცესზე, ვიდრე ერთი მოსამართლის მიმართ. ამით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნება თქვენი პოლიტიკური ძალაცა და საქართველოს მოსახლეობაც“.**

გულუბრყვილო აღიარებასავით გამოვიდა „ნაციონალური მოძრაობის“ არგუმენტი 12 ადამიანით დაკომპლექტებული ინსტიტუტის წინააღმდეგ — მოსახლეობის უმეტესობა ახლა „ოცნების“ მომხრეა, ჩვენ რა ვიცით, რომ ეს ხალხი პოლიტიზებულ გადაწყვეტილებას არ მიიღებს და პროცესზე სისხლიან სამსჯავროს არ მოგვიწყობსო? არსებული პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ალბათ, მათ არგუმენტში სიმართლის მარცვალი იყო. არც ოპონენტებმა დაახანეს და განაცხადეს, მართალია, ქვეყანაში ახლა ცოტა თუ მოიძებნება, ვინც ფიქრობს, რომ ყველა დატრიალებული უბედურების სათავე სწორედ თქვენ ხართ, მაგრამ როცა ჩვენ გავხდებით არაპოპულარული პოლიტიკური ძალა ხალხში, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი მაინც დარჩებაო. „ნაციონალების“ პოლიტიკურ ეჭვებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ასე პასუხობენ: **„ორივე მხარეს აქვს საშუალება, ნაფიც მსაჯულებს ელაპარაკოს. მანამდე მათ შეარჩევენ, კითხვებს დაუსვამენ, გაესაუბრებიან და, რეალურად, რა უფრო სანდოა, ერთი მოსამართლე, რომელიც დანიშნა ამ ხელისუფლებამ და მასზე კონტროლის მექანიზმებს ფლობს, თუ 12 ნაფიცი მსაჯული, რომლის შერჩევაში, როგორც დაცვის მხარე, ისე პროკურატურა მონაწილეობს?! ორივეს შეუძლია, უარი თქვას ამა თუ იმ ადამიანის არჩევაზე, ობიექტური მიზეზით. რეალურად, მოსამართლეები ხომ მეტი გავლენის ქვეშ იყვნენ წლების განმავლობაში, ამიტომ ახლა გავაანალიზეთ, შანსი სად უფრო მეტია — 12 ადამიანს ვუმტკიცო, რომ მართალი ვარ თუ ერთ ადამიანს ველაპარაკო, ვინც, დიდი ალბათობით, უფრო ტენდენციურია?! იმ 12 ადამიანს პოლიტიკურ კონიუნქტურაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია და არც იმაშია გარეული, რაც აქამდე მართლმსაჯულების სისტემაში ხდებოდა. ლოგიკურად კი, რატომ არ შეიძლება მოსამართლემ, ვინც მიიღო გირგვლიანის საქმეზე შეკვეთა და ტენდენციური იყო, ახლა ანალოგიური შეკვეთა „ოცნებისგან“ მიიღოს და უფრო ტენდენციური გახდეს? ჩვენ ვენდეტა არავის უნდა მოვუწყოთ, ეს ინსტიტუტი სამართლიანი სასამართლოს შემქმნელი უნდა იყოს და არა იმ განცდის მატარებელი, რომ მათ სახალხო ანგარიშსწორებას ვუწევთ. კლასიკური მაგალითი სახალხო გასამართლებისა, გახლავთ შემთხვევა, როცა პილატემ იესო ხალხს მისცა გასასამართლებლად და უთხრა, აირჩიეთო. მაშინ ხალხმა ბარაბა აირჩია, პილატემ კი ხელი დაიბანა“.** საბოლოო ჯამში, ინიციატივა გავიდა და 103 ხმაც მიიღო.

და კიდევ ერთი — 16 იანვრის სხდომაზე ასევე უნდა განხილულიყო მთავარი პროკურორის დანიშვნის წესთან დაკავშირებული ინიციატივა. თემის განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადაიდო, რადგან პარლამენტს შესაბამისი დასკვნა არ ჰქონდა მომზადებული. სავარაუდოდ, კანონპროექტს სამსჯელოდ 18 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე ვიხილავთ. საკომიტეტო განხილვები კი ბევრისთვის საინტერესო თემებზე მიმდინარეობს — დასუფთავებისა და ბაგა-ბაღებში არსებული გადასახადის გაუქმების თაობაზე. საპარლამენტო კომიტეტებში ამ თემების განხილვის დასრულების შემდეგ, საშველი ამ კანონპროექტებსაც დაადგება და თინა ხიდაშელის ინიციატივები სხდომათა დარბაზის სინათლეს იხილავს!

ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები მალე ახალ პოლიტიკურ ძალას შექმნიან!

მე-3 გვერდიდან

შსს-ს მაღალჩინოსნები მირეკავდნენ, მოდიოდნენ და წილებსა და ბიზნესში „ჩაჩოჩებაზე“ მესაუბრებოდნენ, მემუქრებოდნენ. სხვათა შორის, ფასანაურში ობიექტი რომ არ წამართვეს, ამისთვის, ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს გადავუხდი მადლობას. წაიკითხავს და თავად მიხვდება. სამაგიეროდ, დღემდე მაქვს დავა და არავითარ შემთხვევაში არ დავთმობ, „ლადას“ ცენტრის საქმეს. როგორ მომისიეს ათასი რჯულის მაკონტროლებელი! სრული უკანონობა იყო. უბრალოდ, იღბლის დამსახურებაა, რომ გისოსებსმიღმა არ აღმოვჩნდი. დაჭერას გადარჩენილი ვარ და ეს ყველაფერი, მხოლოდ ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო ხდებოდა. ივანიშვილმა ძალიან კარგად იცის პარტნიორული ურთიერთობები. იმედს მაძლევს მისი მოსაზრებები, რომ ყველა ადამიანი დაიბრუნებს კანონიერ საკუთრებას, რომელიც არასწორადაა წართმეული.

— ივანიშვილის ხელისუფლებისგან არ გაქვთ რაიმე თანამდებობაზე შემოთავაზება, მაგრამ აშკარაა, გუბერნატორის ვაკანსიები გაჩნდება...

— დღეს ივანიშვილის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკა ძალიან მნიშვნელოვანია. მან მოიყვანა გონიერი ადამიანები, რომლებიც გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას ფლობენ. ჩემნაირი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანს, შესაძლოა, სადმე, რომელიმე უწყებაში პირველი პირის სტატუსი არ მიანიჭო, მაგრამ მისი ცოდნა უნდა გამოიყენო. გულწრფელად გეტყვით, რომ უახლეს პერიოდში, ჩემნაირი კატეგორიის ადამიანები უნდა გამოიყენონ და უნდა შეიქმნას გარკვეული ჯგუფი, რომელიც იმუშავებს პრემიერ-მინისტრთან, სხვადასხვა უწყებებთან. ჩვენ გვაქვს ერთადერთი ამბიცია — ეს ქვეყანა სწრაფად განვითარდეს. პროცესი მიდის ნელა, არა იმიტომ, რომ დღევანდელ პარლამენტს ამის სურვილი არ გააჩნია, უბრალოდ, ახლა ყველაზე რთული პერიოდია. სააკაშვილის ხელისუფლებამ 5-6 თვით ადრე, სწორად შეაფასა მოსალოდნელი კრახი, ამიტომ ძალოვან სტრუქტურებში, სამინისტროების დონეზე, საშუალოზე მაღალი რანგის თანამდებობის პირები ჩამოალაბორანტეს. გათვალეს — როცა ცვლილება მოხდებოდა ქვეყანაში და მათ მოუხდებოდათ ხელისუფლებიდან წასვლა, საშუალო და საშუალოზე მაღალი თანამდებობის მქონე პირებს აუცილებლად დაითხოვდნენ. მათი კადრები კი დარჩებოდა ქვედა რგოლებში.

— ძალიან საინტერესო თეორიაა, მაგრამ რა უნდა ქნას ივანიშვილის მთავრობამ, სახლში გაუშვას ყველა?

— არა, სწორ საკანონმდებლო ბაზაზე ამ ადამიანებთან ერთად უნდა მოიყვანოს ის ადამიანები, რომლებიც მათ კონტროლს შეძლებენ. ბერკეტები არ უნდა ჩაუგდონ მათ ხელში.

> **პარლამენტს ვურჩევ, დროულად მიიღოს მთის კანონი. მოაწესრიგოს საზღვრის დემარკაცია და შიდა მიწების გამოსყიდვა, რადგან საქართველოს საზღვრებთან ფეთქებადსაშიში სიტუაციაა — ბენდუქიძისა და მისნაირების დამსახურებით, სასაზღვრო პერიმეტრებზე არსებული მიწის ფართები გასხვისებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ეს უშველებელი ნაღმია. ძალიან ბრიყვები და ივანიშვილის მტრები ამბობენ, „ნაცმოძრაობა“ ისევე ვერ გაცოცხლდება, როგორც მკვდარიო. სააკაშვილი ხელისუფლებაში აუცილებლად**

> **დაბრუნდება, თუ მას ბერკეტებს არ წაართმევს და ამის საშუალებას დროულად არ მოუსპობს დღევანდელი მთავრობა.**

მას უნდა დახვდეს სწორი პოლიტიკური წინააღმდეგობა საშუალო და საშუალოზე დაბალ ურთიერთობებში, რადგან ხალხის ნაწილი, რომელმაც რაღაც მაინც იხეირა სააკაშვილის ხელისუფლებისგან, გაურკვეველ სიტუაციაშია. ისინი შინაგანად მაინც, ვალდებულად მიიჩნევენ თავს, „ნაციონალებს“ ემსახურებოდნენ. ამიტომაა აუცილებელი, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში, საშუალო რგოლებში მოვიდნენ ერუდირებული და საქმისმცოდნე ადამიანები.

— საპრეზიდენტო არჩევნებამდე არცთუ ცოტა დრო დარჩა. როგორ ფიქრობთ, რა პროცესები განვითარდება სააკაშვილის გარემოცვაში, სად ხედავთ ჟვანიას ყოფილი თანაგუნდელების ადგილს?

— პოლიტიკაში.

> **როგორ ფიქრობთ, ჟვანიას გუნდის ის წევრები, რომლებიც სააკაშვილთან დარჩნენ, მასთან არიან? მერწმუნეთ, რომ მათი 70 პროცენტი სააკაშვილთან აღარ არის. დარწმუნებული ვარ, ჟვანიას ყოფილი თანაგუნდელები აბსოლუტურად დამოუკიდებელ მიმართულებას აირჩევენ. ისინი აუცილებლად მოიყრიან თავს ერთიან ძალად ან დამოუკიდებლად გააგრძელებენ პოლიტიკურ ცხოვრებას ან „ქართულ ოცნების“ გზას შეუერთდებიან.**

შოთა ხიზანიშვილი თავისუფალია

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი და თბილისის მერის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი პატიმრობიდან 35-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ ხიზანიშვილის ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო, რომელიც საქმეში ახალ გარემოებებს ეფუძნებოდა და ამის მიხედვით, შოთა ხიზანიშვილს წარდგენილი ბრალდებიდან ერთ-ერთზე ამნისტია შეეხო.

ხიზანიშვილს, სასამართლოდან გამოსვლის შემდეგ, კომენტარი არ გაუკეთებია.

„მედიანიუსი“

ქიბარ ხალვაში დააპატიმრეს და... გაათავისუფლეს

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 17 იანვარს, დააპატიმრეს საქართველოს მოქალაქე ქიბარ ხალვაში, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე, 182-ე, 194-ე, 210-ე, 332-3, 341-ე და 342-ე მუხლების შესაბამისად იძებნებოდა. ინფორმაციის გავრცელებიდან რამდენიმე საათში, ცნობილი გახდა, რომ ბიზნესმენი მალევე გაათავისუფლეს. საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხათუნა პაიჭაძის განცხადებით, ქიბარ ხალვაში მხოლოდ რამდენიმე წუთით შეაყოვნეს:

„ქიბარ ხალვაში თავისუფალია. ის აზერბაიჯანში იყო დაკავებული, მაგრამ ქართულმა მხარემ რეაგირება სასწრაფო წესით მოახდინა“.

„პირველი“

ოთხი სკანდალური ვერსია და „ციხის ჯალათის“ დაანონსებული გაუხმაურებელი კადრები

ანი დადიანი

ციხის გახმაურებული სკანდალის ერთ-ერთი მონაწილე ლადო ბედუკაძე საქართველოში ჩამოდის. მისი ადვოკატი ლალი აფციაური აცხადებს, რომ ბედუკაძეს აქვს კადრები, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა და რომელსაც თბილისში დაბრუნებისას თავად გაახმაურებს.

„მე ვადასტურებ ასეთი კადრების არსებობას, რომელიც არ გახმაურებულა და ამ კადრების გახმაურების საშუალება თვითონ მიეცემა“, — აღნიშნა აფციაურმა და დასძინა, რომ ბედუკაძე კიდევ უამრავ ინფორმაციას ფლობს, რომელიც შეიძლება, თავისი სკანდალურობით უკვე გავრცელებულ კადრებს მნიშვნელოვნად აღემატებოდეს.

ლალი აფციაური ადასტურებს, რომ ლადო ბედუკაძე საქართველოში 17 იანვარს ჩამოდის, თუმცა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რეისს არ ასახელებს და აცხადებს, რომ მას ჩამოსვლისთანავე დააკავებენ, ვინაიდან ბრძანებაა გაცემული სასამართლოს მხრიდან და აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა აქვს შეფარდებული.

„ეს აუცილებელი პროცედურებია გასავლელი, რაც ბედუკაძისთვის ცნობილია. თუმცა ამავდროულად, იგი ამ ყველაფრისთვის მზად არის და ასევე მზადაა, ითანამშრომლოს სამართალდამცავებთან. დაპატიმრების შემდეგ ბედუკაძე ჩვენებას მისცემს და დაცვის მხარე დააყენებს შუამდგომლობას, პატიმრობა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეიცვალოს“.

ციხის გახმაურებული კადრების გადამღებს, ციხის ყოფილ თანამშრომელს ლადო ბედუკაძეს ინტერპოლი აღარ ეძებს. ბედუკაძე საქართველოში ბრუნდება. თვეების განმავლობაში აგორებული სკანდალი აქტუალობას არ კარგავს თუ არ აკარგვინებენ, თუმცა ბედუკაძეს საქართველოში დაბრუნების შემდეგ აუცილებლად მოუწევს უამრავ უხერხულ კითხვაზე პასუხის გაცემა. მანამდე კი, შესაძლებელია, რამდენიმე ვერსია განვიხილოთ.

ვერსია პირველი — ბედუკაძე საქართველოში ახალ ხელისუფლებას ჩამოპყავს!

იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში „შავი პიარჯგუფების“ არსებობას პრემიერ-მინისტრიც არ უარყოფს, გამორიცხული არაა, ბედუკაძე ამ ჯგუფების მიერ გამოყენებული იყოს, როგორც სხვადასხვა „არასასურველი“ პირის დისკრედიტატორი. თუ ამ ვერსიას მივყვებით, შესაძლოა, ბედუკაძის საქართველოში ჩამოყვანის ერთ-ერთი მიზანი იყოს, პირველ რიგში, უმართავი პოლიტპატიმრების ბლოკირება. როგორ? მარტივად. ბედუკაძეს, რომელსაც მასმედიას ისედაც უხსნიდნენ, მისცემენ ტრიბუნას, საიდანაც ის გაიხსენებს, როგორ გააუპატიურეს ციხეში ესა თუ ის პოლიტპატიმარი. ერთ-ერთ ინტერვიუში ბედუკაძემ ამის თაობაზე მინიშნებაც გააკეთა. ახლა მოხდება თითქოსდა გაუპატიურებული პოლიტპატიმრების საჯაროდ დასახელება. ხაზს ვუსვამთ, დასახელებულების დიდი ნაწილი, რეალურად, გაუპატიურებული არ იქნება, მაგრამ ამას ვერავინ, ვეღარასოდეს დაამტკიცებს. სამაგიეროდ, ხელისუფლებას გაუადვილდება იმ 190 კაცის მართვა, რომლებიც დღეს არც კოჰაბიტაციისა და არც მიტევების კონცეფციებს არ იზიარებენ.

ვერსია მეორე — ბედუკაძეს არასასურველი პოლიტიკოსების დისკრედიტაციისთვის გამოიყენებენ!

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ციხის ყოფილი თანამშრომელი ტელეკამერების წინ მოყვება, როგორ მოისმინა მეგის ქარდავას სატელეფონო საუბარი ბაჩო ახალაიასთან, სადაც მეგის ქარდავა ახალაიას ეუბნებოდა, რომ „ქართული კოალიციის“ — პარლამენტარი „მათი კაცია“ და „მათ ინტერესებს ატარებს“. ცხადია, ამ ვერსიის ფარგლებში ხსენებული პარლამენტარისა თუ პოლიტიკოსის სრული დისკრედიტაცია მოხდება, რადგან საქართველოში სიმართლის გარკვევა არავის აინტერესებს, საზოგადოებას უფრო სიბინძურისა და ტყუილის სჯერა. მით უმეტეს, თუ ტყუილს ის კაცი იტყვის, ვინც თეთრაძის მკვლელობაზე სიმართლე თქვა და გამოძიებას დაეხმარა.

ვერსია მესამე — ბედუკაძის საქართველოში ჩამოყვანას მისი, როგორც „უმართავი ბომბის“, გაუვნებელყოფის მიზანი აქვს

ბოლო დროს, ბედუკაძე არჩილ კბილაშვილს, მაია მწარიაშვილსა და ბიძინა ივანიშვილსაც კი აკრიტიკებდა. მისი კრიტიკა რომ ბოლოს ციხისწამებებსა და ტყუილში გადადის, ირმა ინაშვილზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ტერორის მაგალითმაც აჩვენა. სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურები ამ ტიპის ტერორს პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ ვერ დაუშვებენ, ამიტომ, გამორიცხული არ არის, ბედუკაძე სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლონ კიდეც, მაგრამ მოგვიანებით, ის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდეს. მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ასეთ მაგალითებს. როდესაც კაცი საშიში ხდება სახელმწიფოსა და მისი უსაფრთხოებისთვის, ის ავტოკატასტროფით ან სხვა ყოფითი უბედური შემთხვევით ასრულებს სიცოცხლეს. შესაძლოა, ბედუკაძე იმსხვერპლოს იმ ათობით გაუპატიურებული პატიმრის ნათესავთა შურისძიებამ, რომლებიც აღმოაჩენენ, რომ სამართალმა ვერ იზეიმა და სამართლის აღდგენას თავად აღასრულებენ.

ცნობილია, რომ ათობით პატიმარი სწორედ, უშუალოდ, ბედუკაძის მიერაა ნაწამები და გაუპატიურებული, მაგრამ პატიმართა დიდი ნაწილი ამაზე ხმას არ იღებს. მეტიც, უმრავლესობა ბედუკაძეს აქებს და აცხადებს, რომ ციხის ეს თანამშრომელი მათ კეთილად ექცეოდა, უვლიდა და ჩაის ასმევდა. ამისი მიზეზი მარტივია: პატიმართა უმრავლესობა ერიდება ბედუკაძესთან ურთიერთობის დაძაბვას, რადგან ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი მათგანი, შესაძლოა, „დუბინკით“ გაუპატიურებულად გამოცხადდეს. ბედუკაძეს, რომელიც „შავი პიარის“ ორგანიზატორებმა ექსპერტად ჩამოაყალიბეს, ტელეარხებს გაუხსნიან და ყველაზე იტყვის იმას, რასაც დაავალებენ.

ვერსია მეოთხე — ბედუკაძის დაცვით დაინტერესებულია როლანდ ახალაია!

არსებობს კონფიდენციალური წყაროს ინფორმაცია, რომ როლანდ ახალაია თავად ზრუნავდა, ადვოკატი აეყვანა ლადო ბედუკაძისთვის. ეს ინტერესი გასაგებია, რადგან ყოფილი პროკურორი და დღეს უკვე პარლამენტარი როლანდ ახალაია დაინტერესებულია, ბაჩო ახალაიას ის ბრალდებები მოეხსნას, რომელიც ამ უკანასკნელთან მიმართებაში ლადო ბედუკაძემ ჯერ კიდევ ბრიუსელიდან გაახმოვანა.

ამ ვერსიის თანახმად, ბედუკაძეს ათქმევინებენ, რომ ყველაფერი, რაც ბაჩო ახალაიაზე თქვა, იყო სიცრუე. რომ ბედუკაძემ ეს ირმა ინაშვილის დავალებით გააკეთა. ამ ვერსიის ფარგლებში ერთ-ერთი მძიმე ბრალდებისაგან გათავისუფლდება ბაჩო ახალაია, ხოლო ირმა ინაშვილი კიდევ ერთხელ აღმოჩნდება ძლიერი და ფართომასშტაბიანი პიარ-შეტევის ეპიცენტრში.

დაბოლოს, რატომ აბრუნებენ ბედუკაძეს საქართველოში? აბრუნებენ, როგორც სადისკრედიტაციო იარაღს თუ როგორც დამნაშავეს, რომელიც უნდა გასამართლდეს და დაისაჯოს ათობით პატიმრის წამების გამო?

„ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურატურამ დაკითხა ის პატიმრები, რომელთა წამებაც ასახულია ციხის კადრებში. პატიმრები ჩვენებებში ადასტურებენ, რომ ბედუკაძე მათ რეალურად აწამებდა. ასევე, არსებობს პატიმარ რატი რეხვიაშვილის ჩვენება, რომელიც ბედუკაძეს პირდაპირ ადანაშაულებს არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაში. ცნობილია, რომ რეხვიაშვილი ბედუკაძემ ე.წ. ქათმების კამერაში შეაგდო. რატი რეხვიაშვილის დედა, რომელმაც პროკურატურას ჯერ კიდევ 2012 წლის 28 ნოემბერს მიმართა, აცხადებს, რომ მისი შვილის წერილით არავინ დაინტერესებულა. „ვერსია“ აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას და რატი რეხვიაშვილის დედასთან, ქალბატონ მარინა რეხვიაშილთან სკანდალურ ინტერვიუს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ოზურგეთის გამგებლისა და აქტივისტის შელაპარაკება სროლაში გადაიზარდა

ქართული ოცნება ზვიად კვაჭანტირაძეს პროვოკაციაში ადანაშაულებს

გიორგი სირაძე,
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ კოტე შარაშენიძესა და აქტივისტ ნესტორ რამიშვილს შორის შელაპარაკება სროლასა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. გავრცელებული ინფორმაცია „ვერსიას“ ქართულ ოცნებაში უამრავმა ადამიანმა დაუდასტურა — კოტე შარაშენიძემ, 16 იანვარს, ღამით, ოზურგეთში, ლერმონტოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, სამსახურის მანქანით მიაკითხა ნესტორ რამიშვილს, რომელიც მას დასაქმებას სთხოვდა. რამიშვილმა შარაშენიძე მანქანაშივე სცემა. გამგებელმა შეძლო თავის დაღწევა და მის თანამებრძოლს, ცეცხლსასროლი იარაღის რამდენჯერმე ჩარტყმით, თავი გაუტეხა, ჰაერში იარაღი გაისროლა და შემთხვევის ადგილი დატოვა. აღნიშნული ინფორმაცია რომ არ გავრცელებულიყო, ამისთვის ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა კვაჭანტირაძემ შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოიყენა. „ქართული ოცნება“ გადაწყვეტილების მისაღებად დღესაც ემზადება. 16 იანვარს მომხდარი ინციდენტის თაობაზე „ოცნება“, ფაქტობრივად, ორად გაიყო.

ტიფო მიქატაძე და დათო დარჩია ნესტორ რამიშვილს შეხვდნენ და მასთან მოლაპარაკებები უკვე აწარმოეს, რათა ფაქტი არ გახმაურდეს. მეორე მხარე კი, ძირითადად, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები დიმიტრი კვერღელიძე, ბესო მელუა და საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ლელა ნაცვალაძე სიმართლის გარკვევას მოითხოვენ. ისინი ამ წუთებში, დარჩია-მიქატაძის შემდეგ, ხვდებიან რამიშვილს, რომელიც, სავარაუდოდ, მეზობლებთან აფარებს თავს. რაც შეეხება საკრებულოს დეპუტატებს, „ნაციონალებიდან“ ისინი შარაშენიძის გადადგომას ითხოვენ. მოთხოვნას უერთდება ლელა ნაცვალაძეც. რამიშვილთან მოლაპარაკებების შემდეგ, „ოცნება“ საგანგებო და გაფართოებულ შეკრებას გამართავს და გადაწყვეტილებასაც აცნობებს სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს, ზაზა პეტრიაშვილს, რომელიც სწორედ „ოცნების“ მითითებით დაიწყებს მოქმედებას. მომხდართან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კოტე შარაშენიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ოზურგეთის გამგებელს გამოძიება „ქართული ოცნების“ წევრის ნესტორ რამიშვილის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. როგორც გურიის პოლიციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, შარაშენიძის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილითაა აღძრული (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება). ამჟამად, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, „ქართული ოცნება“ ზვიად კვაჭანტირაძეს პროვოკაციაში ადანაშაულებს. „ნესტორ რამიშვილისა და კოტე შარაშენიძის დაპირისპირება დეპუტატის პროვოცირებულია“. „ქართული ოცნების“ ერთი ჯგუფი, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს, პარლამენტის უმრავლესობის ნევრ ზვიად კვაჭანტირაძეს პროვოკაციაში ადანაშაულებს. „ქართული ოცნების“ აქტივისტების განცხადებით, ზვიად კვაჭანტირაძემ დაითანხმა ჯერ ნესტორ რამიშვილი, შემდეგ კი, კოტე შარაშენიძე, რომ ისინი ერთმანეთს შეხვედროდნენ.

„მიაქციეთ ყურადღება, ეს ყველაფერი ნესტორ რამიშვილის სახლთან მოხდა. შარაშენიძემ მას სახლში მიაკითხა და სანამ რესტორანში კარგად არ დათვრა, მანამ რამიშვილთან შეხვედრაზე არ გამოუშვეს“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბარში „ოცნების“ აქტივისტი ნუგზარ გიორგაძე. იგივე გიორგაძე იხსენებს, რომ ნესტორ რამიშვილი, შარაშენიძესთან შეხვედრის წინააღმდეგი იყო. ის დეპუტატს, ზვიად კვაჭანტირაძეს უნდა შეხვედროდა, მაგრამ კვაჭანტირაძემ ტელეფონით აცნობა, რომ კოტე შარაშენიძესთან, როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ყველაფერი (მისი საკითხი) გარკვეულია და დეტალებზე უნდა ესაუბრა. გიორგაძის თქმით, მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. შეხვედრაზე მისული მთვრალი შარაშენიძე, პირად შეურაცხყოფასა და ფიზიკურ ზეწოლაზე გადავიდა. მანქანიდან ჩამოსულ და მისი მისამართით წასულ რამიშვილს კი იარაღის კონდახი ჩაარტყა თავში და შეხვედრის ადგილიდან მიიმალა. გიორგაძე წუხს, რომ თვითმხილველებიც, ოჯახიცა და თავად რამიშვილიც კომენტარებს არ აკეთებენ და მომხდარს უარყოფენ: **„პირველი, ვინც ნესტორი თავგატეხილი ნახა, მე ვიყავი. მთელი „ოცნება“, 200-მდე კაცი, როგორც ერთი, შევიკრიბეთ, გავერთიანდით და ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ. კოტე შარაშენიძესა და ზვიად კვაჭანტირაძეს, ამ უსახურ კაცს, ეს არ შერჩება!“** — აცხადებს გიორგაძე.

რუსუდან შელია
პოლიტიკა

ექსპერტი, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორი, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, ამჟამად, შიდა ქართლის გუბერნატორი ანდრო ბარნოვი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების მობილიზებას, პარტიის რეაბილიტაციასა და მოსახლეობასთან მაქსიმალურად გამჭვირვალედ მუშაობას გეგმავს. როგორ წარმოუდგენია ყოფილი ხელისუფლების შეცდომების გამოსწორება და, რეალურად, რას შეცვლის რეგიონში, პრეზიდენტის მიერ დანიშნული ახალი რწმუნებული? — „ვერსიის“ კითხვებს ანდრო ბარნოვი პასუხობს.

„ნუ მეკითხებით ამ თემაზე!“

უგუღავას რა ინიციატივას არ ეთანხმება პრეზიდენტის რწმუნებული ანდრო ბარნოვი და როგორ დაამტკიცებს, რომ არ იქნება „ფორმალური გუბერნატორი“

— ვერ გეტყვით, რატომ გადაწყვიტა პრეზიდენტმა შიდა ქართლში რწმუნებულად ჩემი დანიშვნა, თუმცა პირადად, მე, შემოთავაზებაზე მხოლოდ დღენახევარი ვიფიქრე და სიამოვნებით დავთანხმდი. მინდა, გითხრათ, შიდა ქართლსა და სხვა რეგიონებშიც, ნაციონალური მოძრაობის იდეების მხარდამჭერი ახალი სახეების შემოკრების პროცესი მიმდინარეობს, რათა პარტიამ ახალი ძალითა და ენერგიით განაგრძოს სამომავლო საქმიანობა. გუბერნატორად ჩემი დანიშვნის ერთ-ერთი ახსნა, ალბათ, ესეც არის.

— ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად, შიდა ქართლში რწმუნებულის მოვალეობის კი არა, პარტიული დავალებების შესასრულებლად წახვედით?

— პრეზიდენტისგან მივიღე დავალება — შიდა ქართლის რეგიონში უნდა მუშაობდეს პოლიტიკური ლიდერი. პარტიის ოფისები არ მეხება, მაგრამ ცხადია, ამ მიმართულებითაც დავინტერესდები და ვნახავ, რა ხდება. ფაქტია, დღეს ქვეყანაში საკმაოდ რთული ვითარებაა და ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა ის მხარდაჭერა, რაც ცხრა წლის განმავლობაში ჰქონდა. ვფიქრობ, ამის ძირითადი მიზეზი მოსახლეობასთან კომუნიკაციის ნაკლებობა იყო. საზოგადოებასთან ურთიერთობა, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში გართულდა, როცა ოპონენტმა ძალამ არაეთიკური ხერხების გამოყენებით, ჩვენი პარტიის რეიტინგის დაგდება დაიწყო. შესაბამისად, სწორედ ახლა უნდა ვიფიქროთ დაკარგულის აღდგენასა და სიტუაციის რეაბილიტაციაზე. საბედნიეროდ, უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა არ დაშლილა და ყველა წევრს ერთგულად ინარჩუნებს.

— პრეზიდენტის განცხადებით, ახლა ნაციონალური მოძრაობის ბრძოლის ხაზი სწორედ გუბერნატორებზე გადის, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს წინა წლების მონაპოვრის დაცვაც დაავალა. თქვენ რა დავალება მიიღეთ სააკაშვილისგან?

— არა მგონია, ბრძოლის ხაზი ექსკლუზიურად, გუბერნატორებზე გადიოდეს, მაგრამ რწმუნებული ერთ-ერთი რგოლია ამ ბრძოლაში. გუბერნატორი, ამჟამინდელი მდგომარეობით, ვითარების რეალურად შესაცვლელად პირდაპირი მართვის ბერკეტებს არ ფლობს, მაგრამ როგორც გითხარით, კომუნიკაციის საშუალებით, შევეცდები მოსახლეობის ნდობის აღდგენას იმ ძალის მიმართ, რომელმაც საქართველოს უახლეს ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა. ამ ყველაფერს გაგრძელება სჭირდება. ვაღიარებ, ჩვენი გუნდის მმართველობის პერიოდში გარკვეული გადაცდომები იყო კონკრეტული ადამიანების მხრიდან, მაგრამ ეს სასამართლომ უნდა გაარკვიოს. ნამდვილად არ დავუშვებ, რამდენიმე პირის გამო მთლიანად პარტიას ფუნდამენტური პრობლემები შეექმნას. ნაციონალური მოძრაობა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სხვებისგან განსხვავებით, კონკრეტულ ხედვებსა და პრინციპებზეა დაფუძნებული.

— აღნიშნეთ, რომ გუბერნატორს, ამ ეტაპზე, რეგიონში რეალობის შეცვლის უნარი არ შესწევს. საინტერესოა, როგორ მოახერხებთ ადგილობრივ გამგებლებთან ურთიერთობას, მათი უმრავლესობა ხომ „ოცნების“ წარმომადგენელია?

— ვისაც ჰგონია, რომ მხოლოდ ფორმალური გუბერნატორი ვარ, ცოტაც მოითმინოს და კარგად ნახავს, არის თუ არა ეს ფორმალობა! რაც შეეხება გამგებლებს, ბრძანებებს ნამდვილად არ გავცემ, უბრალოდ, ვუყურებ, რა ხდება.

— უკვე მეორედ, თქვენს განცხადებაში მუქარა იგრძნობა... მაშინ განმარტეთ, რას გააკეთებთ იმისთვის, რომ ნაციონალურ მოძრაობას ფუნდამენტური პრობლემები არ შეექმნას ან რას უნდა ელოდეს საზოგადოება თქვენგან?

— ვფიქრობ, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ გეტყვით, კონკრეტულად, დღეს რასაც ვაკეთებ: აქტიურად ვურთიერთობ მედიასთან, შევხვდი გორში საკრებულოსთან არსებულ საზოგადოებრივ დარბაზს. საერთოდ, მთელი გეგმა მაქვს გაწერილი... ამასთან, მაქსიმალურად ვეცდები, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა გამჭვირვალე გახდეს.

ჩვენ დავუშვით ერთი ძირითადი შეცდომა — გართულებულ ვითარებაში ეფექტიანობის ვარდნა, არადა, სწორედ კომუნიკაციაა ყველაზე ეფექტური იარაღი, რომელიც ოპოზიციურმა ძალამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. პოლიტიკა, ძირითადად, კომუნიკაციის უნარზე დგას. ჯერ უნდა დავიწყოთ თანამშრომლობა, გამგებლებთან ურთიერთობის დაწყებაც ადვილად წარმომიდგენია, რადგან მათთან კონფრონტაციას არ ვაპირებ. უახლოეს დღეებში ყველას შევხვდები და რეგიონებში არსებულ პრობლემებზე გავესაუბრები. ამასთან, ჩავიხედავ ციფრებშიც...

აქვე დავძენ, რომ გამგებლებთან პირადი თხოვნა ნამდვილად არ მექნება, მაგრამ თუ ქვეყანასა და რეგიონს დასჭირდა ჩემი განკარგულებების შესრულება, ეს მათ ვალდებულებაში შედის.

— ბევრს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ხავსს ეჭიდებით. თბილისის 10 რაიონად დაყოფის იდეაც საზოგადოების უმრავლესობამ სწორედ ასე გაიგო.

— წყალწაღებული პირადად არ ვყოფილვარ, ამიტომ ხავსზე მოჭიდებაც ნაკლებად მჭირდება. იცით, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება შეუძლებელ საქმედ სულაც არ მიმაჩნია. ვიმეორებ, „ნაცმოძრაობა“ არ მემეტება სერიოზული პრობლემებისთვის. მაშინაც კი, როცა ამ პოლიტიკური გუნდის წევრი არ ვიყავი, ამ ძალის ზოგად მიმართულებებს ვუჭერდი მხარს. რაც შეეხება თბილისის 10 რაიონად დაყოფას, დიახ, ვფიქრობ, ეს სწორედ შტატების გაზრდის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებაა. როგორც ჩანს, კიდევ უამრავი ადამიანი დარჩა თანამდებობაზე დასანიშნი, რისთვისაც არსებული ადგილები არასაკმარისია. მენეჯმენტის არანაირ ლოგიკაში არ ჯდება აღნიშნული გადაწყვეტილება და საზოგადოებაც მართებულად სვამს კითხვას, რამე პრობლემა იქმნებოდა იმით, რომ თბილისში ხუთი რაიონი იყო?! ნამდვილად არ მესმის.

— ბატონო ანდრო, ცოტა ხნის წინ ნაციონალური მოძრაობის სწორ ხედვებში გვარწმუნებდით, ახლა კი, თანაგუნდელის, გიგი უგულავას ინიციატივას უპირისპირდებით?

— ...არ ვიცი, მართლა, არ ვიცი. ამის შესახებ ტელევიზიით შევიტყვე და როგორც ჩანს, კარგად ვერ მოვისმინე, ვისი მხრიდან გაჟღერდა ინიციატივა.

— თუ აღნიშნული საკითხი გიგი უგულავას ინიციატივაა, წინა შეფასებას ცვლით და შტატების ხელოვნურად ზრდას მართებულად მიიჩნევთ?

— ნუ მეკითხებით ამ თემაზე! ხომ გითხარით, არ ვიცოდი, მერის ინიციატივა თუ იყო... უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ხელისუფლებისგან გამართულ გეგმას ეკონომიკაში, განათლებაში, საგარეო თუ რეგიონულ პოლიტიკაში ვერ ვხედავ. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ შევიტყვე, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურები, რომლებიც ადრე, გამგეობებს ექვემდებარებოდა, გაუქმდა და ცენტრალიზებულად სამინისტროს შემადგენლობაში გადადის. ეს სწორი პოლიტიკა ნამდვილად არ არის — პირიქით, რეგიონალიზმისა და თვითმმართველობის პრინციპი დარტყმის ქვეშ დგება. გამოდის, თავისივე გამგებლებს ეწინააღმდეგებიან და, ფაქტობრივად, უფუნქციოდ ტოვებენ.

— გორში ჩასულს, რესურსებიც შეზღუდული დაგხვდათ და ადმინისტრაციის შემცირებულმა ბიუჯეტმა, შესაძლოა, გადაადგილების პრობლემაც შეგიქმნათ. ამ ვითარებას როგორ გამოასწორებთ?

— საუბრით! დაველაპარაკები საკრებულოს თავმჯდომარეს, გამგებლებს, ფინანსთა სამინისტროს და ჩემ არგუმენტებს გავაცნობ. კონკრეტულად, საუბრის დეტალებს ვერ გეტყვით, კიდევ რამდენიმე დღე მჭირდება ყველაფრის დასალაგებლად, მაგრამ იმედი მაქვს, ამ გზით შედეგს აუცილებლად მივაღწევ.

„ბოლო დროს, სააკაშვილი ძალიან მომწონს“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

ექსპერტი კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში ალექსანდრე რუსეცკი, რომელიც „ქართული ოცნებისადმი“, რბილად რომ ვთქვათ, განსაკუთრებული დამოკიდებულებით არასოდეს გამოირჩეოდა, სახელმწიფო კანცელარიაში, პრემიერის აპარატში მრჩევლად მუშაობს. მართალია, ამის შესახებ საუბარსა და თავისი ზუსტი სტატუსის დაკონკრეტებას ერიდება, მაგრამ ფაქტია, „ოცნებამ“ კრიტიკა უცნაურად დაუფასა და ახლა სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლებს პრობლემათა მოგვარების სტრატეგიებს უსახავს. „ვერსიის“ რესპონდენტი ალექსანდრე რუსეცკია, რომელიც აღიარებს, რომ მიუკერძოებელი ექსპერტობა აღარ გამოსდის, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ორიგინალურად აფასებს.

პრემიერის მრჩეველის, ალექსანდრე რუსეცკის „მიკერძოებული“ პროგნოზები

— მოხარული ვარ, რომ ჩემი მოსაზრებები დაფასდა. შესაბამისად, ახლა ჩვენი იდეების განხორციელების შესაძლებლობა არა მხოლოდ არასამთავრობო, არამედ სახელმწიფო დონეზეც გვაქვს. სტატუსი არ შემიცვლია. როგორი ექსპერტიც ვიყავი, ისეთივე ვარ, უბრალოდ, კანცელარიის „სტაფის“ თანამშრომელიც გახლავართ — პრესის ტექსტების ანალიზზე ვმუშაობ. სხვადასხვა სამინისტროს, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ვკრებთ, ვაანალიზებთ პრობლემებს, ვსახავთ მათი მოგვარების გზებს...

— ამ ანალიზის შედეგად, მთავარ პრობლემად რა იკვეთება?

— ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ინსტიტუციური სტრუქტურა და თუ არსებობს, გაუმართავად მუშაობს. ჩვენ გვჭირდება ინსტიტუცია, რომელიც ხელს შეუწყობს დავების მოგვარებას დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დღეს ქვეყანაში ამის სერიოზული დეფიციტია!

— თქვენი მოსაზრებები არჩევნების მერე რამდენად შეიცვალა? „2012-2013 წლები მთელი რეგიონისთვის გადამწყვეტი წლებია, რადგან გაირკვევა, საით წავა პროცესები რეგიონში“ — არჩევნების შედეგებმა რა მიმართულება მისცა ამ პროცესებს?

— კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს, ცხადია, ეს შედეგები დაეტყო და მომავალში, უფრო დაეტყობა. სხვა მეზობლებსაც გაუჩნდათ სურვილი, ახალი პოლიტიკური კულტურის დონეზე იფიქრონ, ალბათ სურთ, ერთობლივი თანაცხოვრების სხვა ეტაპზე გადავიდნენ.

— არჩევნებამდე ამბობდით, „საქართველოში თანაცხოვრების კულტურის ნაკლებობაა, ამიტომ ვერავინ ვერაფერს მოიგებს და ერთი დამპალი სიტუაციიდან მეორეში გადავალთ“... პროგნოზი აგიხდათ, არა?

— ეს იყო ჩემი მესიჯი წინა ხელისუფლებისთვის, რათა მას სახელმწიფოებრივი აზროვნება გამოეჩინა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა გადაენაწილებინა. სანაცვლოდ, ხისტი მიდგომა აირჩიეს. მიხარია, რომ ჩემი უარყოფითი პროგნოზი არ გამართლდა, რადგან, პოლიტიკური არეულობა არ მაწყობს. დიახ, ქვეყანაში დამპალი სიტუაცია დარჩა, რადგან თავად სისტემა დარჩა დამპალი. არც ის დაძაბული რეჟიმი მომწონს, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. ნებისმიერ პოლიტიკურ მოღვაწეს საკუთარი შეცდომების აღიარების ძალა უნდა ჰქონდეს. დღესაც, ბევრი პრობლემა არ და ვერ იმართება ისე, როგორც საჭიროა, თუმცა დემოკრატიის დონე და ხარისხი, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა.

— დემოკრატიის დონე და ხარისხი საქართველოში 2 თვეში ამაღლდა?

— ეს 2 თვეში კი არა, 1 დღეში მოხდა, როცა ადამიანებმა დაიჯერეს, რომ შესაძლებელია, ამ ქვეყანაში უკანონობა და განუკითხაობა დასრულდეს. უკვე დღეს, საქართველოს მთავრობა მოქალაქეებს საკუთარი უფლებების დაცვაში ხელს შეუწყობს!

— „სააკაშვილ-ივანიშვილის მოხრეები უნდა დავარწმუნოთ, მოილაპარაკონ და ადგილები გაინაწილონ, რათა ყველა დამშვიდდეს და კოლექტიურად მოგვწველოს“, — ესეც თქვენი ფრაზაა. დღეს ყველა დამშვიდებულია და ხალხის კოლექტიური წველა მიდის?

— ახლაც ვფიქრობ, რომ ეროვნული რესურსები და სახელმწიფოს მართვის პასუხისმგებლობაც გადანაწილებული უნდა იყოს. რაც შეეხება „კოლექტიურ წველას“, ხომ ნახეთ, პრემიერმა 2013 სიყვარულის წლად გამოაცხადა, ტერორი მისი მართვის მეთოდი აღარ არის, სიყვარული კი ტერორის ალტერნატივაა.

— ახლა თქვენ მიუკერძოებელი ექსპერტი ხართ?

> **— აღარ ვარ, ვაღიარებ, სახელმწიფო მოხელე გავხდი, თუმცა რა აზრზეც ვიყავი, იმ აზრზე დავრჩი — კონსტრუქციული პოლიტიკური თანამშრომლობა მეტია, ვიდრე კოჰაბიტაცია. ამისთვის საჭიროა ძლიერი ოპოზიცია, ხელისუფლებაში მყოფი ძალა არ უნდა ახდენდეს ძალაუფლების მონოპოლიზებას. ძველი ხელისუფლება კი ამას ისევ ცდილობს. დღეს, რეალურად, ყოფილი მმართველი გუნდის გარდა, სხვა ოპოზიციური ძალა არც ჩანს.**

— მერე, ეს „ნაცმოძრაობის“ გამო ხდება თუ „ოცნების“?

— ძველმა ხელისუფლებამ პარლამენტში ეს უკვე მოახერხა, მაგრამ გარეთ — ვერა. არავის არაფერს ვაბრალებ, უბრალოდ, ფაქტების კონსტატირებას ვახდენ. ეს უნიკალური შემთხვევაა, როცა ყოფილი მმართველი ძალა უმცირესობაშია და ამავე დროს, საპრეზიდენტო ინსტიტუტის ბერკეტებს ფლობს. როცა სახეზე კონკრეტული დანაშაულია, იმის მიუხედავად, რომელი პოლიტიკური ძალის მრწამსს მიეკუთვნები, უნდა დაისაჯო. „ნაციონალებს“ კი სუფთა ფურცლიდან სურთ ყველაფრის დაწყება და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის დავიწყება, მაგრამ ხალხში სამართლიანობის მოთხოვნის ძლიერი მუხტი არსებობს!

— გამოდის, არ ამართლებთ ივანიშვილის ინიციატივას პოლიტიკური ამნისტიის შესახებ?

— პოლიტიკური ამნისტიის შესახებ პრემიერ-მინისტრს მხოლოდ სიტყვიერი შეთავაზება ჰქონდა, ამიტომ მისი ნათქვამის სხვადასხვანაირად ინტერპრეტირება შეიძლება. ნორმალურია, როცა პოლიტიკურ ძალებს შორის თანამშრომლობის პროცესი მიმდინარეობს და ჩვენ ამ პროცესის შედეგებს ვხედავთ.

— მოსახლეობის ნაწილი კი ამ პროცესს გარიგებას უწოდებს...

> **— მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის ნორმალური, ცივილური ურთიერთობაა, თუნდაც პატრიარქისა და საპატრიარქოს სტუმრების თანდასწრებით მაინც. აბა, გერჩივნათ, ეს შეხვედრა არ შემდგარიყო, ან შემდგარიყო და ერთმანეთისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ?!**

— მე გკითხეთ, პოლიტიკურ ამნისტიას, როგორც აქტს, თუ ამართლებთ?

— ვერც პრემიერი, ვერც პრეზიდენტი, ვერც დეპუტატი განსაზღვრავს კანონთან მიმართებაში, არის თუ არა კონკრეტული ადამიანი დამნაშავე. ამაზე პასუხს სპეციალური სტრუქტურები აგებენ და კანონი არეგულირებს. ფართომასშტაბიანი ამნისტია, რომელიც სახეზე გვაქვს, დადებითი პროცესია. არ გამოვრიცხავ, ამის შედეგად კრიმინოგენულმა დონემ იმატა ქვეყანაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დეზინფორმაციის დონემაც იმატა. პატრულმა აიღო ქრთამი, მებაჟემაც ქრთამი აიღო, ამ დროს, დამნაშავის სახელი არ კონკრეტდება და ამით შეურაცხყოფილი რჩება მთელი პროფესიული ჯგუფი.

დასასრული მე-10 გვერდზე

190 ტუსალის პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლების შემდეგ, შეიძლება, საქართველოს ფულის გადახდა მოუხდეს

RadioFreeEurope
RadioLiberty

კანონმდებლები საქართველოში იმ ჭეშმარიტებას ეუფლებიან, რომელსაც ძველი ანდაზა გვასწავლის – „როდესაც რაიმეს ითხოვ, ფრთხილად იყავი“.

იმ ახალი კანონის თანახმად, რომელსაც საქართველოს პარლამენტის სპიკერმა, დავით უსუფაშვილმა მოაწერა ხელი, პოლიტპატიმრად აღიარებული 190 ადამიანი ციხიდან გაათავისუფლეს.

ყველაფერი 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს მოჰყვა, სადაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ), მისი მეტოქის, ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ, „ქართულმა ოცნებამ“ დაამარცხა. ივანიშვილი დღეს პრემიერ-მინისტრია, ხოლო ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო უმცირესობაშია.

სააკაშვილმა ამნისტიას ვეტო დაადო, ხოლო პატიმრებს რუსეთის ჯაშუშები და კრიმინალები უწოდა. ვეტო პარლამენტმა გადალახა და ტუსაღები 13 იანვარს გაათავისუფლეს.

საქართველოს სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა ამ დღეს „ისტორიული“ უწოდა და განაცხადა, რომ **„იმ ადამიანების სამართლებრივი დევნა, ვინც პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს, დასრულდა“.**

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებით, **„პოლიტპატიმართა საქმეები უნდა გასაჯაროვდეს, რათა საზოგადოებამ დაინახოს, რომ ისინი, ფაქტობრივად, სააკაშვილის მძევლები და პირადი პატიმრები იყვნენ“.**

ნაბიჯი, რომელიც სააკაშვილის ხარჯზე შეცდომების გამოსწორებასა და პოლიტიკური ქულების დაგროვებას ისახავდა მიზნად, შეიძლება ბოლომდე არ იყო გააზრებული. საქმე ისაა, რომ პოლიტიკურ პატიმრად გამოცხადებულ ადამიანებს ახლა, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, შეუძლიათ, სახელმწიფოს ფინანსური კომპენსაცია მოსთხოვონ.

რადიო „თავისუფლების“ ქართული სამსახურის დირექტორი დავით კაკაბაძე ამბობს, რომ, შესაძლოა, ეს ნაბიჯი რამდენადმე „გაუთვლელი“ იყო.

„მათ რომ თავიანთი ქმედების შედეგებზე ეფიქრათ“, — ამბობს კაკაბაძე, — **„შესაძლოა, ამდენი ადამიანისთვის ერთდროულად პოლიტიკური პატიმრის სტატუსი არ მიენიჭებინათ“.**

ცნობილი ქართველი იურისტი და უფლებადამცველი ლია მუხაშავრია ამ აზრს ეთანხმება და რადიო „თავისუფლებას“ ეუბნება, რომ **„პარლამენტის გადაწყვეტილება, რეალურად, იმის მტკიცებულებაა, რომ ყველა ეს პირი უკანონოდ და პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს“.**

„ამიტომ სამართლებრივი თვალსაზრისით, მათ აღარ სჭირდებათ დამატებითი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ უკანონოდ იყვნენ დაპატიმრებულნი. ეს კარგი საფუძველია იმისთვის, რომ მიმართონ სასამართლოს და მორალური და ფინანსური კომპენსაცია მოითხოვონ. ბევრი აპირებს კიდეც ამას“.

გიორგი დემეტრაძე, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ამბობს, რომ ის ნამდვილად შეეცდება ფინანსური ზარალის ანაზღაურებას. მისი თქმით, ეს ზარალი მას მაშინ მიადგა, როდესაც ციხეში იჯდა.

დემეტრაძემ, რომელიც 2011 წლის მარტში, ე.წ. კანონიერ ქურდებთან, ანუ კრიმინალურ ელემენტებთან კავშირის ბრალდებით დააპატიმრეს, ადრევე მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს. იგი ამბობს, რომ იძულებული იყო, უარი ეთქვა უკრაინისა და კვიპროსის საფეხბურთო კლუბების მომგებიან წინადადებებზე თავისი „უკანონო პატიმრობის“ გამო. მისი თქმით, სახელმწიფოს მისთვის კომპენსაციის გადახდა ევალება.

კიდევ ერთი პატიმარი, რომელიც ასევე ფიქრობს, ვახტანგ მაისაიაა, კარგად ცნობილი პოლიტოლოგი და ყოფილი დიპლომატი, რომელიც 2009 წელს რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით დაუპატიმრეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

„ერთი რამ შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ, ამ საქმეს ბოლომდე მივყვები“, — უთხრა მაისაიამ რადიო „თავისუფლების“ ქართულ სამსახურს გათავისუფლების შემდეგ, — **„ყველა ბრალდება ბოლომდე უნდა გამოიძიონ. და მე ყველა საშუალებას მივმართავ, რათა საქმე ბოლომდე მივიყვანო, ყველა დონეზე, პოლიტიკურ და სამართლებრივ დონეზე“.**

მაისაია ამბობს, რომ აპირებს, საჩივრით მიმართოს ჰაგის საერთაშორისო სამართლის სასამართლოს მისი იურისდიქციის ფარგლებში იმ ბრალდებების გამო, რომელთა საფუძველზეც გაასამართლეს – ჯაშუშობა ომის დროს.

მაისაია 2004-2008 წლებში ნატო-ში საქართველოს მისიაში კონსულტანტად მუშაობდა. მისი თქმით, პრობლემები იმიტომ შეექმნა, რომ დიდი ხანია, ნეგატიურად იყო განწყობილი სააკაშვილის „რეჟიმისადმი“ და „საერთაშორისო კონტაქტებიც“ ჰქონდა. ის ამბობს, რომ სააკაშვილი მას „უცხოეთში საქართველოს იმიჯის შელახვაში“ სდებდა ბრალს.

მისი თქმით, სააკაშვილს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს არა მხოლოდ მისი საქმის, არამედ „მთელი საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებათა გამოც“.

„მე მისი პირადი პატიმარი ვიყავი. ამაში ეჭვი არ მეპარება“.

ახლა საკითხავი ის არის, რა დაუჯდება ეს სახელმწიფოს?

foreignpress.ge

ბადრი ბიწაძე ამნისტირებულია

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი ბადრი ბიწაძე ამნისტირებულია, — ეს ინფორმაცია ბიწაძის ადვოკატმა, ლევან სამუშიამ გაავრცელა.

„ბიწაძეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზების ბრალდება ოფიციალურად, 17 იანვარს მოეხსნა. ადვოკატი არ აკონკრეტებს, როდის დაბრუნდება ბიწაძე საქართველოში. „ეს მისი გადასაწყვეტია“, — აღნიშავს სამუშია.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის, ნინო ბურჯანაძის მეუღლეს, ბადრი ბიწაძეს ბრალი 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისას, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზების მოტივით, დაუსწრებლად წაუყენეს, რადგან საქართველოში არ იმყოფებოდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

მოსახლეობას ელექტრონული კარტოგრაფიული რუკების საშუალებით აღწერენ



ამის შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა, ზაზა ჭელიძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის განმარტებით, ამ დროისთვის, მისი უწყება მოსახლეობის აღწერის მომზადების პროცესშია და სასურველია, 2015 წლამდე დასრულდეს. **„აღწერის მოსამზადებელ პროცესში საქსტატი მუდმივად იმყოფება. ახლა ვაკეთებთ ელექტრონულ კარტოგრაფიულ რუკებს და საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში იქნება პირველი ქვეყანა, სადაც მოსახლეობის აღწერა ამ რუკების დამხარებით მოხდება. იმედი გვაქვს, აღწერა 2015 წლამდე ჩატარდება. პროცესი ორეტაპიანია. პირველ ეტაპზე, მოხდება შენობებისა და ნაგებობის აღწერა, მეორეზე კი, ადამიანების რაოდენობას დავითვლით“.**

„ჯი-ეიჩ-ენი“

რაფომ ებრაღება „ნაციონაღები“, რაფომ პროგნოზირებს ესკაღაციას და რაფომ აქვს გურამ შარაძის მკვღელობის გახსნის იმედი მანუჩარ მაჩაიძეს

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲕᲐᲓᲐᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ! ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ!“

„ვითხოვთ ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას. მანამდე პრეზიდენტის ფუნქცია პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა შეითავსოს“

რატომ ვერ შეეგუა ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში დამარცხებას, გადადგება თუ არა 20 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი, ათწლიანი პოლიტიკური პაუზის შემდეგ რატომ გადაწყვიტა აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება, აქვს თუ არა გურამ შარაძის მკვლელობის ობიექტურად გამოძიების იმედი? — „ვერსიის“ კითხვებს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წევრი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი, ლეგენდარული 7 ნომერი მანუჩარ მაჩაიძე პასუხობს.

— ქვეყანაში საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა. დღითიდღე ცხადი ხდება, რომ ყოფილი ხელისუფლება მარცხს ჯერ ვერ ეგუება და პოლიტიკური ტემპერატურის ხელოვნურად აწევას ცდილობს. საერთოდ, დღემდე ვერ ამიხსნია, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რატომ განაცხადა ქვეყნის პირველმა პირმა, ოპოზიციაში გადავდივარო?! მსგავსი პრეცენდენტი მსოფლიოში არ არსებობს. იმ დღიდან მოყოლებული, მის საუბარში მუქარის ტონი სულ უფრო მკვეთრი ხდება, ამიტომ აუცილებელია, პრეზიდენტმა თანამდებობა დაუყოვნებლივ დატოვოს. მით უმეტეს, კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო ვადა 20 იანვარს ეწურება.

— პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით, უკვე შეგროვდა 800 ათასი ხელმოწერა. მომზადდა სარჩელიც, რომელიც კონსტიტუციურ ცვლილებებს ითვალისწინებს, თუმცა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ახლა ეს ვერ მოხერხდება. შედეგის მიღწევას როგორ აპირებთ?

— არ მესმის, რა საჭიროა კვორუმი და პროცედურული გართულებები, რაზეც ეკა ბესელია საუბრობს?! მარტივია, პრეზიდენტმა კონსტიტუციის მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს და 20 იანვრის შემდეგ გადადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამწარებული ხალხი არ გაჩერდება. არსებობს საშიშროება, პროცესი დაპირისპირებაში გადაიზარდოს, რადგან ხელისუფლების ძალადობით მიტაცებას საზოგადოება ვერ შეეგუება. კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში პრეზიდენტს 5 წლის ვადით ვირჩევთ, ასე რომ, 2013 წლის 20 იანვარს სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა ეწურება, მაგრამ კონსტიტუციური ვაკუუმის შექმნას ცდილობს და საპრეზიდენტო ვადას 10 თვით იხანგრძლივებს. ვიმეორებ, შესაძლოა, ეს პროცესი ესკალაციაში გადაიზარდოს.

— ანუ შედეგს თუ ვერ მიაღწევთ, აქციებით იმუქრებით?

> **— რა თქმა უნდა, აქციებს დავიწყებთ. ჩვენ ხალხის აზრს ვახმაურებთ — მართალია, პრეზიდენტის იმპიჩმენტს 800 ათასზე მეტმა მოქალაქემ დაუჭირა მხარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობის 95% მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ წავა. ქვეყანას ვადაგასული პრეზიდენტი აღარ სჭირდება. საერთოდ, ადამიანი წაგებასაც ადვილად უნდა ეგუებოდეს. სწორედ მარცხთან შეგუებას სჭირდება ვაჟკაცობა. ჩვენ ვითხოვთ, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, დაინიშნოს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, მანამდე კი, პრეზიდენტის ფუნქცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შეითავსოს. ვფიქრობ, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტშიც არ უნდა იყოს და დამნაშავე ორგანიზაციად გამოცხადდეს, რადგან სწორედ ამ ადამიანების მიზანი საქართველოს განადგურება გახლდათ.**

ჩვენი განადგურება არაბებმა და მონღოლებმა ვერ შეძლეს, ვერც „ნაციონალები“ მოგვერევიან. „ქართულ ოცნებას“ დიდი მისია აკისრია — ქვეყანა სიდუხჭირიდან უნდა გამოიყვანოს. ვნახოთ, ახალი ხელისუფლება რამდენად სწორ პოლიტიკას გაატარებს.

— თქვენც გაკისრიათ მისია, რადგან ათწლიანი პაუზის შემდეგ პოლიტიკაში დაბრუნდით. ახალდაფუძნებულ საქართველოს პატრიოტთა ალიანსში რატომ გაწევრიანდით?

— პარლამენტი 1999 წელს დავტოვე, მაგრამ პოლიტიკაზე უარი არ მითქვამს. პარლამენტიდან წასვლის შემდეგ მე და ცხონებულმა გურამ შარაძემ დავაფუძნეთ პარტია „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. გურამი პარტიის თავმჯდომარე იყო, მე კი — მისი მოადგილე. მაშინ ანტიეროვნული ძალების წინააღმდეგ ვიბრძოდით და სწორედ ამ ბრძოლას გადააყოლეს საწყალი შარაძე. დიახ, ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო, რომლის დამკვეთიცა და შემსრულებელიც უნდა დაისაჯოს. არც ამის შემდეგ წავსულვარ პოლიტიკიდან შორს: 2008 წელს საპარლამენტო არჩევნებში მივიღე მონაწილეობა, რესპუბლიკური პარტიის სახელით ამბროლაურში ვიყრიდი კენჭს. მაშინ მოსახლეობას ნაციონალური მოძრაობა ჰყავდა გმირად გამოცხადებული. რაჭაში გაუსაძლისი ტერორი იყო და... დავმარცხდი. ხალხი მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა, ზომბირებულები აღარ არიან და ღიად გამოთქვამენ პროტესტს თითქმის 10-წლიანი რეჟიმის წინააღმდეგ.

— გურამ შარაძის მკვლელობა ახსენეთ. რამდენიმე დღის წინ რუსუდან შარაძემ განაცხადა, რომ პროკურატურაში მამის მკვლელობის თვითმხილველთა ჩვენებების წარდგენას გეგმავს. ფიქრობთ, ექვსი წლის შემდეგ, ამ საქმეს ობიექტურად გამოიძიებენ?

> **— ნამდვილად მაქვს ამის იმედი, რადგან აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობა ბარბაროსული აქტი იყო და ამაში ნაციონალურ მოძრაობას ჩემთვის გაურკვეველი ძალები ეხმარებოდნენ. სხვათა შორის, გურამ შარაძე მუდმივად იმეორებდა, რომ მოკვლით ემუქრებოდნენ, ასეც მოხდა, მაგრამ მათ ვერ იფიქრეს, რომ საქართველოში უამრავი პატრიოტი ცხოვრობს.**

იცით, რატომ მივიდა ხალხი ამ მდგომარეობამდე? მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში 17 წლის განმავლობაში იყო — 7 წელი მოქალაქეთა კავშირის ლიდერი და მთავარი იდეოლოგი გახლდათ, 2003 წლიდან კი ქვეყნის პრეზიდენტია. მისი მმართველობის პერიოდში, სახელმწიფოს არც ერთი სასიცოცხლო დარგი არ განვითარებულა — მრეწველობის განადგურება მოქალაქეთა კავშირის დროიდან დაიწყო, სოფლის მეურნეობა მიწასთანაა გასწორებული, რადგან სახელმწიფო გლეხებს მაქსიმალურად ავიწროებდა. სამაგიეროდ, საგარეო ვალმა 12 მილიარდ დოლარს მიაღწია. დიდი ალბათობაა, საქართველო გაკოტრებულ ქვეყნად გამოაცხადონ და აუქციონზე გაგვყიდონ. აღარაფერს ვამბობ „ნაცმოძრაობის“ მიერ შექმნილი კაცთმოძულე რეჟიმის დროს დაჩაგრულ ადამიანებზე — საპატიმროებში სექსუალურ თუ მორალურ ძალადობას ვგულისხმობ. ერთი სიტყვით, ძველი ხელისუფლება ახალი ერის შექმნას ცდილობდა და ამას კონკრეტული ფაქტების საფუძველზე გეუბნებით. ამ ყველაფერმა საზოგადოება იქამდე მიიყვანა, რომ სრულიად ერს „ნაცმოძრაობა“ და პრეზიდენტი შესძულდა. ნამდვილად მებრალებიან „ნაციონალები“, ისინიც ხომ ქართველები არიან?! უნდა შეიგნონ, რომ თავისი იდეოლოგიით ქვეყანა დაღუპვის პირას მიიყვანეს და ახლა მაინც მოეგონ გონს. მთავარია, ქართველებმა ჩვენი ენა, ტრადიცია, რელიგია და კულტურა შევინარჩუნოთ, რისი განადგურებაც ჯერ კიდევ მოქალაქეთა კავშირიდან დაიწყო. „ოცნებაშიც“ არიან ზედმეტად ლიბერალი პოლიტიკოსები და პარტიები, რომლებმაც ეროვნულობაზე განხორციელებული შეტევების მიუხედავად, ხმა არ აღიმაღლეს. არადა, როცა ქვეყანა დაღუპვის პირასაა, პოლიტიკოსისთვის დუმილი დაუშვებელია.

— კონკრეტულად, კოალიციაში შემავალი რომელი პოლიტიკოსი ან პარტია მიგაჩნიათ ზედმეტ ლიბერალად?

— არ დავაკონკრეტებ, საზოგადოება თავადაც მიხვდება, ვის ვგულისხმობ. ვფიქრობ, ამ მიმართულებითაც ვითარება მალე დარეგულირდება.

— პატრიოტთა ალიანსი რა როლს შეასრულებს ქართულ პოლიტიკაში?

— სპორტში ვიქნები თუ პოლიტიკაში, პირადად, მე, ვერავინ მაიძულებს ქართველი ერის საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმას. რიგითი ქართველი ვარ, რომელსაც სამშობლო უყვარს და მის საკეთილდღეოდ ყველაფერს გავაკეთებ. რა თქმა უნდა, მომავალ არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას და ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა საქართველოში ადამიანების უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა განვითარდეს და ჯანდაცვასა თუ განათლების სისტემაშიც სწორი რეფორმები გატარდეს...

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲓᲔᲓ ᲰᲐᲡᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲐᲓ ᲩᲐᲠᲘᲔᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ

რუსული გაზეთის, „იზვესტიას“ ცნობით, საგამოძიებო ორგანოებში ფიქრობენ, რომ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის, ასლან უსოიანის, იგივე დედ ჰასანის მკვლელობის დამკვეთი ქართველი „კანონიერი ქურდი“ ტარიელ ონიანია.

გამოცემის ცნობით, დედ ჰასანისა და ტარიელ ონიანის დაპირისპირების ისტორია ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან იღებს სათავეს.

მამის მკვლელობის შესაძლო დამკვეთის შესახებ საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებს დედ ჰასანის ქალიშვილი კარინე ამოიანი. მან რუსულ პრესას განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში უსოიანს ერთ-ერთ „ქურდულ შეკრებაში“ უნდა მიეღო მონაწილეობა, რომელსაც მასთან ერთად ქართველი და აზერბაიჯანელი კრიმინალური ავტორიტეტები უნდა დასწრებოდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, უსოიანი მასთან დაპირისპირებულმა აზერბაიჯანელმა ქურდმა, როვშან ჯანიევმა მოაკვლევინა.

რუსული მედიის ცნობით, უსოიანის უმსხვილეს კრიმინალურ კლანს ესპანეთის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, საქართველოში დაბადებული შაქრო კალაშოვი ჩაიბარებს და კრიმინალური სამყაროს „ტახტს“ უსოანის ნათესავ ჭანტურიასთან ერთად გაიყოფს.

„მედიანიუსი“

„ზურაბ ჯაფარიძემ თავს მიხედოს... არ მესმის, თავი რატომ უნდა ვიმართლო!“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

„საზოგადოება ეჭვობს, რომ ივანიშვილს ხუხაშვილი მართავს, მაგრამ გიმეორებთ, ჩემი მართვა ადვილი საქმე არ არის... კონკრეტულად გეტყვით, რა ევალება გია ხუხაშვილს: მას ევალება აზერბაიჯანთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობების დამყარება, მეგობრობდა „სოკარის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელებთან, მის ამ ცოდნას კარგად ვიყენებ და ხშირად, კონსულტაციებს ვიღებ აზერბაიჯანთან, „სოკართან“, რკინიგზასა და ტრანზიტებთან დაკავშირებით... რაც შეეხება ტრანზიტებს, ეს ქვეყნის საკუთრებაა, რომელიც ყველას ეკუთვნის, ამიტომ ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მისგან შედეგი და არა — ბიზნესმენების ერთმა ჯგუფმა. აი, აქ, ჩემი თხოვნით, რადგან ტრანზიტი, ძირითადად, სარკინიგზო ტვირთია, რომელიც დაკავშირებულია აზერბაიჯანთან, ჩაერია გია ხუხაშვილი. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ბიზნესმენები, არ დავასახელებ მათ გვარებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ბიზნესს აკეთებდნენ, ტრანზიტულ ტვირთებს აკონტროლებდნენ. ეს სახელმწიფოს საკუთრებაა და აი, ამას ვარეგულირებთ, ამ საკითხებში ვთხოვე გიას დახმარება, რადგან მან ეს სფერო კარგად იცოდა. ახლა ვადგენთ, რომ ის, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის, არც ერთმა ბიზნესმენმა არ მიისაკუთროს“, — ეს არის მცირე ამონარიდი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინტერვიუდან. როგორ აპირებს სახელმწიფო ტრანზიტულ ტვირთებში ბიზნესის ჩანაცვლებას, რა კორუფციული სქემა არსებობდა სარკინიგზო გადაზიდვებში და რატომ იბარებს „პიქსელის“ შენობაში ბიზნესმენებს გია ხუხაშვილი? „ვერსიის“ კითხვებს საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი გია ხუხაშვილი პასუხობს.

რატომ იბარებს ბიზნესმენებს დავით კეზერაშვილის კუთვნილ შენობაში ივანიშვილის მრჩეველი

გია ხუხაშვიდი „ვერსიას“ სარკინიგზო გადაზიდვების კორუფციულ სქემას უშიფრავს

— ბატონო გია, რა კორუფციული სქემა არსებობდა სარკინიგზო გადაზიდვებში და როგორ დაიბრუნებს სახელმწიფო ტრანზიტულ ტვირთებს საკუთრებაში?

— სქემა მარტივი იყო, რადგან ტვირთების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაფერი მონოპოლიზებული, თემა კი ღრმად კორუფციული გახლდათ. ურთიერთობები რომ გაჯანსაღდეს და კორუფციული სახე არ ჰქონდეს, სახელმწიფომ ტრანზიტული ტვირთებიდან მაქსიმალური შემოსავალი უნდა მიიღოს. სახელმწიფოს ინტერესი ამ დერეფანში შპს „საქართველოს რკინიგზის“ სახითაა წარმოდგენილი. არსებობს იდეა, რკინიგზამ ფორვარდული ანუ სატვირთო გადაზიდვების შვილობილი კომპანია შექმნას, რომელიც ამ დერეფანში გადამზიდავის როლს შეასრულებს და შემოსავლების სახით, ამ სახელმწიფო რესურსს მაქსიმალურად აითვისებს. ბუნებრივია, ბიზნესმენებიც იმუშავებენ და იმ ჯანსაღ შემოსავალსაც მიიღებენ, რაც ნებისმიერ ქვეყანაში საქმიანობას ახასიათებს. ამის შემდეგ, აღარ იქნება მუდმივი ეჭვები აღებმიცემობასა და კორუფციული გარიგებების შესახებ. რისკიც მინიმუმამდე დავა. დღეს თუ გარკვეული ბიზნესი კონტრაქტორია, ხოლო „საქართველოს რკინიგზა“ — მისი ქვეკონტრაქტორი, ახალი იდეით, რკინიგზა მთავარი მოთამაშე გახდება ანუ გენერალური კონტრაქტორი, ხოლო ბიზნესკომპანიები ამ გადაზიდვებში ქვეკონტრაქტორების ფუნქციას შეასრულებენ. შემოსავლების მიმართულებით, სახელმწიფო ინტერესი დაკმაყოფილდება და ქვედა დონეზე, ბიზნესკომპანიებსაც კონკურენტულ გარემოში მუშაობის საშუალება მიეცემათ. მთავარია, ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის არაჯანსაღი ურთიერთობები გამოირიცხოს და სახელმწიფომ ამ ტიპის საქმიანობიდან, მაქსიმალური შემოსავალი მიიღოს.

— გასაგებია, მაგრამ ის ტრანზიტული კომპანიები, რომელთა ქვეკონტრაქტორიც „საქართველოს რკინიგზა“ იყო, თუ არიან თანახმა, ბაზარზე თამაშის წესები შეიცვალოს?

— მათ არავინ არაფერს ეკითხება. ეს რესურსი სახელმწიფო საკუთრებაა და გადაწყვეტილებასაც სახელმწიფო იღებს. ამ კომპანიებს საშუალება აქვთ, როგორც ქვეკონტრაქტორებმა იმუშაონ რკინიგზასთან. პრობლემა არ იქნება, რადგან ბაზრიდან მათ არავინ ყრის, უბრალოდ, ქვეკონტრაქტორებად მოგვევლინებიან. სიტუაცია იცვლება, რაც სახელმწიფო ინტერესს დაიცავს და ბიუჯეტშიც მეტ შემოსავალს უზრუნველყოფს.

არსებობს ეჭვი, რომ ტრანზიტული ტვირთების შემოსავლებით, სახელმწიფო კი არა, კონკრეტული ჩინოვნიკები სარგებლობდნენ. არ მინდა მათი დასახელება და პირდაპირი ბრალდების წაყენება, მაგრამ ისინი „ატკატებს“ იღებდნენ. ჩვენ კი ამ ყველაფრის ლეგალიზება გვინდა და ერთ-ერთი ამოცანა, ამ სფეროს კორუფციისგან გაწმენდაა.

— ეს ურჩიეთ ბიძინა ივანიშვილს?

— პროცესში ჩართული არ ვარ, მაგრამ ჩემგან რჩევებს იღებენ, როგორ შეიძლება ყველაფრის დალაგება ისე, რომ ქვეყნის ინტერესი არ დაზარალდეს. მოგეხსენებათ, ადრე შპს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორი ვიყავი და გარკვეული კომპეტენცია მაქვს. ამ პროცესში ჩართული ვარ, როგორც ერთ-ერთი მრჩეველი, მაგრამ არც გადაწყვეტილებებს ვიღებ და არც სახელმწიფო სამსახურში ვარ. მგონი, ეს საქმიანობა არ მეკრძალება, ასე რომ, გარკვეულწილად, ვმონაწილეობ როგორც კონსულტანტი და ექსპერტი.

— შიდა გადაზიდვების დროს რა მოხდება. მაგალითად, „ვისოლს“ საკუთარი ქარხნები არ აქვს და მისთვის სულ ერთია, ვისგან შეიძენს ნავთობპროდუქტებს, მაგრამ „სოკარი“, რომელსაც საკუთარი ქარხნები აქვს აზერბაიჯანში, ფიქრობთ, დათმობს დომინანტურ პოზიციას ამ ბიზნესში და დაუშვებს, სხვა კომპანიამ შემოიტანოს მისი ტვირთი?

— თუ გადაზიდვებზე ვსაუბრობთ, ნავთობპროდუქტის იმპორტსა და რეალიზაციაზე, „სოკარს“ საკუთარი პროდუქცია აქვს, თვითონ შემოაქვს, ყიდის და ამას ვერ ავუკრძალავთ ისევე, როგორც „რომპეტროლსა“ და „ლუკოილს“. აქ პრობლემას საერთოდ ვერ ვხედავ, რადგან, როდესაც სარკინიგზო გადაზიდვებზე ვსაუბრობ, ტრანზიტულ ტვირთებს ვგულისხმობ და არა — შიდა გადაზიდვებს. შიდა ბაზარზე პროდუქციის შემოტანის პრობლემა არც ერთ კომპანიას არ ექნება, ჩვენ ვსაუბრობთ ტრანზიტულ ტვირთებზე, რომლის მოცულობა გადაზიდვებში 90%-ია. გადაზიდვებთან დაკავშირებით, ქვეყნის შიდა ბაზარზე ტვირთების მოძრაობა, საერთოდ არ არის საინტერესო თემა.

— ბატონო გია, ისიც მითხარით, ამ კორუფციულ სქემაში ყველაზე დიდი დამნაშავე დავით კეზერაშვილიაო, რომლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს და აუცილებლად დაისაჯოს...

— არ მითქვამს, რომ ყველაზე დიდი დამნაშავეა, მაგრამ კეზერაშვილი დანაშაულებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილი და თანამონაწილეა, რასაც წინა ხელისუფლება სჩადიოდა. ამ შემთხვევაში, სააკაშვილის ვერტიკალზე ვსაუბრობ და ამ ვერტიკალში, დავით კეზერაშვილი ყველაზე დიდი დამნაშავე არა, მაგრამ პროცესის მონაწილეა.

— საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს, გია ხუხაშვილი „პიქსელის“ ოფისში ზის, სადაც ბიზნესმენებს იბარებს და ატერორებსო. რატომ განათავსეთ ოფისი კეზერაშვილის კუთვნილ შენობაში?

— ჯაფარიძის განცხადება არ მინახავს, მაგრამ მითხრეს და ვიცი, რაც თქვა. ზურაბ ჯაფარიძემ თავს მიხედოს. გიდასტურებთ, ჩემი ოფისი ნამდვილად „პიქსელის“ შენობაშია, რომელიც უზარმაზარია და იქ ბევრი კომპანიაა განთავსებული. კეზერაშვილიც ამ შენობაში იჯდა, თუმცა მისთვის თვალიც არ მომიკრავს და არც პირადად შევხვედრივარ. მე რომ „პიქსელის“ შენობაში გადავედი, კეზერაშვილი დიდი ხნის აორთქლებული იყო იქიდან.

როგორც მითხრეს, ეს შენობა ფიჭვური კავშირგაბმულობის ერთ-ერთი კომპანიის საკუთრებაა და კეზერაშვილის ოფისი მე-8, თუ მე-9 სართულზე იყო. მაგალითად, ჩემი მეზობელია „მაიკროსოფტის“ წარმომადგენლობა საქართველოში და, ამ ლოგიკით, შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს კომპანიაც კეზერაშვილთანაა დაკავშირებული, რაც არასერიოზულია. არ მესმის, ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო და თავი რატომ უნდა ვიმართლო?

— მაინტერესებს, კონკრეტულად, რომელ ბიზნესმენებს იბარებთ ოფისში და რატომ?

— არავის ვიბარებ. რა თქმა უნდა, ბიზნესმენები ჩემთან მოდიან ხოლმე, მაგრამ არა მარტო ისინი. ახლა ისე არ წარმოიდგინოთ, თითქოს ჩემს კაბინეტთან ხალხის რიგი დგას. ვფიქრობ, ბიზნესი სისტემის მსხვერპლი და მძევალი იყო, შესაბამისად, მათ ბევრი პრობლემა დაუგროვდათ. ჩემი მდგომარეობა კი, გარკვეულწილად, უნიკალურია, რადგან ერთი მხრივ, ხელისუფლების ჩინოვნიკი არ ვარ, ვისთანაც ბიზნესს ურთიერთობა უჭირს, მეორე მხრივ — ხელისუფლებასთან გარკვეული კომუნიკაცია მაქვს. ბიზნესმენები ჩემთან მოდიან, რათა საკუთარი გულისტკივილი გამიზიარონ, მაგრამ მას შემდეგ, რაც განვაცხადე, რომ ისინი ჩემთან პრობლემებზე საუბრობენ, მათი სტუმრობა შეწყდა. ჩანს, დაიძაბნენ, მაგრამ საკმაოდ საინტერესო მასალა დამიგროვდა. სამწუხაროდ, ამ კვლევას ვერ ვაქვეყნებ იმიტომ, რომ ბიზნესსუბიექტებს ვუფრთხილდები, მაგრამ მასალებს შესაბამისი მიმართულება მივეცი და მოვა დრო, როდესაც კვლევის შედეგებს აუცილებლად გამოვაქვეყნებ!

საქპატენტის საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების განცხადება

16 იანვარს, გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ, საქპატენტის ყოფილ თანამშრომელთან, დინარა ნავდარაშვილთან, რომელიც საქპატენტის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას მძიმე ბრალდებებს უყენებს. ვადასტურებთ, რომ დინარა ნავდარაშვილი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა კანონმდებლობისა და კორექტულობის ნორმების სრული დაცვითა და კანონით დადგენილი შესაბამისი კომპენსაციის გაცემით, საქპატენტში მიმდინარე რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის პროცესში. ამასთან, განვმარტავთ, რომ ინტერვიუში მოყვანილი არც ერთი სხვა ფაქტი რეალობას არ შეესაბამება, ის რესპონდენტის ფანტაზია და მისი მხრიდან, მოვლენების პირადი ინტერპრეტაციაა. შესაბამისად, საქპატენტი მოუწოდებს რესპონდენტს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს არარეალური, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელებას, რადგან ამგვარი ქმედება სცდება ზნეობის, ეთიკისა და კორექტულობის ჩარჩოებს, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ყოვლად დაუშვებელია.

24 წლის გოგონას უშედეგოდ ეძებენ

ოთხი დღეა, 24 წლის თეონა ჩარგაზიას ოჯახის წევრები და ახლობლები უშედეგოდ ეძებენ. იგი 15 იანვარს, დილით გავიდა სახლიდან და მას შემდეგ, ოჯახს არ დაკავშირებია.

ოჯახის წევრები გოგონას გაუჩინარებას ახსნას ვერ უძებნიან, თუმცა აღნიშნავენ, რომ თეონა დეპრესიული ადამიანი იყო.

თეონა ჩარგაზიას სამძებრო სამუშაოებში უკვე პოლიციაც ჩაერთო.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სამართალდამცავებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულია 1976 წელს დაბადებული დავით ტ.

დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ქაღალდის კონვერტში მოთავსებული, გამჭვირვალე რვა ფირფიტა ამოიღეს, რომელიც ექსპერტიის დასკვნით, ძლიერმოქმედ ნარკოტიკულ საშუალება „ფენტალინს“ შეიცავს.

საქმე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით აღიძრა და აღნიშნული დანაშაული თავისუფლების 8-დან 20 წლამდე აღკვეთას ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

„პირველი“

ვანო მერაბიშვილმა ფინანსთა მინისტრთან დებატებზე უარი თქვა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა 2013 წლის 16 იანვარს, მზადყოფნა გამოთქვა, საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხზე“ მონაწილეობა მიეღო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანთან დებატებში, რაზეც ივანე მერაბიშვილმა უარი განაცხადა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიმართავს საზოგადოებრივ მაუწყებელს, 2013 წლის 18 იანვარს უზრუნველყოს ნოდარ ხადურისა და ივანე მერაბიშვილის სატელევიზიო დებატები განსხვავებული, გაფართოებული ფორმატით, სადაც მოწვეული იქნება ყველა ტელე-არხის თოქ-შოუს წამყვანი.

იმ შემთხვევაში, თუ ივანე მერაბიშვილი ამჯერადაც თავს აარიდებს ფინანსთა მინისტრთან ტელე-დებატებში მონაწილეობას, კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანს წარმოადგენს უპასუხისმგებლო, ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებით საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების დეზინფორმირება“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

„მედიანიუსი“

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ

ᲜᲔᲚᲘ ᲗᲝᲠᲓᲘᲐ

დეკემბერში, გორის უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კონკურსის ჩატარებიდან უმოკლეს ხანში, უნივერსიტეტის პროფესორმა სასწავლებლის ხელმძღვანელობის კრიმინალური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტებით, გენერალურ პროკურატურას მიმართა. რაში ადანაშაულებს რექტორს და რატომ უკავშირებს უნივერსიტეტიდან გაშვებას „ვერსიაში“ გასული ინტერვიუს, ამაზე ცხინვალის უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი და გორის უნივერსიტეტის განათლების, საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ᲐᲙᲐᲙᲘ ᲢᲝᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ გვიამბობს.

რატომ დაინტერესდა პროკურატურა სასწავლებელში ჩატარებული კონკურსით?

— როგორც ვვარაუდობდი, გორის უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კონკურსი არასასურველი ადამიანების თავიდან მოსაშორებლად ჩატარდა. მე გახლდით ქართველების მიერ ცხინვალში გახსნილი უნივერსიტეტის პრორექტორი. ეს სასწავლებელი სააკაშვილის მიერ დანიშნულმა რექტორმა ზაზა ცოტნიაშვილმა დახურა. მასა და სააკაშვილის ხელისუფლებასთან ჩემი პირველი დაპირისპირება სწორედ ცხინვალის უნივერსიტეტის გამო დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის დახურვით თავად ქვეყნის პირველი პირი იყო დაინტერესებული, უნივერსიტეტის გადასარჩენად თანამშრომლებს შორის ხელმოწერების შეგროვება და ყველა ინსტანციაში სირბილი დავიწყე. სამწუხაროდ, ვერც უნივერსიტეტი გადავარჩინე და ამ ამბავს მეც გადამყოლეს. ცოტნიაშვილმა ჯერ მე გამათავისუფლა თანამდებობიდან, მერე — ჩემი მეუღლე, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუს გამო, აკადემიური თანამდებობიდან გაათავისუფლეს ჩემი შვილი, რომელიც ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატია. დევნილი ოჯახი უმუშევრად და ულუკმაპუროდ დაგვტოვეს. 4 სასამართლოში ვდავობდი და მხოლოდ მას შემდეგ აღმადგინეს, რაც ცოტნიაშვილის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა უნივერსიტეტის კუთვნილი მილიონის გაფლანგვაზე. არავითარი კომპენსაცია და განაცდური არ მოუციათ. ახალი რექტორი, ცოტნიაშვილის მიერ დანიშნული სოსიაშვილი, წინამორბედის იდეების გამტარებელი აღმოჩნდა. მანაც დაიწყო ჩემი ოჯახის დევნა. პირველივე მომენტს ელოდებოდა, რომ გავეთავისუფლებინე. პროფესიით ფსიქოლოგ ჩემს მეორე შვილთან ბრძოლის გამო, ფსიქოლოგიის საათები საერთოდ ამოიღო.

— ჩემი ინფორმაციით, გიორგი სოსიაშვილი თქვენი ყოფილი სტუდენტია. მასთან ურთიერთობა რატომ ვერ მოაგვარეთ?

— არ ვაპირებდი მასთან ბრძოლას, რადგან ჩემს ხელში გაზრდილია. ვაფრთხილებდი, რომ არასწორად მოქმედებდა. გორის საკრებულოში ნაციონალური ფრაქციის წევრია. მოსვლისთანავე, უნივერსიტეტის თანამშრომლები „ნაციონალების“ მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაყო და არასაიმედო პირთა „შავი სია“ კუდ-ს გადასცა. ჩემს გარდა, გორის უნივერსიტეტის რექტორს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული სხვა ლექტორებიც უჩივიან. გორის სამხარეო პროკურატურაში დაწყებულია მოკვლევა, არჩევნების დროს საარჩევნო ბიულეტენების გაყალბების ფაქტებსაც სწავლობენ. უნივერსიტეტში ისეთი ტერორი იყო, არჩევნები რომ არა, ალბათ, მეც და ჩემს შვილებსაც დაგვიჭერდნენ. 26 მაისის აქციების შემდეგ, ერთ-ერთ სტუდენტს, მაყვალა ბურჯანაძეს გვარის გამო არ აძლევდნენ სადიპლომო თემასა და უნივერსიტეტის დამთავრების საშუალებას. სასაცილოა, როცა ამის გამკეთებელი რექტორი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. გასაგებია, რომ პოლიტიკური ნიშნით მდევნიდა და არასაიმედოდ მივაჩნდი, თუმცა ვფიქრობ, სამსახურიდან ჩემი ბოლო გამოშვება მაინც „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუს უკავშირდება, სადაც მოგახსენეთ სააკაშვილის ოსური წარმოშობის შესახებ. დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი პრეზიდენტამდე მივიდა, მაგრამ არ მესმის, რატომ გაღიზიანდა. ეს იმაზე დაყრდნობით ვთქვი, რომ ჩემს მეზობლად ცხინვალსა და გორში უამრავი სახკაშვილი ცხოვრობდა, რომლებმაც სააკაშვილად გადაიკეთეს გვარი. მთელი ცხოვრება ოსების გვერდით გავატარე და ეს ერი ძალიან მიყვარს. მხოლოდ გული მწყდება, რომ მაშინ აქტიურდებიან, როცა საქართველოს უჭირს. დევნილთა დასახლებაში ვცხოვრობ. ვიცი, ოსებს ყველაზე მეტად, ქართველებისა და რუსების შეთანხმების ეშინიათ.

— მიუხედავად პუტინის განცხადებისა, რომ საქართველოსთან ნებისმიერი მოლაპარაკება გაიმართება ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით?

— პუტინი სულ არ იქნება და ერთ მშვენიერ დღეს, მოხდება ის, რისიც ეშინიათ. განსაკუთრებით, ივანიშვილის მოსვლის მერე შეშინდნენ და არც ერთი ნორმალური ახალგაზრდა, ვისაც ჭკუა-გონება შერჩენია, ცხინვალში აღარ ჩერდება. იქაურობა მოხუცებითაა სავსე. ვერავინ დამწამებს ოსი ხალხის სიძულვილს, ოს ერს მონოგრაფია ვუძღვენი და „ადამონ ნიხასელ“ ალან ჩოჩიევსაც კი, თავისიანებმა რომ დაიჭირეს, ციხეში 10 ლიტრი წითელი ღვინო გავუგზავნე, მაგრამ არასოდეს შევეგუები, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა პატარა ლიახვის უძვირფასესი ადგილები ვერ იხილონ.

— პროკურატურას გორის უნივერსიტეტში მომხდარი დარღვევების შესახებ აცნობეთ. პასუხი ხომ არ მიგიღიათ?

— ჩვენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან განხორციელებული დევნის მსხვერპლნი ვართ, პროკურატურას ორი კვირის წინ დაზარალებულის სტატუსი მოვთხოვე და უნივერსიტეტში მომხდარი ფინანსური დარღვევების ამსახველი ორი დიდი საქაღალდე ჩავაბარე. ჯერჯერობით, მოკვლევა მიმდინარეობს. წინასწარ ლაპარაკი, ჩემი მხრიდან, არასწორი იქნება.

„ვერსიასთან“ საუბარში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** კი პოლიტიკური და პირადი მოტივებით თანამშრომელთა დევნის ფაქტს უარყოფს და პროკურატურაში დაწყებული მოკვლევის სამართლიანად დასრულებას იმედოვნებს: **„სიცრუეა, გორის უნივერსიტეტიდან პოლიტიკური ნიშნით არავინ გამითავისუფლებია. რაც შეეხება კონკურსმიღმა დარჩენილ ადამიანებს, აქ პოლიტიკური მოტივები არაფერ შუაშია. ნებისმიერს შეუძლია, გამოითხოვოს ყველა საარჩევნო დოკუმენტი და ამის მიხედვით გააკეთოს დასკვნა. როგორც ვიცი, მოკვლევა დაწყებულია. იმედია, მალე დასრულდება და სიმართლე გამოიკვეთება“.**

ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კახეთის რეგიონში ცოფის საწინააღმდეგო იძულებითი ვაქცინაცია დაიწყო, რადგან რამდენიმე დღის წინ, ცოფის შემთხვევა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ქვემო ნაშოვარში დაფიქსირდა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველები უკვე აიცრა და იმუნიზაცია დაავადების დაფიქსირების კერიდან, 3 კილომეტრის რადიუსშიც ხორციელდება. ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებების ფარგლებში, დაავადების კერაში ორთვიანი კარანტინი უკვე გამოცხადდა და სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება. „ვერსია“ დაინტერესდა, არსებობს თუ არა რისკი, დაავადებამ ფართო მასშტაბები მიიღოს და რამდენად საშიშია ხორცისა თუ რძის პროდუქტების მოხმარება ამ პერიოდში. კომპეტენტური ინფორმაციის მისაღებად, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს, მთავარ ექიმ-ვეტერინარს, მიხეილ სოხაძეს დავუკავშირდით.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲨᲘ, ᲪᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, 2-ᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲐ!

— წვრილფეხა შინაურ ცხოველს, კატას ან ძაღლს, წესით, პატრონი უნდა ცრიდეს, მაგრამ მოსახლეობას ამ საკითხის მიმართ ზერელე დამოკიდებულება აქვს. შესაბამისად, იძულებულები ვართ, ცოფის დაფიქსირების შემთხვევაში, 3-კილომეტრიან ზონაში დაავადების გადამტანი ყველა ცხოველი ავცრათ, მეტადრე — ძაღლი და კატა.

— ამ ეტაპზე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აცრილია?

— თუ არის ეჭვი, რომ ცოფით დაავადებულ ცხოველს შეხება ჰქონდა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან, მათი აცრა შეიძლება, აქცენტი კი დაავადების ძირითად გადამტანებზე, კატასა და ძაღლზე კეთდება, ვინაიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაავადების გადამტანად არ მიიჩნევა. იმ სოფელში, სადაც ცოფის შემთხვევა დაფიქსირდა, საქონლის აცრა სავალდებულო არ არის.

— აღნიშნულ რაიონში გამოცხადებული 2-თვიანი კარანტინი რას გულისხმობს?

— სოფელში 2 თვის განმავლობაში დავაკვირდებით ცხოველებს, გარკვეულ შეზღუდვებს დავაწესებთ ძაღლების გადაადგილებაზე... ეს ცოტა რთული ღონისძიებაა და შესაბამისად, საკარანტინო პირობების დაცვას ართულებს, თუმცა სადაც დაავადება დაფიქსირდა, იქ ჩატარდება დეზინფექცია. ყურადღება უნდა მივაქციოთ პროდუქტის გაცვლა-გამოცვლასაც, კერძოდ, სოფლიდან არ უნდა გამოვიდეს არაპასტერიზებული რძე და რძის პროდუქტები. ამ საკითხზე მოსახლეობას უკვე ვესაუბრეთ, ვეტერინარებიც 2 თვის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ამ არეალს.

— როგორ გააკონტროლებთ სოფლიდან არაპასტერიზებული რძის ნაწარმის რეალიზების საკითხს?

— ნებისმიერ სავაჭრო ობიექტზე მოხვედრილი პროდუქტი შემოწმებულია, გარევაჭრობა კი ჩვენ კონტროლს არ ექვემდებარება, თუმცა მუნიციპალიტეტის სურვილის შემთხვევაში, მზად ვართ, მათაც გავუწიოთ პროფესიული დახმარება. ძნელია აკონტროლო, სოფლიდან ასეთი პროდუქტი არ გავიდეს, ამიტომ უნდა მოვერიდოთ არაპასტერიზებული რძის შეძენასა და მოხმარებას, საკარანტინო ღონისძიებების დაცვაზე კი სოფლის მოსახლეობა და გამგებელი უკვე გაფრთხილებულია.

— ამ ეტაპზე, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს რატომ არ ცრით?

— ყველა დაავადებას განვითარების სპეციფიკა აქვს. ცოფი სწრაფად არ ვრცელდება და, შესაბამისად, იმუნიზაციას ექვემდებარებიან მხოლოდ დაავადების პოტენციური გადამტანი ცხოველები.

ნინო ხარშილაძე

„ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ“

პრემიერის მრჩეველის, აღექსანდრე რუსეცკის „მიკერძოებული“ პროგნოზები

მე-7 გვერდიდან

ეს პოლიტიკური ილეთებია, რასაც პარტია საკუთარი ინტერესების დასაცავად იყენებს და უფრო სუფთა მეთოდი არ გააჩნია. ეს არანორმალური ქცევაა, რადგან გავრცელებული ინფორმაციის ნაკადი რომ შევამოწმოთ, მისი 90% ცრუ აღმოჩნდება. საშინაო და საგარეო ფრონტზე პრობლემების მოსაგვარებლად ძალები შეერთების ნაცვლად, თვალ-ყურს მხოლოდ მათ ურთიერთკინკლაობას ვადევნებთ.

— საგარეო ფრონტს რაც შეეხება, „ოცნების“ პოლიტიკა, ჯერჯერობით, კრახით სრულდება. „ნაციონალები“ საგარეო საქმეთა მინისტრ ფანჯიკიძის გადადგომას მოითხოვენ, ისრაელთან მეგობრული ურთიერთობები დაგვეძაბა და ა.შ.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ეს საქართველოს კრახი იყოს. მაია ფანჯიკიძე სხვა განცხადებებს აკეთებს და მისი ინტერპრეტირება სხვაგვარად ხდება. მერე ამას აჟიოტაჟი, ისტერიკა, არაადეკვატური რეაქცია მოყვება ხოლმე და სწორედ ეს ვნებს საგარეო პოლიტიკას. აქამდე წარმოებულ საგარეო პოლიტიკაში იოლი, პრიმიტიული, ერთუჯრედიანი მიმართულება უფრო რთული კურსით შეიცვალა. მარტივია, აგინო ერთს და ძმობა უმტკიცო მეორეს. ვნახეთ, ამ გზამ სადაც მიგვიყვანა, ვნახეთ, ახალი საგარეო პოლიტიკის კონკრეტული შედეგიც — ვინარჩუნებთ ურთიერთობას ნატო-სა და ევროკავშირთან, ამავე დროს, ვდგამთ ნაბიჯებს, რათა ის მრავალმხრივი შეცდომები გამოვასწოროთ, რამაც რუსეთთან ურთიერთობაში კრიზისამდე მიგვიყვანა. რთული გზით რომ მივდივართ და არ გვეშინია, ეს დადებითად უნდა შეფასდეს.

— მერე ამ პროცესს ხელს პრეზიდენტის განცხადება არ შეუშლის, რომელიც მთავარ „კოჰაბიტაციურ შეხვედრაზე“, სწორედ ივანიშვილის გასაგონად გააკეთა — ჩვენი პატრიარქი რუსეთის ორბიტაზე საქართველოს დაბრუნების უფლებას არ მისცემსო?

— ბოლო დროს, სააკაშვილი ძალიან მომწონს. მისი ბევრი უარყოფითი გამონათქვამის მიუხედავად, იგი ახლა უფრო ახლოსაა ეკლესიასთან. ძალიან ორიგინალური კაცია ჩვენი პრეზიდენტი და ხვალვე ბერად რომ აღიკვეცოს, არ გამიკვირდება. ვისაც მონანიება შეუძლია, ახალ შესაძლებლობებს იჩენს ცხოვრებაში. სააკაშვილის აგრესიული დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ შეიცვალა. შეიძლება, ეს ფასადურია, შეიძლება — არა, არ ვიცით, მის გულში რა ხდება. ფასადური რომც იყოს, უკვე კარგია — ე.ი. სააკაშვილს უნდა, ვიფიქროთ, რომ შეიცვალა.

— ე.ი. სააკაშვილი სინანულშია ჩავარდნილი და ქვეყანას დესტაბილიზაციის საფრთხე არ ემუქრება?

— „ნაცმოძრაობაში“ ჩვენი ინტელექტუალური ელიტისა და პროფესიონალი კადრების საუკეთესო ნაწილია კონცენტრირებული. არ ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები ქვეყანაში დესტრუქციას დაუშვებენ. არც იმას ვფიქრობ, რომ პოლიტიკური კრიზისიდან გამოვედით — ვიდრე ქვეყანა გარკვეულ პრობლემებს არ მოაგვარებს, სულ კრიზისში ვიქნებით. აქედან გამოსვლის ორი სტრატეგია არსებობს: ან სიტუაცია გართულდება, უმართავი და ქაოსური გახდება, ან პოლიტიკური სისტემა ტრანსფორმირდება და განვითარების ახალ დონეზე გადავა. უნდა შევეგუოთ, რომ კრიზისების გარეშე დემოკრატიული გარდაქმნები არ ხდება.

5 ათასამდე პედაგოგი ივანიშვილსა და მარგველაშვილთან შეხვედრას ითხოვს!

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

დაახლოებით, 5 ათასი პედაგოგი, პრემიერსა და განათლების მინისტრთან შეხვედრას ითხოვს, რათა სკოლებში არსებული პრობლემები პირადად გააცნონ. პედაგოგთა საკოორდინაციო-საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ფერაძე, „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ამ შეხვედრას, ახალ მთავრობაში გადმობარგებული ძველი, „ნაციონალი“ კადრები ბლოკავენ.



— შარშან, როცა სასერტიფიკაციო დანამატების გაცემასთან დაკავშირებით, პრობლემა შეიქმნა, საინიციატივო ჯგუფის წევრმა პედაგოგებმა ორჯერ მივმართეთ მინისტრს და შეხვედრა მოვთხოვეთ. გვინდოდა, მესამე პირის გარეშე გვესაუბრა სკოლებში არსებულ პრობლემებზე და სწორი გადაწყვეტილებები მიგვეღო. შეხვედრა არ შედგა. ჩანს, მინისტრს არასწორად მიაწოდეს ინფორმაცია და არ აუხსნეს, რომ ეს მხოლოდ 1-2 პედაგოგის მოთხოვნა არ იყო. ამ ეტაპზე, საკოორდინაციო ცენტრში, 130 სკოლიდან 150 პედაგოგია წარმოდგენილი. შეხვედრის მოთხოვნით მივმართეთ პრემიერსაც და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს, მაია მიმინოშვილსაც. სამწუხაროდ, რამდენიმე სკოლის დირექტორი დაფრთხა, რესურსცენტრებსა და განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მივიდა და სამსახურიდან ჩემი დათხოვნის საკითხი დააყენა. ზოგმა დირექტორმა საკოორდინაციო საბჭოში მყოფი პედაგოგების ვინაობა არ ჩამაწერინა — უფლება არ გვაქვს, პედაგოგების შესახებ ინფორმაცია გავცეთო... ამას ამბობენ დირექტორები, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები და კანონები „იციან“. საბოლოოდ, 150-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიმართვა გავუგზავნეთ პრემიერს, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

— რას ითხოვთ?

— პრემიერი დიალოგის რეჟიმში ჩაერთოს პედაგოგებთან, შედგეს ფართომასშტაბიანი შეხვედრა, სადაც დავაყენებთ სკოლებში არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებზე ვისაუბრებთ. პირადად, მე, 150-კაციან ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ, უკეთ გავეცანი სკოლებში არსებულ პრობლემებს, რომლებიც იმაზე სიღრმისეული ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა. ახალი მთავრობის პირობებშიც კი, ზოგ სკოლაში, ისევ პარპაშებენ მანდატურები, დაძვრებიან გაკვეთილებზე, ისევ უთვალთვალებენ მასწავლებლებს... სხვათა შორის, პედაგოგებს აქვთ ამ პრობლემების მოგვარების, ასევე ხელფასის მომატების ორიგინალური ხედვა. ბიუჯეტით, ხელფასების მიზერული მატებაა განსაზღვრული: საუბარია დაახლოებით, 80 ლარზე, საგამოცდო და სხვა ხარჯები კი გაზრდილია, რადგან სავარაუდოდ, სასერტიფიკაციო გამოცდა 3 იქნება. მიგვაჩნია, რომ საწყის ეტაპზე, პედაგოგთა ხელფასების ზრდა 50%-ით მაინცაა შესაძლებელი. გვსურს, დავაყენოთ სერტიფიცირების ნებაყოფლობითობის საკითხიც და ეს პროცესი, ხელფასის მომატების მოტივაცია უნდა იყოს. სავალდებულო სერტიფიცირებით კი, პედაგოგის დიპლომს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებ და ტექნიკური პრობლემებიც იქმნება, სკოლებში პედაგოგთა დეფიციტის სახით.

— რატომ?

— დღეისთვის, 13 000-მდე პედაგოგია სერტიფიცირებული, რაც სამი წლის შედეგია. 2014 წლისთვის ყველა პედაგოგი ვალდებულია, სერტიფიცირებული იყოს, არადა ამ ვადაში სრულიად პედაგოგიური კორპუსი ვერ ჩააბარებს გამოცდებს. ასე რომ, თუ ეს კანონი ძალაში დარჩება, 2014 წლის შემდეგ სკოლებში კადრების კრიზისი შეიქმნება — სერტიფიცირებული კადრები არასაკმარისი იქნება, ხოლო არასერტიფიცირებული პედაგოგების მიღებით, დირექტორები კანონს დაარღვევენ. წინა ხელისუფლებამ პედაგოგთა ხელფასის გამოთვლის კოეფიციენტები ისე მოქნილად დააწესა, რომ სინამდვილეში, სტაჟის კოეფიციენტით, პედაგოგს ხელფასი კი არ ემატება, აკლდება. შესაბამისად, გვაქვს ინიციატივა, რომ სტაჟის კოეფიციენტი საერთოდ ამოვარდეს მასწავლებელთა ხელფასის გამოთვლის ფორმულიდან.

— ხელფასი როგორ უნდა დაანგარიშდეს?

— განათლების მინისტრის 576-ე ბრძანებით, 10 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟი შეფასებულია მხოლოდ 0,3 კოეფიციენტით. ხელფასის გაანგარიშების ფორმულაში ამ კოეფიციენტის ჩასმით ვიღებთ 10-12 ლარით ნაკლებ ანაზღაურებას. ამდენივე ლარით მეტ ანაზღაურებას აიღებს პედაგოგი, თუ ხელფასის დაანგარიშების ფორმულაში ამ კოეფიციენტს საერთოდ არ ჩავსვამთ. მეტიც, არავინ იცის, რა პრინციპს ეყრდნობა ხელფასის გაანგარიშებაში ამჟამად მინიჭებული კოეფიციენტები, უმნიშვნელოდაა გათვალისწინებული სხვადასხვა ფაქტორები, მაგალითად, კვალიფიკაცია. იმ პედაგოგის ხელფასი, რომელსაც დოქტორის ხარისხი აქვს, მხოლოდ 70-80 ლარით აღემატება ყველაზე დაბალი აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგის ხელფასს. ამ და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევთ, რომ 576-ე ბრძანება უნდა გაუქმდეს. ასევე, არის რიგი საკითხები, რომლებსაც ინდივიდუალური გადაჭრა სჭირდება: მაგალითად, ზოგი სკოლა ფსიქოლოგის შტატს ითხოვს, ზოგი — ექიმისას. ეს ის საკითხებია, რომლებზე საუბარიც პრემიერსა და განათლების მინისტრთან გვინდოდა, მაგრამ 150-მდე სკოლის წარმომადგენლის თხოვნა უგულებელყოფილია.

— ამის მიზეზი რა არის?

— წინა ხელისუფლების აქტივისტები დღემდე მოკალათებულნი არიან ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონებში, როგორც პრემიერის აპარატში, ისე სამინისტროში. ბიუროკრატიული მეთოდი მოქმედებს და დარწმუნებული ვარ, პრემიერამდე ჩვენი მემორანდუმი არც მისულა. მათ რომ შევხვდეთ, ბევრი ისეთი დეტალი გაირკვევა, რაც წინა ხელისუფლების კადრებს არ აწყობს. მეტიც, როცა გენინსპექციაში შეიჭრა რამდენიმე სკოლის დირექტორი, უთქვამთ, თითქოს რაღაც ბუნტს ვგეგმავდით. 24-ე საჯარო სკოლის მასწავლებლები მეუბნებიან, რომ მათ სკოლის დირექტორმა გია მურღულიამ უთხრა, ჩვენ ვართ არსებული მთავრობის მხარდამჭერები და არ უნდა იყოთ დავით ფერაძის საინიციატივო-საკოორდინაციო ცენტრშიო. ამას ამბობს ის დირექტორი, რომელიც 1 ოქტომბრამდე, „ნაციონალური ხელისუფლების“ ხმალამოღებული დამცველი და მეხოტბე იყო. იმედია, სწორი ინფორმაცია მიაღწევს მინისტრამდე და პრემიერამდე და პედაგოგებთან შეხვედრა შედგება.

„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ, თავის დროზე, თბილისის 10 გამგეობა 5-მდე გაამსხვილა. „ნაციონალებმა“ მაშინ, ამ პროცესს „ქამრების შემოჭერის“ ნაწილი უწოდეს. ორიოდე დღის წინ, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა ახალი ინიციატივით გამოვიდა, რომლის თანახმად თბილისი, 5-ის ნაცვლად, ისევ 10 რაიონად დაიყოფა. უგულავა ირწმუნება, რომ გამგეობების გაყოფა ადმინისტრაციულ ხარჯებს არ გაზრდის და ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზსაც ასახელებს — ხალხთან სიახლოვეა საჭირო და მათი პრობლემების მოგვარებაო. მერს გადაწყვეტილებას უწუნებენ საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციები და ამბობენ, რომ ამ ინიციატივით, მერიის სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობებზე „ნაციონალების“ შენარჩუნებას, უგულავა ბიუჯეტის ხარჯზე ცდილობს.

გიგი უგულავას ახალი ანუ „კარგად დავიწყებული ძველი“ ინიციატივა

თბილისის მერი გამგეობების რაოდენობას „ნაციონალების“ გადასარჩენად ზრდის?

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია უგულავას ინიციატივას „გაუმართლებელს“ უწოდებს: „ეს გამოინვევს ხარჯების ერთი-ორჯერ ზრდას, არადა ამ თანხით შესაძლებელია, მოსახლეობას სოციალური პრობლემები მოვუგვაროთ. „ნაციონალები“ აცხადებენ, რომ ეს გადაწყვეტილება მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მიიღეს, არადა ჩვენი მოქალაქეები გამგეობების რაოდენობის ზრდას კი არა, საბინაო, სოციალური და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარებას ითხოვენ. თბილისის მერიის ინტერესებშია, „ნაცმოძრაობის“ ახალ გამოწვევებს უპასუხოს. ოპოზიციური ფრაქციები ვსაუბრობდით 2013 წლის ბიუჯეტის იმ გაუგებარ მუხლზე, რომელსაც „სხვა ხარჯები“ ჰქვია. მასში 100 მილიონზე მეტი ლარია ჩადებული. ამ თანხებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად გამოიყენებენ. გამგეობის შექმნა კი არა, რიგითი დეპარტამენტი რომ დაამატო, ის მოითხოვს ხარჯების გაზრდას. ყოფილი პარლამენტარები და ყოფილი მინისტრები თბილისის დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა შპს-ების სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმდნენ. ეს პროცესი გამგეობების ხაზითაც გრძელდება და ამ დასაქმებით „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, შეინარჩუნოს გუნდი, რადგან ისინი ემზადებიან არჩევნებისთვის“.

ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე, მერიის გადაწყვეტილებას პარტიული ინტერესით ხსნის: „გიგი უგულავას მიაჩნია, რომ წარმოადგენს „ნაცმოძრაობის“ გადარჩენის ერთადერთ იმედს. ამ მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოების სახით, ქმნის მაღალხელფასიან სამუშაო ადგილებს მერიის სამსახურებსა და საბავშვო ბაღებში. ეს ინიციატივაც სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, შექმნას მაღალხელფასიანი სამუშაო ადგილები „ნაციონალებისთვის“. მერი დამარცხებული პარტიის ნარჩენების გადარჩენას ხალხის ხარჯზე ცდილობს. სურს, ამით პატარა ციხე-სიმაგრე შექმნას შემდგომი არჩევნებისთვის. ეს იქნება უკანასკნელი ბასტილია, რომელსაც მალე აიღებენ. ხალხში დაგროვილი მღელვარება აუცილებლად იფეთქებს გიგი უგულავას წინააღმდეგ. გამგეობები არ აგვარებს მოქალაქეების პრობლემებს და ამდენად, გაუმართლებელია თქმა, თითქოს, ეს ხალხისთვის კეთდება“.

ცხადია, უგულავას გადაწყვეტილებას, დადებითად აფასებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ხაჩირაშვილი: „ეს ინიციატივა თბილისის რაიონების დეცენტრალიზაციას გულისხმობს. კონკრეტული ადმინისტრაციული რესურსი იქნება უფრო ახლოს კონკრეტულ პრობლემასთან და გაცილებით მარტივი იქნება მისი მოგვარება. ამას აქვს თავისი პლუსებიც და მინუსებიც. კომისიებთან ერთად უნდა ვიმსჯელოთ, რომ არ მოხდეს თანხების გადანაწილება, მაგალითად, სოციალური მუხლებიდან. გამგეობების დაყოფა 10 ერთეულად არ მოითხოვს დამატებით ახალ ბიუჯეტს. ამ გამგეობებისთვის თანხების გადანაწილება შიდა რესურსებიდან მოხდება“.

როგორც უნდა გადანაწილდეს თანხები შიდა რესურსებიდან, ერთი რამ ფაქტია — ახალ გამგებელს ხელფასი აუცილებლად სჭირდება. ბუნებრივია, ანაზღაურება დასჭირდება მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა კადრს. ჯერ უცნობია, რამდენი მოადგილე ეყოლება მას და დაახლოებით, რა რაოდენობის კადრები იქნება საჭირო თითო გამგეობაში, მაგრამ ცხადია, მხოლოდ გამგებელი საქმეს ვერ გააკეთებს. ასე რომ, თითო ახალ გამგეობაში, მინიმუმ, 5-10 კაცის (ეს გამგეობის კადრების ყველაზე მინიმალური რაოდენობაა) ხელფასისთვის საჭირო თანხის მოძიება იქნება საჭირო. ამას ემატება იმ შენობების ხარჯი, რომლებშიც ახალი გამგეობები უნდა განთავსდნენ, რადგან საეჭვოა, ორ-ორი გამგებელი ერთ შენობაში დასვან. ახლა ამას მერიაში ასე პოპულარული „სხვა ხარჯებიც“ დაუმატეთ და მიხვდებით, რომ ფინანსები, რომლებიც მერის ამ ახალი ინიციატივის აღსრულებას დასჭირდება, რამდენიმე შეჭირვებულ ან ცივ ზამთარში კარავში მაცხოვრებელ მოქალაქეს მაინც შეუქმნიდა ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს. ამ ფონზე, ძნელია, არ დაეთანხმო მათ, ვინც ფიქრობს, რომ „დაბრუნება ძველთან“ „ნაციონალებს“ პარტიული ინტერესებისთვის სჭირდებათ.

ნინო ხარშილაძე

„გამგეობის შექმნა კი არა, რიგითი დეპარტამენტი რომ დაამატო, ის მოითხოვს ხარჯების გაზრდას“

2013 წელს საქართველოს ეკონომიკა განვითარდება

მსოფლიო ბანკის გათვლით, 2013 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა 5.1%-ით, 2014 წელს — 5.4%-ით, ხოლო 2015 წელს 5,5%-ით გაუმჯობესდება. ეს მაჩვენებლები ბანკის მიერ მომზადებულ ანგარიშია Global Economy Prospects მოყვანილი. ბანკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 2012 წელს, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, საბაზრო ფასებში 4,9%-ით გაიზარდა, რაც თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის პროგნოზებს სრულად ეწინააღმდეგება, რადგანაც მთავარ დოკუმენტში — „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის“, აღნიშნულია, რომ 2012 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 7.0-პროცენტიანი ზრდა იქნება, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 26.5 მლრდ ლარს გადააჭარბებს. პროგნოზული გათვლებით, საშუალოვადიან პერიოდში (2013-2016 წლებში), მშპ-ს ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი 7%-ის ფარგლებში იქნება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ზურაბ ადეიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 4 მუხლით დაუმძიმდა

იუსტიციის ყოფილ მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს ბანკ „ქართუს“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით, ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 4 მუხლით დაუმძიმდა. ადვოკატ გოჩა სვანიძის განცხადებით, ადეიშვილს ბრალი სსკ 25-205 პრიმა მუხლის, მე-3 და მე-4 ნაწილით (უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას), 25-201 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 25-332-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 25-333-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) წაუყენეს.

„საქმე ბანკ „ქართუს“ გაკოტრების სქემას უკავშირდება. თავდაპირველად, პასუხისგებაში მისაცემები არიან ის დეპუტატები, რომლებმაც საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცებას დაუჭირეს მხარი. ზოგი მათგანი ამჟამადაც საკანონმდებლო ორგანოშია. ეს კანონი დემოკრატიული ქვეყნის სირცხვილია. ჯერ ამ დეპუტატების პასუხისმგებლობაზე ისაუბრონ და შემდეგ — ამ საქმეში აღმასრულებელი ხელისუფლების როლზე“, — აცხადებს სვანიძე.

სამმართველოში ბანკ „ქართუს“ გაკოტრების სქემის საქმესთან დაკავშირებით ბრალი შემოსავლების სამსახურის ყოფილ უფროსს ჯაბა ებანოიძეს, შემოსავლების სამსახურის 3 ყოფილ თანამშრომელს – რომა ჩხენკელს, მამუკა ლაშხიას და ოთარ აგლაძესაც წაუყენეს.

შსს-ს ინფორმაციით, „ბანკი ქართუს“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა შეიმუშავეს და პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა, რომლის თანახმადაც, საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს უფლება ეძლეოდა აუქციონის წესით იურიდიული პირების ქონება გაეყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკით იყო დატვირთული.

სქემაში ჩართული იყო აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ნიკოლოზ მელია, რომლის უშუალო ორგანიზებით აუქციონის ჩაშლა ხდებოდა და რომელიც, 12 იანვარს, გიგი უგულავამ ძველი თბილისის გამგებლად დანიშნა. ასევე, ადეიშვილის პირადი დავალებით ჩართული იყო ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დავით გიორგაძეც.

შსს-ს ინფორმაციით, ჯაბა ებანოიძემ, მამუკა ლაშხიამ, ოთარ აგლაძემ, დავით გიორგაძემ და ბიზნესმენებმა სამართალდამცველებთან ითანამშრომლეს და გამოძიებას დანაშაულებრივი სქემის დეტალების შესახებ სრული ინფორმაცია მისცეს.

„პირველი“

სოფელ ვაჭევის მოსახლეობა შველას ითხოვს!

„ენერგო-პრო ჯორჯია“ დაზარალებულებს აბსურდულ პასუხს უგზავნის



„დღეს პირუტყვი დაიხოცა. ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ ხვალ, ჩამოწყვეტილი კაბელი ადამიანს არ შეიწირავს?“



ჭიათურის რაიონის მკვიდრებს ხეებზე გაჭიმული მაღალი ძაბვის ელექტროსადენები საფრთხეს უქმნის!

ნელი თორდია

ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევის მოსახლეობა შველას ითხოვს! რატომ არის საშიში ჭიათურის რაიონის სოფლებში ცხოვრება და რას სთხოვენ ადგილობრივები ახალ ხელისუფლებას? „ვერსიას“ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ანტიკორუფციული კავშირის იმერეთის რეგიონული სამსახურის უფროსი რაულ ბურჯანაძე ესაუბრება.

— შემთხვევა, რომელზეც გიამბობთ, ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევში, დაახლოებით, ერთი თვის წინ მოხდა. გურჯიძეების ოჯახმა დილას ხარი და ძროხა საძოვარზე გაუშვა. ამ დროს, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც სოფელს ელექტროენერგიით ამარაგებს, ჩამოწყდა და პირუტყვი ადგილზე დახოცა. ბედად, ახლო-მახლო არავინ იმყოფებოდა, თორემ ელექტროსადენი მასაც იმსხვერპლებდა. ამ ამბავში ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ უსაფრთხოების ნორმების დარღვევით გაყვანილი მაღალი ძაბვის ელექტროსადენების გამო, ვაჭეველები უბედური შემთხვევისგან არც მომავალში არიან დაზღვეულები, მით უმეტეს, რომ ეს სადენები, არც მეტი, არც ნაკლები, ხეებზე გადის.

— ხის ბოძებს გულისხმობთ?

— არა, ელექტრობოძებად ცოცხალი ხეებია გამოყენებული და ასეთ პირობებში რომელ ტექნიკურ უსაფრთხოებაზეა საუბარი? ეს „გადამცემი ბოძები“ ქარის დროს ლერწამივით ირხევა და სოფლის მაცხოვრებლები შიშით ელოდებიან, როდის დაეცემათ თავზე.

— ადგილობრივ ენერგოკომპანიას თუ მიმართეს დასახმარებლად?

— იცით, რა უპასუხა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გურჯიძეებს? ტექნიკური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სადენების პრობლემა არ არსებობსო. ერთი მხატვრული ფილმის გმირისა არ იყოს, მაშინ იმ ხარმა და ძროხამ თავი მოიკლა, თუ რა მოხდა? სხვათა შორის, წლების წინ ჭიათურის რაიონ სოფელ ნავარძეთში, ელექტროსადენის ჩამოწყვეტის შედეგად, გარდაიცვალა ადგილობრივი მცხოვრები ლუბა კაპანაძე. ქალბატონის კარ-მიდამოს შემოვლებული ჰქონდა რკინის ღობე, რომელმაც ჩამოწყვეტილი დენის სადენიდან ელექტროენერგია გაატარა და ლუბა კაპანაძე ადგილზე მოკლა.

შადრევნებსა და მოასფალტებულ გზებზე საუბრით ყურები რომ გამოგვიჭედა, იმ ხალხმა თუ იცის, მაღალი ტარიფების პირობებში, ელემენტარულად, მომხმარებლის სიცოცხლე და უსაფრთხოება რომ დაუცველია და 21-ე საუკუნის საქართველოში, მაღალი ძაბვის ელექტროკაბელები ხეებზე ლამის, „სკოჩითაა“ დამაგრებული. მეწველი ძროხისა და ხარის დაკარგვა სოფლად მაცხოვრებელი ადამიანისთვის, დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაში, წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს. ფინანსურ ზარალს რომ თავი დავანებოთ, სოფელში ბავშვები ცხოვრობენ და ხალხს შვილების ეზოსგარეთ გაშვებისა ეშინია. დღეს პირუტყვი დაიხოცა, მაგრამ ვინ იძლევა გარანტიას, რომ ხვალ და ზეგ, ჩამოწყვეტილი კაბელი ადამიანს არ შეიწირავს? „სანამ ურემი გადაბრუნებულა“, ადგილობრივები დახმარებას ახალ ხელისუფლებასა და ყველა შესაბამის უწყებას სთხოვენ. საფრთხე მართლაც, დიდია, მით უმეტეს, ამჟამად რაიონში დიდთოვლობაა და რის ვაი-ვაგლახით ფეხზე მდგარი „ელექტრობოძები“ ნებისმიერ წუთს შეიძლება წაიქცეს.

ზარალის ანაზღაურების იმედდაკარგული ლავრენტი გურჯიძე იუმორის გრძნობას არ კარგავს და „ვერსიას“ ენერგოკომპანიისგან მიღებული პასუხის შესახებ უამბობს.

— დაზიანებულმა ელექტროკაბელმა ჩემი ორი და მეზობლის ერთი საქონელი მოკლა. ჩემი ხარი 400-კილოიანი იყო. კიდევ კარგი, მეზობლებმა დახოცილი პირუტყვი დროულად დაინახეს და დენი გათიშეს, თორემ ვინ იცის, კიდევ რა მოხდებოდა. „ენერგო-პროში“ ზარალის ანაზღაურებაზე განაცხადი შევიტანე, მაგრამ ისეთი პასუხი მივიღე, თითქოს ჩემი ხარი ავიდა „სტოლბაზე“, თვითმკვლელობის მიზნით.

— ასეთი რა გიპასუხეს?

— აქეთ გამამტყუნეს. ჩვენ აღარ მოგვმართო და სადაც გინდა, იქ წადიო. მთელმა სოფელმა ნახა, რომ საქონელი ელექტროსადენით იყო მოკლული და სხვა რით უნდა დამემტკიცებინა — სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას ხომ ვერ ჩავუტარებდი? 400-კილოიანი ხარი იყო და ბაზარზე რომ გამეყვანა, 1700 ლარს მაინც ავიღებდი, მაგრამ ჩვენს მიერ გადახდილი თანხით მსუყედ დაფინანსებულ კომპანიას, ეს სულაც არ ადარდებს.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ სამხრეთ საქართველოს ფილიალის დირექტორის, ბერდია გოგლიძის მიერ გლურჯიძეებისთვის მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

„ენერგოკომპანიის მიერ შესწავლილი იქნა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ, ელენერგიის ზემოქმედების შედეგად, ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევში მოკლული პირუტყვის გამო, ზიანის ანაზღაურებას. ადგილზე შემოწმებისას დადგინდა, რომ 0,4 კვ ხაზის საყრდენები და სახაზო არმატურა ნორმალურ მდგომარეობაშია. დაცულია გაბარიტები სადენებს შორის და საყრდენებსა და მიწას შორის. თქვენს მიერ არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ელექტროენერგიის ზემოქმედების შედეგად პირუტყვის დაცემის ფაქტს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მარტო ზიანის დადგომა არ არის საკმარისი საფუძველი, ზიანის ასანაზღაურებლად. ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ანაზღაურდება, თუ ის მიყენებულია განზრახ ან საწარმოს (თანამშრომლის) მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ამდენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ენერგოკომპანიის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არ არსებობს. მთლიანად გამოირიცხება ენერგოკომპანიის ბრალი, შესაბამისად, არ არსებობს ზიანის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი“.

0,4 კვ ხაზის საყრდენები და სახაზო არმატურა ნორმალურ მდგომარეობაშია. დაცულია გაბარიტები სადენებს შორის და საყრდენებსა და მიწას შორის. თქვენს მიერ არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ელექტროენერგიის ზემოქმედების შედეგად პირუტყვის დაცემის ფაქტს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მარტო ზიანის დადგომა არ არის საკმარისი საფუძველი, ზიანის ასანაზღაურებლად. ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ანაზღაურდება, თუ ის მიყენებულია განზრახ ან საწარმოს (თანამშრომლის) მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ამდენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ენერგოკომპანიის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არ არსებობს. მთლიანად გამოირიცხება ენერგოკომპანიის ბრალი, შესაბამისად, არ არსებობს ზიანის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი“.

მატერიალურად ისედაც დაზარალებულ გურჯიძეების ოჯახს სასამართლოში სარჩელის შეტანისა და ადვოკატის მომსახურეობის თანხა არ გააჩნია, ენერგოკომპანია კი ჯიუტად ამტკიცებს, რომ წაქცევის პირას მისულ ხეებზე გადაჭიმული ელექტროსადენები ხაზის საყრდენებისა და სახაზო არმატურის ნორმალური მდგომარეობაა. ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ სახელმწიფო ელექტროსისტემას დაუკავშირდა, სადაც დაგვიდასტურეს, რომ ხეებზე ელექტროსადენების გაბმა დაუშვებელია და განმარტეს, რომ ვაჭევში მდგარი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მომსახურეობა მათ კომპეტენციას არ განეკუთვნება. ისღა დაგვრჩენია, ვაჭეველებს გამძლეობა ვუსურვოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ შესაბამისი სტრუქტურები, ვის კომპეტენციასაც კანონის დაცვა და მოსახლეობის უსაფრთხოება ევალება, წერილში ასახული ფაქტით დაინტერესდებიან.

ინტერვიუ ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსთან

თეიმურაზ სირაძე

ევროკავშირისკენ სწრაფვა, ნატო-ს კარზე მიკაკუნება და მისი შეღება, ალბათ, ერთადერთი საკითხია, რომლის თაობაზეც „მეოცნებე“ და „ნაციონალურ“ ხელისუფლებებს შორის დაპირისპირება არ მომხდარა, მაგრამ არსებობს ვალდებულებები (მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სამხედრო), რომელთა მოგვარების გარეშე, ცხვირსაც არავინ შეგვაყოფინებს აღნიშნულ ორგანიზაციებში. ახალ მთავრობას კიდევ ერთ საკითხს შევახსენებთ, რომლის შესრულებას არათუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, გაერო-ც ავალდებულებს წევრ ქვეყნებს — ეს გახლავთ ომის ვეტერანთა საქმეები. მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციის დეკლარაციაში პირველი რეკომენდაციაა: ქვეყნის ბიუჯეტის 1% (ჩვენ შემთხვევაში — 80 მილიონ ლარზე მეტი) გამოიყოს ომის ვეტერანთა და ომის მსხვერპლთა სულიერი და მატერიალური ინტერესების დასაცავად, მათი სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისთვის; განახლდეს საკანონმდებლო ბაზა, რომლის თანახმადაც, ვეტერანებს დაუწესდებათ სათანადო პრივილეგიები, შეუმცირდებათ გადასახადები, გაუუმჯობესდებათ საცხოვრებელი პირობები, ამაღლდება სამედიცინო მომსახურების დონე, მოხდება მათი დასაქმება და სწავლაში ხელშეწყობა, ბიზნესინიციატივების შემთხვევაში, გაიცემა გრანტები.

რა ვითარებაა ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყანაში? მაგალითად, მაროკოში ხელისუფლება გასცემს საფინანსო ობლიგაციებს, აწყობს დასასვენებელ ბანაკებს, გასცემს ლიცენზიებს სავაჭრო ადგილებზე. პაკისტანი ვეტერანის სურვილისამებრ გასცემს მიწის, საცხოვრებლის, ან განათლების გრანტებს. ვიეტნამი უზრუნველყოფს ვეტერანთა დასაქმებას. მათზე ანაწილებს ტყის ფართობებს, რათა პრივილეგია ჰქონდეთ ბიზნესის წამოწყებისას. ოკუპანტი რუსეთი 500, სომხეთი 200 დოლარით (პლუს, ე.წ. სამხედრო ულუფა) ეხმარება თავის ვეტერანებს. საქართველოში კი, არსებობს 21-ლარიანი პენსია და უფასო მგზავრობა საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსი, მეტრო). ასევე — მკურნალობა ჰოსპიტალში, სადაც... უკვე ვწერდით, როგორი, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველი ვითარებაა. დღევანდელი მონაცემებით, ქვეყანაში 69 000 ვეტერანია. გვყავს მეორე სამამულო ომის, ვიეტნამის, ავღანეთის, გასულ საუკუნეში ჩეხოსლოვაკეთსა და უნგრეთში განხორციელებულ პროცესებში მონაწილე პირები და ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქების შედეგების ლიკვიდატორები. 90-იანი წლებიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (აფხაზეთსა და სამაჩაბლოში) მებრძოლნი (კანონით აკრძალულია სამოქალაქო ომის დროს დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენელთა აღრიცხვა და მათი ვეტერანებად აღიარება).

„ვერსიის“ რესპონდენტი ემზარ ჭოჭუაც ვეტერანია. პროფესიონალი სამხედრო და გამოცდილი არტილერისტი. საბჭოთა ჯარში სამსახური პოლკოვნიკის ჩინით დაასრულა და 1992 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ჩაირიცხა. მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ ყველა საომარ მოქმედებაში (გარდა სამოქალაქო ომისა). ხელმძღვანელობდა ბრიგადის, მოგვიანებით, საარმიო კორპუსის არტილერიას, იყო არტილერიის სარდალი. 2000 წლის ბრძანების საფუძველზე, გენერლის წოდებით დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან და ხანგრძლივი უმუშევრობის შემდეგ, 2011 წლის დეკემბერში საქართველოს ომის ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა.

„ნაპოლეონმა სასახლე აუშენა ვეტერანებს, ჩვენ კი ცალკე შენობაც არ გვაქვს“

რა დაფსუსებია ვეტერანთა შესახებ კანონში და რატომ შეურაცხყოფს ის ვეტერანებსა და მათი ოჯახის წევრებს

— ბატონო ემზარ, რა კონტინგენტს ემსახურება თქვენი დეპარტამენტი?

— მეორე მსოფლიო ომის ჩათვლით, თუ სადმე ტყვია გავარდა და საბჭოთა მთავრობამ ჯარის შეყვანა გადაწყვიტა, ყველა საომარი მოქმედების მონაწილე გვყავს აღრიცხული. სიმძიმის კატეგორიით გამოვყოფ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და ჩერნობილის ტრაგედიის ლიკვიდატორებს. ვემსახურებით ასევე ომის ვეტერანებთან გათანაბრებულ პირებსა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახების წევრებს.

— მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ასაკის მიხედვით, მართლაც, რთული კატეგორიაა. მათთან ერთად, ჩერნობილის ავარიის ლიკვიდატორები რატომ გამოყავით?

— პირველ რიგში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ბევრი ვერ აცნობიერებს, რა მოხდა ჩერნობილში და როგორ აისახა ეს მოვლენა ადამიანებზე. დაავადებები, რომელმაც ატომური სადგურის აფეთქების შემდგომ იჩინა თავი, შთამომავლობით გადაეცემა და შეიძლება ითქვას, განუკურნებელია. საკანონმდებლო ბაზა, ფაქტობრივად, არ გვაძლევს მათი დახმარების საშუალებას. ლიკვიდატორმა მატერიალური დახმარება რომ მიიღოს, საპენსიო ასაკს უნდა მიაღწიოს, მაგრამ სამწუხაროდ, დაავადებების სიმძიმიდან გამომდინარე, მათი უმრავლესობა ვერ აღწევს აღნიშნულ ასაკს. ჩვენთან აღრიცხვაზე 870 ლიკვიდატორი იყო. 87 უკვე გარდაცვლილია. სამამულო ომის ვეტერანებზეც მოგახსენებთ. მათი რიცხვი 3 400-ია და ასაკიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება თუ პატრონობა სჭირდებათ. არასაკმარისი დაფინანსების გამო, თანადგომაც არასათანადოა. კანონი არც სხვა კატეგორიის მიმართაა ლმობიერი. მასში ბევრი აბსურდული პუნქტია, რომელზე დაყრდნობით, არც ვეტერანთა სრულყოფილი დახმარებაა შესაძლებელი და რიგ შემთხვევებში, ომის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების ღირსების შემლახველიცაა.

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რაც მოგახსენეთ ჩერნობილის ავარიის ლიკვიდატორებზე. გარდა ამისა,

2009 წლის 4 ნოემბრის №201 დადგენილებით, თუ ომის მონაწილე, მონაცემთა ბაზაში იმავე წლის 5 ნოემბრის შემდეგ დაფიქსირდება, მასზე არც ის სასაცილო, 21-ლარიანი დახმარება გაიცემა. ასევე, ვეტერანის გარდაცვალებისას, მის მშობელს (თუ ის მარტოხელაა), ენიშნება 44-ლარიანი დახმარება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 125-ლარიან პენსიაზე იტყვის უარს. (რა პენსიაა ეს?) შვილის ხსოვნის პატივსაცემად, კუთვნილ პენსიაზე ამბობენ ხოლმე მშობლები უარს, მაგრამ ეს განსხვავებული შემთხვევაა. იმავე კანონის თანახმად, ყველა ვეტერანი, გარდა „ავღანელებისა“, გათავისუფლებულია დაბეგვრისგან, თუ მისი შემოსავალი არ აღემატება წლიურად 3 000 ლარს. გაუგებარია, რატომ გამოარჩიეს ეს კატეგორია. საკმაოდ მწირია თანხა, რომელსაც სახელმწიფო უხდის ვეტერანებს.

— წინა მთავრობა საკმაოდ უდიერად ეპყრობოდა ვეტერანებს. ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება თუ არის შეცვლილი და რამდენად მოსალოდნელია ამ სფეროში არსებული პრობლემის მოგვარება?

— დეპარტამენტში რეორგანიზაცია მიმდინარეობს. აქტიურად ვმუშაობთ საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე, ვთანამშრომლობთ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიების საქველმოქმედო ფონდთან „მოლოდინი“.

სამწუხარო ფაქტს გაგიმხელთ: 16 ადამიანია გადმოსვენებული აფხაზეთიდან და მათ საიდენტიფიკაციოდ საჭირო დნმ-ის ანალიზის ჩატარება, უსახსრობის გამო ვერ ხერხდება. თითო ანალიზი 3 000 ლარი ღირს.

აქვე მოგახსენებთ, რომ არც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების ვეტერანებს აქვთ საქმე კარგად. ამ დეგრადირებულ თაობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა წაგებულმა ომებმა. ამ სინდრომს ვიეტნამში მარცხის შემდეგ, დღემდე ებრძვიან ამერიკელი ვეტერანები. ჩვენი ბიჭების უმრავლესობა გალოთებულია. მათი ძირითადი პრობლემა კი უმუშევრობაა. 1 000 ლარითაც რომ დავეხმაროთ, ეს მაინც არაა გამოსავალი. სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმაც უნდა იზრუნონ მათ დასაქმებაზე. არც სათანადო დაფასება აქვთ, რაც გულდასაწყვეტია. საზოგადოებამაც უნდა გამონახოს მექანიზმი და თავის წიაღში ამ კატეგორიის ხალხის ადაპტაცია მოახდინოს. მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციის დეკლარაციაში სამი ძირითადი მოთხოვნაა: ვეტერანთა აღიარება, მათი პატივისცემა და დაპირისპირებული ვეტერანების შერიგება.

— რა არის საჭირო, რომ ვეტერანთა დეპარტამენტმა, სამომავლოდ, ეფექტურად იმუშაოს?

— წესით, ამ დეპარტამენტს დიდი დატვირთვა უნდა ჰქონდეს და რეალურად, არაერთი ფუნქციის შეთავსება შეგვიძლია, მათ შორის, იდეოლოგიური საკითხებისაც, მაგრამ ყველაფერს გაუმართავ საკანონმდებლო ბაზამდე და ფინანსებამდე მივყავართ. ნაპოლეონმა სასახლე აუშენა ვეტერანებს, ჩვენ კი ცალკე შენობაც არ გვაქვს.

სასურველია, მიწის ნაკვეთი გამოუყონ დეპარტამენტს, სადაც ორსართულიან შენობას ავაშენებთ თავისი მუზეუმით, ბიბლიოთეკით, დარბაზით... ვეტერანებს თავშეყრისა და ურთიერთობის საშუალება მაინც ექნებათ. გვინდა, მოვითხოვოთ ე.წ. სამხედრო კატაფალკა, რათა სათანადო პატივითა და ღირსებით დავკრძალოთ მაღალი რანგისა და წოდების ვეტერანები.

სამსახურებიდან თანამშრომლებს მასობრივად ათავისუფლებენ

საქართველოს პარლამენტის უმცირესობის წევრ გიორგი წერეთლის ინფორმაციით, სამსახურებიდან თანამშრომლებს მასობრივად ათავისუფლებენ, განსაკუთრებით, რეგიონებში.

„ცოტა ხნის წინ იყო ოლეგ იაძის მაგალითი, რომელმაც სეზონი გახსნა. მისთვის მიბაძვას სხვა რაიონებშიც, მათ შორის, სამეგრელოსა და კახეთშიც ცდილობენ. ზოგი სამინისტრო მასობრივი გათავისუფლებებისგან თავს იკავებს, მაგრამ ვიცით, რომ ბევრგან ასეთივე რამ იგეგმება და პოლიტიკური მოტივით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერაში ეჭვმიტანილებს გაუშვებენ“, – აღნიშნა გიორგი წერეთელმა და დასძინა, რომ ეს იმ პერიოდში ხდება, როცა კერძო სექტორში სამუშაო ადგილების კიდევ უფრო შემცირებაა მოსალოდნელი.

„მედიანიუსი“

ავთანდილ ინაშვილს პ.მ 311856439

თქვენთვის ცნობილია, რომ თქვენს წინააღმდეგ, აშდოდის საოჯახო საქმეთა სასამართლოში, 14/12/11-ს შეტანილ იქნა სარჩელი დეკლარაციული განაჩენისა ნეთივოთში ჟაბოტინსკის ქუჩის 1340-ში არსებულ ბინის საკითხთან დაკავშირებით.

სარჩელი შეტანილ იქნა ქ-ნ ლიანა მანაშეროვის მიერ.

საქმის №-ია 4633-04-11.

მოსარჩელე წარმოდგენილია მისი რწმუნებულის ადვოკატ ხაიმ მესილათის მიერ ქ. ფეთახ თიკვის ჰისთადრუთის ქუჩის 30-დან. ტელეფონი: **9723-9045881**, ფაქსი: **9723-904598892**.

სარჩელის ასლის მისაღებად თქვენ უნდა მიმართოთ მოსარჩელეს რწმუნებულს.

სარჩელთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი დანიშნულ იქნა 3/6/13, 12:00 საათზე.

განცხადების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა წარადგინოთ სარჩელის პასუხი და სასამართლო პროცესზე გამოცხადდეთ დადგენილ დღეს.

თუ სარჩელის პასუხს არ წარადგენთ და/ან არ გამოცხადდებით სასამართლო პროცესზე, მოსალოდნელია, რომ სარჩელის პასუხის არარსებობის და/ან პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თქვენს წინააღმდეგ მიცემულ იქნეს განაჩენი იურიდიული აქციით.

იურიდიულ აქციაზე სასამართლო პროცესს მე ვნიშნავ გამოქვეყნების შესრულების შემდეგ, 3/6/13 თარიღისთვის 12:00 საათზე.

გამოქვეყნება შესრულებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 14/4/13-სა.

ეს განცხადება გაკეთებულ იქნა დღეს, 5773 წლის 5 ტებეთს 18/12/2012 დამსწრეთა თანდასწრებით.

სარით გოლანი, პრეზიდენტის მოადგილე

თიანელები მოუცლელი ზაქარია ქუცნაშვილისგან მეჯს მოელიან!

ლევან ცალუღელაშვილი

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პამფლეტებიდან კარგად შეგვასმინეს, რომ უმთავრესი საზრუნავი და მთავარი ფასეულობა „ოცნების“ წევრთათვის ადამიანი ყოფილა. ადამიანს, რომელსაც არ შია, საზრდოს მოპოვების უნარიც აქვს და დიდი სიკეთის მოტანაც შეუძლია ერისთვის. და თუ მშიერია... უნდა იმათხოვროს ან მოიპაროს ან... რევოლუცია მოაწყოს. რადგან ჯერ არც ჩლიქები ამომსვლია და არც ნაძვის ხე (მხარზე), ლოგიკურია, მთავრობისთვის „მთავარ ფასეულობას“ უნდა წარმოვადგენდე. პატივცემულმა პარლამენტარმა, დავით საგანელიძემ განაცხადა: „როგორ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე საუბარი, როდესაც ამდენი უმუშევარია“. გეთანხმებით! სულ ამას გავიძახი – ჩემი ხნის ხალხმა უკვე გამინისტრება და დაკითხვებზე სიარულიც მოასწრო და მე სულ უბრალო „სპეციალისტის“ შტატში დასაქმებასაც ვერ ვეღირსე-მეთქი.

„ჩახუჭება და გვერდით დგომა“

სხვათა შორის, CV-ს გაგზავნა რომელიმე სამინისტროში კი არა, მოკრძალებულად, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მინდოდა, მაგრამ არ მირჩიეს — არჩევნების შემდეგ მანდ ყველა ვაკანსია დაკავებულია, ვისი მოხსნაც უნდოდათ, მოხსნეს და შენ იქ ვინ გამუშავებსო. არადა, როგორი იმედი მქონდა ბატონი ზაქრო ქუცნაშვილის... მან ხომ არჩევნებამდე პირადად მითხრა, ჩვენი მთავარი ფასეულობა ადამიანია და დაგვიდექი გვერდითო... სხვათა შორის, ასეთი „მესიჯიც“ იყო, ბ-ნი ზაქრო კარგ იურისტებს ეძებს რაიონიდან და არჩევნების შემდეგ დასაქმებას ჰპირდებაო. ჰოდა, დავუდექი გვერდში. მეტი რაღა მექნა, ვისთანაც ხმა მიმიწვდებოდა, აგიტაცია ჩავატარე... 1 ოქტომბერს ხმის მიცემით არ დავკმაყოფილდი — საღამოს, საარჩევნო ყუთები იხურება და გულმა როგორ უნდა გამიძლოს, შინ გავჩერდე-მეთქი და ტალახიან ორღობეს ფანრით ხელში, პარტიის შტაბისკენ გავუყევი. ეზოში ბ-ნი ზაქრო იდგა და ტელეფონზე საუბრობდა. თავად ტელეფონი კი (ალბათ, „მაგთი ფიქსი“) ახალგაზრდა ბიჭს ეკავა. გვერდით დგომის სურვილით ანთებული დაველოდე საუბრის დასრულებას რომ მივსალმებოდი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ბ-ნი ზაქრო ალბათ, ისე იყო გადაღლილი, რომ ვერც კი შემამჩნია და ოთახში შეიკეტა. უხერხულად მდგომი, ახალგაზრდა ყმაწვილმა გამომაფხიზლა. მისვლის მიზეზი მკითხა. როცა გაიგო, შევიდა დეპუტატობის კანდიდატთან. გამოვიდა ბ-ნი ზაქრო და ხელი ჩამომართვა. ბ-ნო ზაქრო აქ „საფიხვნოდ“ ნამდვილად არ მოვსულვარ, რა გავაკეთო-მეთქი, ვკითხე. თიანეთის გამგეობის გვერდით, ბიბლიოთეკის შენობაში საარჩევნო შტაბია, შიგნით არ შეგიშვებენ, გამოცდა არ გაქვს ჩაბარებული, გარედან უდარაჯე, რამე არ მოხდეს, ხმები არ გაგვიყალბონო, მითხრა. შვიდ წუთში მითითებულ უბანთან გავჩნდი და შენობას ოთხივე მხრიდან „ვპატრულირებდი“ – ვიდრე „ქართული ოცნების“ გამარჯვება ოფიციალურად არ გამოცხადდა. აქ მთავრდება „ამბავი“ ჩემი პარტიული „მოღვაწეობისა“ და გვერდით დგომისა. იქნებ მეც დამიდგნენ-მეთქი გვერდით და... არც კი იოცნებოო... ის ახალგაზრდებიც დაუსაქმებლები არიან, რომლებმაც მითხრეს, წინასაარჩევნოდ იაქტიურე და დასაქმდებიო. ჯერჯერობით, ვოცნებობთ დასაქმებაზე და იმედი გვაქვს, იმედი ხომ სულ ბოლოს კვდება!

„კვალი ნათელი...“

თიანეთმა, უგზოობასთან ერთად, ბევრ ჭირ-ვარამსა და გამგებელს გაუძლო. ორი ან სამი თუ ყოფილა ისეთი, რომელსაც ხალხისთვის მართლა რამე სასიკეთო გაუკეთებია. არავის უზრუნია, თიანეთისთვის „ძველი დიდება“ დაებრუნებინა.

„ნაციონალმა“ გამგებელმა, რაიონში ყვითელი „კვალი“ დატოვა. 1 ოქტომბრის მოახლოებასთან ერთად, ქუჩები სასწრაფოდ გადათხარეს. მოსახლეობის გულისმოგება ბუნებრივი აირის ცისფერი ალით სურდათ, მაგრამ გაზის მილების მხოლოდ ყვითლად შეღებვა მოასწრეს. ყველას კართან დგას გაზის კვანძი წარწერით „ფრთხილად, ცეცხლსაშიშია!“ „ნაციონალების“ „ცეცხლსაშიშობა“ თიანელებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს და ზამთარს ისევ საბერძნეთიდან გამოგზავნილი ფულით ნაყიდი ორიოდე საჟენი შეშით შეხვდნენ (საჟენი შეშა 300 ლარი ღირს). ვისაც საბერძნეთში არავინ ჰყავს, განსაკუთრებით, მარტოხელა პენსიონერებს, სამი თვის პენსიის კრედიტის სახით გამოტანა მოუხდათ, რომ ცოტაოდენი შეშა ეყიდათ. თიანეთს ახალი, სხვებისგან განსხვავებით, თიანეთში მცხოვრები (და არა წარმოშობით თიანელი ან თიანელი ნათესავის გამო თავადაც „თიანელი“) გამგებელი ჰყავს. რაიონისთვის ეს მნიშვნელოვანია. ახალი გამგებლისა და დეპუტატისთვის, სხვა პრობლემებთან ერთად, პრიორიტეტული წესით, ჯანდაცვა და სოციალური სფერო უნდა იყოს. მაგალითად, ონკოლოგიური პაციენტები, განსაკუთრებით სოფლებში – შესაბამისი სამედიცინო რესურსების სიმწირის გამო, ადეკვატურ დახმარებას ვერ იღებენ. ახლახან გავრცელდა პოზიტიური ინფორმაცია, რომ ერთ ონკოლოგიურ ავადმყოფს, სამი მცირეწლოვანი შვილის დედას, რაიონის ბიუჯეტი ხუთასი ლარით დაეხმარა. „ვერსია“ აღნიშნული ინფორმაციის სისწორეში თავად დარწმუნდა. საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე, დეპუტატმა მოსახლეობას ახალი წელი მიულოცა. თიანელები კი ზაქარია ქუცნაშვილისგან მეტს მოელიან. ერთ-ერთმა მოსახლემ, რომელმაც ვინაობა არ გაამხილა, შემოგვჩივლა, რომ სურდა, დეპუტატისთვის ამნისტიასთან დაკავშირებით რაღაც ეკითხა, მაგრამ მან უდროობა მოიმიზეზა და შეხვედრის ადგილი დატოვა. თიანელებმა ყველაფერი გააკეთეს არჩევნების დღეს ზაქარია ქუცნაშვილისთვის. რას მოიმოქმედებს მაჟორიტარი დეპუტატი ხალხისთვის, მომავალი გვიჩვენებს.

„აბა, ეს ცხოვრებაა?.. ვითმენთ, მაგრამ როდემდე?“

პრობლემებში ჩაძირული და ხელისუფლებისგან მიტოვებული გარდაბანი

მერაბ ბერიძე

გარდაბნის რაიონი თბილისიდან ერთი ხელის გაწვდენაზეა, მაგრამ აქაურები, თითქოს სხვა სამყაროში ცხოვრობენ: მიწის, წყლის ნაკლებობა, უმუშევრობა, უსამართლობა, მძიმე ეკოლოგიური პრობლემები... კანონმორჩილი ადამიანების ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობიაო და გადავწყვიტეთ ადგილზე ჩასვლა, მუნიციპალიტეტის სოფელ-სოფელ შემოვლა და მკითხველისთვის ამ დაუჯერებელი რეალობის ახლოდან ჩვენება. დასკვნების გაკეთება კი, მათთვის მიგვინდვია, ვისაც ამ ქვეყნის ნორმალური მომავლის უზრუნველყოფა ევალება.

გარდაბნელების მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. ადგილობრივი ახალგაზრდები, ძირითადად, მეზობელ თურქეთსა და აზერბაიჯანში მიდიან. ადრე, ბაქოში ერთთვიან სამუშაო ვადას აძლევდნენ, ახლა ვადა სამ თვემდე გაიზარდა. დარღვევის შემთხვევაში, შრომით მიგრანტებს 400 აზერბაიჯანულ მანათს (რვაას ლარზე მეტს) ახდევინებენ.

„უმეტესობა სამუშაოდ მაინც თურქეთში მიდის. ამ გზით ორ კაპიკს რომ არ შოულობდნენ, აქ ალბათ, ერთმანეთს დაერეოდნენ. აზერბაიჯანში ერთ თვეში ოთხას მანათს ითხოვდნენ; აქაურებმა ეს ნორმა გააპროტესტეს და ახლა, ვადა სამ თვემდე გაზარდეს. გარდაბანში სამუშაო ადგილები არ არის და ჩანს, კარგა ხანს არც იქნება. ოჯახებს რჩენა ხომ უნდა? შუქი, გაზი, წყალი გვაქვს, ამ მხრივ არაფერს ვუჩივით და იმედია, ნელ-ნელა კომუნალური გადასახადების გადახდაც აღარ გაგვიჭირდება“, — აცხადებს ჩვენთან საუბრისას **ელმან ბაირამოვი**.

ცენტრალურ ქუჩაზე, აღმაშენებლის 83-ში, უკვე ორი ათეული წელია, აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. კორპუსის წინ ეზოში, პირუტყვსაც ინახავენ. გალის რაიონის სოფელ აჩიგვარადან დევნილი ლარისა ანჩაბაძე გადასახადებზე კუთვნილ შეღავათს ვერ იღებს, რადგან თავის დროზე, მისი საცხოვრებლის რეგისტრაციაში შეცდომა დაუშვეს და ახლა, შესაბამის ორგანოებს მიმართავს თხოვნით, ხარვეზი დროულად გამოასწორონ: **„აჩიგვარადან წამოსვლის მერე, პირველი 7 თვე ზუგდიდში, უშუქოდ ვიყავით. მერე თქვეს, გარდაბანში შუქიც არის და პურიცო და წამოვედით. 1996 წელს დევნილების სიიდან მთელი ოჯახი შეცდომით ამოგვაგდეს. საბუთები გავაკეთე, რათა ჩემს სახლში რეგისტრაცია გამეკეთებინა. ვუთხარი, გარდაბანში, გვარდიის შენობაში ვცხოვრობთ-მეთქი. საბუთებში, ისევ შეცდომით, სამხედრო ქალაქი ჩაუწერიათ. ასეთი ქალაქი სოფელ ჯანდარასთანაა ახლოს... ოცი წელია ასეთ საბუთს ვატარებ.**

მრიცხველები რომ დაგვიყენეს, დენზე კუთვნილი შეღავათებიც მომიხსნეს და, ფაქტობრივად, ჩემი ჯიბიდან ვიხდი გადასახადს. არსად ვმუშაობ და ეს დიდ ტვირთად მაწევს. დევნილის 22 ლარით ამდენ ხარჯს როგორ გავწვდე? მეუბნებიან, როცა სახლს საკუთრებაში გაგიფორმებენ, ამ მისამართზე ავტომატურად გადახვალო. გაფორმებაზე კი ჯერ არაფერს ამბობენ, მართალია, ფართი შეგვირემონტეს, მაგრამ ყველაფერი ამით დასრულდა. ადრე აფხაზეთში დაბრუნებას გვპირდებოდნენ, ახლა ამაზეც აღარაფერს ამბობენ. იქნებ როგორმე დახმარება გაგვიზარდონ და ჩემს საცხოვრებელ მისამართზე დამარეგისტრირონ, ეს მინდა, მეტი — არაფერი“.

გარდაბანში ბოლო წლებში ჩასახლებული სამაჩაბლოდან დევნილებიც უმუშევრობას უჩივიან და კომუნალურ გადასახადებს ვერ აუდიან. მათი თქმით, ახალი მთავრობისგან, პირველ რიგში, დასაქმების პრობლემის მოგვარებას ელიან. ერედველი დევნილები, დღიური სამუშაოს მოლოდინში, ყოველ დილით, კორპუსების წინ, ეზოში ცეცხლს ეფიცხებიან. ვალერი ბიჩინაშვილი ამბობს, რომ 24-ლარიანი დახმარებით ცხოვრება შეუძლებელია: **„ცხინვალელ დევნილებს არანაირი შეღავათი არ გვაქვს და დენის, გაზის გადასახადებს გვახდევინებენ. უკვე რამდენი წელია, ასეთ მდგომარეობაში ვართ. სამუშაოც არ არის — ადგილობრივები სათოხნად ან ცოცხის მოსაჭრელად დღიურ საქმეზე თუ წაგვიყვანენ. 21-ე საუკუნეში, საკუთარ ქვეყანაში, მონებად ვართ ქცეულნი. გვეუბნებიან, 12 ლარს მოგცემთ და პურს გაჭმევთ, ან 15 ლარს გადაგიხდით და თქვენი პური წამოიღეთო. 24 ლარით კომუნალური გადავიხადო თუ პური ვჭამო? ჩვენი ლიფტიც კი ფასიანია, ათი თეთრია გადასახდელი“.** ერედველი გურამ არბოლიშვილი ამბობს, რომ მათთან არავინ მოდის და სამომავლოდაც არაფერს ჰპირდება: **„რამენაირად უნდა დაგვეხმარონ და დაგვასაქმონ. ადრე ომის ვეტერანობის 22 ლარს მაინც ვიღებდით, მაგრამ აქ ჩამოსვლის შემდეგ, ისიც მოგვიხსნეს... უკვე აღარ ვჭირდებოდით ქვეყანას. ახალი მთავრობა კი, გაზაფხულზე გამოჩნდება, რისი გამკეთებელია. პირველ რიგში, ადგილზე სამუშაოზე მოწყობას ველოდებით და არც სახლში დაბრუნების იმედი დაგვიკარგავს, თორემ აქამდე დავიხოცებოდით. გამოჩნდა, რომ სააკაშვილი ჩვენს დაბრუნებაზე არც ფიქრობდა, ამათ მოლაპარაკება დაიწყეს და ჯერ არავინ იცის, რა შედეგი იქნება“.**

დევნილები მთავრობისგან გარკვეული შეღავათების დაწესებას მოითხოვენ: **„ივანიშვილის მთავრობამ რაღაც შეღავათი უნდა მოგვცეს: გაზზე, დენზე, თუნდაც ტრანსპორტზე. შევარდნაძემ აფხაზეთის ძველი დევნილები მთელი 21 წელი შეინახა. ჩვენ რა დავაშავეთ? დენზე 1,5 ლარი მქონდა გადაცილებული და გათიშეს, ერთი დღე არ მაცადეს, მასესხებინეს და იმ წუთში გადამახდევინეს. ეს ცხოვრებაა? ახალგაზრდები დილიდან ცეცხლს ანთებენ და თბებიან, სხვა რა უნდა აკეთონ? ეს ჩვენი შრომის ბირჟაა, საქმე კი არსადაა. თითო ოჯახს 24 მეასედი მიწა მოგვცეს, ამ ქვიან ნიადაგს დამუშავება, მოვლა-პატრონობა ხომ უნდა? მოწეული მოსავალიც ვერსად მიგვაქვს, 12-კვადრატულ ოთახში სამი-ოთხი სული ვცხოვრობთ, ხალხი დაავადდა... სახურავის თავზე ამხელა სატელეფონო ანძას რა უნდა? მთელი ღამე ღმუის ეს ანტენა და მოსვენებას არ გვაძლევს. თავის დროზე, ერედვში ორი ასეთი ანძა დადგეს და ორივე სოფელსგარეთ, აქ კი, თავზე დაგვადგეს. კორპუსის საძირკველში კანალიზაციის პრობლემაც მოუგვარებელია, ამ სიცივეში სახლში კოღო ვერ გამოვლიეთ“,** — ამბობს ვალერი ბიჩინაშვილი.

გარდაბნის სოფლების მკვიდრთაც თავისი გასაჭირი აქვთ. აღთაკლიაში წყლის ნაკლებობას უჩივიან. არიფ გასანოვი ამბობს, რომ ახალი ხაზიც გაიყვანეს, მაგრამ ეს საკმარისი არაა: **„ტრასაზე ვინც ცხოვრობს, წყალი აქვს, დანარჩენებს — არა. ხელისუფლება კი გვეუბნება — წყალი აქ არავის ჰყოფნის და მოითმინეთო. ვითმენთ, მაგრამ როდემდე?“.** მისივე თქმით, სოფელს არ აქვს საძოვარი: **„საქონელი 20 კილომეტრზე წინ და უკან დაგვყავს, ლამისაა, მისავათებული ძროხა ხელში ავიყვანოთ. ჩვენი მიწა კერძო მესაკუთრეებმა იყიდეს და იქ შესვლის უფლებას არ გვაძლევენ და სოფლელებს მიწა მხოლოდ გზის გასწვრივ დარჩათ“.**

გულმამედ ალაჰვერდიევი კი ამბობს, რომ სოფლის სკოლას სასწრაფოდაა გასარემონტებელი, რადგან 1965 წელს აშენებული ნაგებობა სავალალო მდგომარეობაშია.

ნარიმან გუმბათოვი კი ანტისანიტარიაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ სკოლის გზაზე დაყრილი ნაგავი არავის გააქვს: **„ამას საკრებულომ, დეპუტატმა ყურადღება უნდა მიაქციოს, მართალია, სპეციალური მანქანა გამოყვეს, მაგრამ არ მუშაობს. სოფლის თავიცა და ბოლოც ნაგავს მიაქვს, ბავშვები კი ამ სიბინძურეში დადიან. როცა ამ პრობლემაზე ვსაუბრობთ, გვეუბნებიან, სხვა საქმე არ გაქვთო? და საკრებულოს თავმჯდომარეც ხმას ვერ იღებს“.**

სოფელ ქესალოს მოსახლეობას, თავის დროზე, მიწა გაუყიდეს და საარსებო წყაროს გარეშე დატოვეს. ამის გამო, უმუშევრობა აქ ყველაზე თვალშისაცემია. დილანჩი მამედოვი ამბობს, რომ წინა ხელისუფლებამ სოფელს საძოვარიც წაართვა: **„700 ჰა-ზე მეტი იყიდეს, არაფერი დაგვიტოვეს და ეს მხოლოდ ერთმა ფირმამ გააკეთა, არადა, წესით, თითო ოჯახს თითო ჰექტარი მაინც უნდა გვქონოდა. ახალგაზრდობა მთელი დღე ქუჩაში დგას, ვისაც საშუალება ჰქონდა, რუსეთში, თურქეთში გაიქცა და მტვირთავად, შავ მუშად დასაქმდა“.**

ვაგიფ ჰუსეინოვი შემოგვჩივის, რომ სოფელში ქართულ ენას სათანადოდ არ ასწავლიან. ისედაც სუსტი ქართული სექტორი, მხოლოდ მეხუთე კლასამდე ფუნქციონირებს, ხოლო აზერბაიჯანულ კლასებში სახელმწიფო ენას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ: **„მიზეზი რუსთავიდან და გარდაბნიდან წამოსულ მასწავლებლებს უნდა ჰკითხოთ. სკოლის ხელმძღვანელობა გვეუბნება, ეს ჩვენს ძალებს აღემატება და ვერაფერს დავავალდებულებთო, პატარები კი სახელმწიფო ენას ვერ ეუფლებიან. ადრე, რუსულს ვსწავლობდით, ახლა ქართული გვინდა. ბავშვები ენის შესწავლის ინიციატივას თვითონ იჩენენ“.**

„სამუშაოზე მხოლოდ იმას აწყობენ, ვისაც „ზურგი“ აქვს. ასეთები ერთეულები არიან, დანარჩენები შარაგზას მიტოვებულები ვართ. წინა მთავრობამ გზა ასე თუ ისე, გააკეთა, დანაშაულიც ნაკლებადაა... მაგრამ საქმე არ გვაქვს და ყველაფერი წყალში იყრება. 55 წლის ვარ, მიწა არ მაქვს, ეზოში ბადრიჯანი მომყავს და ოც თეთრად იყიდება. აბა, მიდი და, ამ კაპიკებზე იცხოვრე. ეს შარვალიც შვილებმა მიყიდეს. ნებისმიერ ადგილას ვიმუშავებდი, მეათე სართულზე ათჯერ ავიდოდი და ჩამოვიდოდი, მაგრამ სად არის? აქვე, სოფლის გვერდით, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენია და თითო-ოროლა ადგილობრივი მუშაობს“, – ამ რესპონდენტს კი ვინაობის დასახელება არ სურს.

ვახტანგისი გარდაბნის რაიონის საზღვრისპირა სოფელია, სადაც ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები გვერდიგვერდ ცხოვრობენ. მთავარი გასაჭირი აქაც უმუშევრობაა. **„ახალგაზრდებს გასაქანი არ აქვთ. მიწები დაანაწილეს, მცირე ფართში ვერაფერს ვაკეთებთ. ყველას თითო-ოროლა ცხვარი ან ძროხა ჰყავს. ბალახს თიბავენ და ამით შემოიფარგლება აქაური ოჯახის შემოსავალი. ყველა თურქეთსა და აზერბაიჯანში გარბის, სადაც მონებივით შრომობენ“,** — ამბობს ბიოლოგიის მასწავლებელი მალაქ ოსმანოვა.

სოფელ ნორიოში სასმელი წყლის ნაკლებობაა. ადგილობრივი ნუგზარ ხურიაშვილი აცხადებს, რომ წყალი ორ დღეში ერთხელ, ისიც მცირე რაოდენობით მოდის: **„მილების შეცვლა გვინდა, მაგრამ პატრონი არ გვყავს. 1953 წელშია გამოყვანილი და იმის მერე ხელი არავის უხლია. ბოლოს, 3 კმ საკუთარი ძალებით გამოვიყვანეთ, მაგრამ ეს მილებიც დალპა. უმუშევრები ვართ და საშუალება არ გვაქვს, შევაკეთოთ. გამგეობას ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ უშედეგოდ“.**

აქ სოფლის პრიორიტეტების სახელმწიფო პროგრამაზე არაფერი სმენიათ და უწყლობის პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას: **„შეიძლება, ფულიც გამოიყო, მაგრამ ჩვენისთანა გლეხებს ვინ, რას გააგებინებს? აქამდე არაფერი აღწევს. სოფელში 1 500 კომლი ცხოვრობს და სასაფლაომდე მისასვლელი გზა არ გვაქვს. წყალი რომ მოვარდება, ორ-სამხიდიანი მანქანა უნდა ნახო, რომ განსვენებული ბოლო გზაზე წაიყვანო. გამგეობამ ხიდი თავისი ძალებით გააკეთა, მაგრამ წყალდიდობამ წაიღო და კვლავ გზის გარეშე დავრჩით“.**

ნორიოელები ადგილობრივ ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ: **„პატარა ცნობისთვის გარდაბანში, გამგეობაში გავრბივართ. იქაც სამსახურში კაციშვილს ვერ დაიჭერ. მოგვხედონ, თორემ ხალხს ყველას მიმართ რწმენა აქვს დაკარგული“,** – დასძენს ნუგზარ ხურიაშვილი.

სოფელ ფოლადაანთკარში გზის გაკეთებას და გაზის მილების გამოცვლას მოითხოვენ. დასახლებაში ოფიციალურად 3 500 კაცია რეგისტრირებული, რეალურად კი, მოსახლეობის ნახევარია დარჩენილი. სამაჩაბლოდან დევნილი გიორგი მინდიაშვილი კარგად მოვლილ ეზოში ფუსფუსებს: **„2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ჯერ რუსთავის სკოლა-ინტერნატში ვიყავი შესახლებული, მერე ეს ქოხი შევიძინე და გადმოვედი. სოფლის გზის გაკეთებას გვპირდებიან, ამისთვის ფულია გამოყოფილიო, ბუნებრივი აირი კი არ გვაქვს — ძველმა მილებმა ბათქა-ბუთქი რომ დაიწყო, გათიშეს და ახალი მილებისთვის გამოყოფილი თანხა შეჭამეს. ამის ჩამდენები კი დაიჭირეს, მაგრამ ჩვენ, რა? გაზის მილები დღესაც შესაცვლელია“.** ბატონი გიორგი მადლობელია, რომ როგორც დევნილს, გულის ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა აღნიშნავს, რომ 110-ლარიანი პენსიით ცხოვრება შეუძლებელია: **„ჩემი აზრით, ივანიშვილი ქვეყანას მეტ სიკეთეს მოუტანს, ეს ადამიანი ფულის კეთებაზე მაინც არ ფიქრობს“.**

სოფელ ბირლიკშის მოსახლეობის მთავარი სატკივარი, მიწების უსამართლო განაწილებაა. აზერბაიჯანელებთან ერთად, აქ 11 ქართული ოჯახია. **„საკრებულოში 300 ოჯახია, რომელსაც საარსებო მიწა არ აქვს. ნახევარ-ნახევარი ჰექტარი ისე გაანაწილეს, ყველას არ შეხვდა: ნათესაობის პრინციპით, ვიღაც მოხვდა სიაში, სხვა კი ამოშალეს. მამაჩემმა აქ 25 წელი იმუშავა აგრონომად და არაფერი ერგო. 4 შვილი მყავს, მითხარით, რით ვიარსებო? სავარგულების 90% ერთი ფირმის კერძო საკუთრებაა, ახლა ვის უნდა მოსთხოვო ეს მიწა?“,** – ამბობს ბირლიკელი ჯამბულ მოდებაძე, რომელიც ხაზს უსვამს, რომ აზერბაიჯანელებიცა და ქართველებიც ერთნაირ მდგომარეობაში არიან, რასაც ვერ ვიტყვით, ადგილობრივ თვითმმართველობაში წარმომადგენლობაზე: **„სოფელში ქართველები ცოტანი ვართ, მაგრამ საკრებულოში ჩვენგან ერთი კაცი მაინც ხომ უნდა იყოს წარმოდგენილი?“**

სოფელ ახალ სამგორს სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდება. დასალევად ვერ იყენებენ და მოძრავი ცისტერნების იმედად არიან. ამის მიუხედავად, მოსახლეობა ერთ სულზე 1,60 ლარს იხდის: **„სასმელ წყალს ცისტერნებიდან ვყიდულობთ. 10 ლიტრში 20 თეთრს ვიხდით, სოფლის დახმარების პროგრამაზე კი მაშინ გვატყობინებენ, როცა გამოყოფილი თანხა გაიხარჯება. სტადიონი იმ დროს გაგვიკეთეს, როცა წყალი გვენატრებოდა. სარწყავზეც სოფლელებს შორის მუდმივი დავაა, ამას ემატება ბუნებრივი აირის პრობლემა: მილები გაყვანილია, მაგრამ დღემდე ოჯახებში ვერ შეიყვანეს. უკეთესი მომავლის რწმენა დავკარგეთ. ყოფილმა ხელისუფლებამ ელემენტარული პრობლემები არ გადაგვიწყვიტა. ვისაც ეშინოდა, არჩევნებზე ისევ მათ მისცა ხმა. ჩვენ ეს არ გვეხებოდა, რადგან არსად ვიყავით დასაქმებულები. იმედია, ახალი ხელისუფლება რეგიონის პრობლემების მიმართ უფრო გულისხმიერი იქნება“,** – ამბობენ ახალისამგორელები.

ჯანდარასკენ მიმავალი გზა დანგრეულია. სოფლის ელგაყვანილობის ბოძები დრო-ჟამს ვერ უძლებს. მუბარიზ ასლანოვი ამბობს, რომ ისინი მხოლოდ სადენების დამსახურებით „დგას ფეხზე“: **„ეს ბოძები ნებისმიერ დროს შეიძლება წაიქცეს და უბედურება დატრიალდეს. სუსტი დენი მოდის, მაცივარსაც ვერ ვრთავთ, სადენები მოძველებული და ექსპლუატაციის ნორმებიდანაა გამოსული. ელექტრომონტიორი ვარ და ამ ბოძებზე ვერ ავდივარ, მეშინია. რაიონის ხელისუფლებას არაერთხელ მივმართეთ, მაგრამ არ ვიცით, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი გულგრილობა?“**. ჯანდარელებიც, ძირითადად, უმუშევრები არიან. გვერდით გამავალ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე მხოლოდ სამი-ოთხი ადგილობრივია დასაქმებული: **„თიბვის დროს მოიჯარეები ადგილობრივ ბიჭებს ქირაობენ და საქმე მხოლოდ მაშინაა. ესეც ერთ-ორ თვეს გრძელდება. 50 ჰა ერთ პიროვნებას აქვს წაღებული. საშველი არ დაგვადგა. ნახევარი ჰექტრის ამარა დავრჩით“.**

დასახლება პაბედა შორიდან კარგად გამოიყურება, რეალურად კი, ყველასგან მიტოვებულია. დანგრეული გზა, გაპარტახებული კორპუსები, აქა-იქ, ფანჯრებზე ცელოფნის პარკები აქვთ აკრული. ადრე აქ ოჯახებით რუსი სამხედროები ცხოვრობდნენ, რისი დამადასტურებელიც, ცენტრში საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლის კვარცხლბეკია დარჩენილი. აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონი (ვინაობას არ ასახელებს) 17 წელია აქ ცხოვრობს და დღემდე ვერ გაუგია, დასახლებას რა სტატუსი აქვს: **„პაბედაში 37 ოჯახი ცხოვრობს. გაზი არ გვაქვს. წყალი კვირაში ერთხელ მოდის და ჩვენი ყოფა არავის აინტერესებს. გარშემო თვალუწვდენელი მინდვრებია, მაგრამ ამ ღობეს ვერ გადალახავ, თუ ფულს არ გადაიხდი“.**

P.S. სამწუხაროა, რომ დამოუკიდებლობის ოციწლისთავზე, ქვეყანა ერთ დიდ „პაბედას“ ჰგავს, სადაც შელამაზებული ფასადების მიღმა, არცთუ სანუგეშო რეალობა იმალება. შეუძლებელია, რაიმე მნიშვნელოვან კეთილდღეობას მიაღწიო, როცა დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში, წლების განმავლობაში, სრული უსამართლობა სუფევს. რეგიონს დანაშაულებრივი კლანი მართავდა და გასაკვირი არაა, რომ მოქალაქეების გასაჭირი მათ კაბინეტებამდე ვერაფრით აღწევდა... გარდაბანში იმედი აქვთ, რომ ახალი ხელისუფლება სამართლიანობას აღადგენს და რეგიონებს ჭაობიდან ამოიყვანს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება კი, ივანიშვილის მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იქნება.

ბუნებრივი აირის გაჟონვას ცოლ-ქმარი ემსხვერპლა

67 წლის ამირან წიგნაძე და 63 წლის ნუნუ თუშიშვილი სახლში მარტო ცხოვრობდნენ და CO-თი მოწამლულები ისინი სიძემ ნახა.

წიგნაძეების ოჯახში მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას ცოლ-ქმარი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

გავრცელებული ინფორმაციით, სახლში CO-ს დაგროვება გაზის გამაცხელებლის გამწოვის არარსებობამ გამოიწვია. კრიმინალისტთა ჯგუფმა შემთხვევის ადგილი უკვე დაათვალიერა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სააკაშვილმა ახალი სათხილამურო ტრასა გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა, აჭარაში ახალი საბაგირო გზა და 1 800 მეტრი სიგრძის სათხილამურო ტრასა გახსნა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამ ახალ ტურისტულ ზონაში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება ჯერ კიდევ არჩევნებამდე დაიწყო და დაპირებისამებრ, სამუშაოების პირველი ეტაპი ზამთრის სეზონისთვის დასრულებულია.

სააკაშვილი ადგილობრივი სათხილამურო სკოლის მოსწავლეებთან, ლევან ვარშალომიძესა და ხულოს დეპუტატ ანზორ ბოლქვაძესთან ერთად, ახალი საბაგიროს პირველი სტუმარი გახლდათ და გონდოლებით გასეირნების შემდეგ, სათხილამურო ტრასაზეც ისრიალა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ახალი კურორტის განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის, რადგან ხელს შეუწყობს მაღალმთიანი აჭარის ტურისტული პოტენციალის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ამ ადგილს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ კურორტად აქცევს საქართველოს მასშტაბით.

„პირველი“

ვერსიანიუსი

არმაზ ხარძიანი პოლიტიკური სტატუსის მინიჭებას ითხოვს

ყოფილი ჟურნალისტი და კონსერვატიული პარტიის წევრი არმაზ ხარძიანი მისი საქმის გადახედვას ითხოვს. ადვოკატებმა — ირმა ჭკადუამ და ირაკლი გაბრიჭიძემ განაცხადეს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პოლიტიკური მოტივით დააკავეს და მისი საქმე მთლიანად ინსცენირებულია. არმაზ ხარძიანმა, რომელიც ამჟამად სასჯელს რუსთავში იხდის, ციხიდან გამოგზავნა ვრცელი წერილი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას მიმართა: **„წერილში ხარძიანი დეტალურად ყვება, როგორ მოხდა დაკავების ინსცენირება, რა სახის ზეწოლა ხორციელდებოდა მასზე და მის ოჯახზე დაკავების წინ, როგორ ჩამოართვეს იძულებითი აღიარებითი ჩვენება და რა სახის ზეწოლა ხორციელდებოდა დაკავების შემდეგ“.**

„მედიანიუსი“

ქუთაისში მოვაჭრეებმა მოსაკრებლის გადასახადის ზრდა გააპროტესტეს

მოვაჭრეები სავაჭრო ცენტრის შენობაში შევიდნენ და კარი შიგნიდან ჩაკეტეს, რადგან ცენტრის მეპატრონემ მოსაკრებლის გადასახადი 10 პროცენტით გაუზარდა. თანამშრომლები მოითხოვენ, დაიკლოს ხელოვნურად გაზრდილმა გადასახადმა, მაგრამ სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელობა ამის გაკეთებას არ აპირებს.

„მედიანიუსი“

ᲕᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ
18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲪᲕᲘᲠᲘ — ვერძებისთვის არცთუ სასიკეთო დღეა, ამიტომ სჯობს, კონტრაქტების გაფორმებასა თუ გარიგებებზე უარი თქვათ და რუტინული საქმიანობა დაკავდეთ. შშვიდად დააკვირდით მოვლენებს.

ᲙᲣᲠᲘ — დღეს შესაძლოა ფსიქოლოგიური დაღლილობა იგრძნოთ. განსაკუთრებით, ყურადღებიანი იყავით, გარშემომყოფებისგან ეჭვიანობა ან წყენა რომ არ დაიმსახუროთ. მეტი იმოძრავეთ და ფიზიკურ დატვირთვას თავს ნუ აარიდებთ, რადგან სწორედ ამის დამსახურებაა, კარგი ჯანმრთელობა რომ გაქვთ.

ᲒᲘᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ — აუჩქარებელი ნაბიჯით მოასწრებთ იქ მისვლას, სადაც სხვები მიიჩქაროდნენ და ხშირად აგვიანდებოდათ. იოცნებეთ, იმოქმედეთ, შექმენით! შესაძლებლობა გეძლევათ, ხელსაყრელი ფინანსური ოპერაციით მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესოთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ახალი წლების კალეიდოსკოპმა თქვენი ცხოვრების ემოციური სფერო კადატვირთა. დროა საჭირო, რომ ჩვეულ საქმიანობა რიტმს დაუბრუნდეთ. ნუ იჩქარებთ გადწყვეტილებების მიღებას და ახლობლების რჩევა გაითვალისწინეთ.

ᲚᲝᲛᲘ — დღეს მომხდარი მოვლენები დიდად არ გახარებთ, მაგრამ არც ხელს გიშლით იმ საქმის კეთებაში, რაც ძალიან მოგწონთ. უარს ნუ ეტყვით საკუთარ თავს, ცოტა რომ წაიზარმაცოთ. დღე სასარგებლო კონტაქტების დამყარებას დაუთმეთ. შესაძლოა, უცხოელი სტუმარიც მიიღოთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის მირაჟებისა და ილუზიების დღეა. დაბირებები, შესაძლოა, სიმართლე არ აღმოჩნდეს. მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ, უკეთეს დროს დაელოდეთ.

ᲯᲘᲯᲒᲝᲠᲘ — შექმნილი ვითარება იმ წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ, რაზეც დიდხანს ოცნებობდით. უფრო კონკრეტული გახადეთ ეს ოცნება და ცხოვრებაში მისი რეალურად განხორციელება დაიწყეთ.

ᲚᲠᲘᲜᲯᲚᲘ — იმოქმედეთ სწორად შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა მხოლოდ უველა დაწყებულ საქმეს დაბოლოებთ, მომავლისთვის ახალი შესაძლებლობებიც მოგეცემთ. პირად ურთიერთობებში ცოტა არეული დღეა. გეჩვენებათ, რომ არავის უყვარხართ, მაგრამ ნუ ინერვიულებთ, ასე არ არის, უბრალოდ, მოწყენილი და სევდიანი დღეა.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲡᲜᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები დღეს მშვიდ დღეს ჭპირდებიან. შესაძლოა, საქმემ დაგღალოთ, მაგრამ ამის გამო, წარმატებას ხელს ნუ ჭკრავთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ, განსაკუთრებით პატარებს, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲥᲐ — დღის ენერგეტიკული პალიტრა საკმაოდ ჭრელია. თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან, განსაკუთრებულ პრეტენზიებს ნუ გამოავლენთ გრშემომყოფებისადმი. კარგი დღეა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — თუ გინდათ, ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, დღევანდელის ძალღიერი იყავით. მოვლენებს ნუ დაჩქარებთ — ხელსაყრელი წინადადება თავად გიპოვით, მხოლოდ ამისთვის ცოტა მოთმინებაა საჭირო, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გარკვევას დღეს ნუ შეეცდებით, ამისთვის შესაფერისი დღე არ არის.

ᲗᲕᲔᲖᲘᲠᲘ — თქვენი ნიშნის სტიქია — წყალი საქმეში აუჩქარებლობისკენ მოგიწოდებთ, ამიტომ, ნაკლებად გამოამჟღავნეთ გრძნობები და ემოციები, უფრო პრაგმატული იყავით. საქმე საქმედ, მაგრამ ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ, გაიხსენეთ, ოფისისა და სახლის გარდა, ბოლო დროს სადმე თუ იყავით?

ნუდისტები მუზეუმში ღამით ივლიან

სიდნეის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა ღამის სპეცტურების შესახებ გამოაცხადა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ, შიშველი მნახველებისთვის მოეწყობა. ავსტრალიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პატივსაცემი მუზეუმი იმედოვნებს, რომ ამ გზით ადგილობრივებსა და ტურისტებს ხელოვნებას აზიარებენ და აჩვენებენ, რომ „არტპერფომანსსა და ჩვეულებრივ ადამიანებს შორის არანაირი ზღვარი არ არსებობს“. ახალ ტურებს „ინსტალაცია ექსჰიბიციონისტებისთვის“ უწოდეს და სულ მალე, თვის ბოლოდან დაიწყება. სხვათა შორის, ცნობილი მხატვრები და კურატორები, ვინც აქ გამოფენების მოწყობას გეგმავს, ხელოვნების სახელით აპირებენ გაშიშვლებას. „შიშველი“ ტურების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ნუდისტების მიერ გამოფენის დათვალიერება მკაცრი ასაკობრივი ცენზით მოხდება და თანაც, მხოლოდ ღამის საათებში. სიდნეის უყვარს შიშველი ადამიანები, ჩვენთან ბევრი ნუდისტია, — სიამაყით აცხადებს სპეცტურის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ᲐᲥᲘᲜᲓᲘᲡ ᲯᲠᲝᲤᲜᲝᲮᲘ

	პარასკევი		კვირა
	შაბათი		
თბილისი	+11	+10	+10
ქუთაისი	+15	+17	+13
ბათუმი	+16	+17	+14
სოხუმი	+14	+17	+10

	პარასკევი		კვირა
	შაბათი		
თელავი	+9	+8	+8
ფუღაური	-1	-1	-3
ბაკურიანი	0	+1	-3
მესტია	+4	+7	+2

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲒᲘᲬᲘᲠᲝᲗ. ᲞᲐᲜᲢᲐᲜᲐᲡᲐᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲓᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

1	9	5	8	2	6	7	4	3
8	4	6	3	1	7	5	2	9
7	3	2	9	5	4	6	1	8
5	6	3	1	4	2	9	8	7
9	1	8	7	3	5	2	6	4
4	2	7	6	9	8	3	5	1
3	8	1	2	6	9	4	7	5
2	7	4	5	8	3	1	9	6
6	5	9	4	7	1	8	3	2

რთული

7	5	4	1	9	8	6	2	3
2	3	1	7	6	5	9	8	4
9	8	6	2	4	3	5	1	7
1	9	8	6	3	4	2	7	5
6	7	5	9	2	1	3	4	8
4	2	3	5	8	7	1	6	9
3	1	2	4	7	9	8	5	6
8	6	7	3	5	2	4	9	1
5	4	9	8	1	6	7	3	2

საშუალო

1	3	9	7	8	5	6	4	2
8	7	2	1	6	4	9	5	3
5	6	4	3	2	9	1	8	7
6	5	8	9	7	3	4	2	1
3	4	1	8	5	2	7	6	9
2	9	7	6	4	1	8	3	5
7	2	6	5	1	8	3	9	4
9	8	5	4	3	7	2	1	6
4	1	3	2	9	6	5	7	8

ეჭვსავრცო

4	6	9	2	1	5	7	3	8
1	3	8	9	7	6	5	2	4
2	5	7	4	3	8	1	9	6
9	4	6	1	8	3	2	7	5
3	8	2	5	9	7	6	4	1
7	1	5	6	4	2	9	8	3
8	2	4	7	5	1	3	6	9
6	9	1	3	2	4	8	5	7
5	7	3	8	6	9	4	1	2

ჰოროსკოპი
19 იანვარი

ვერძი — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გექნებათ, დღეს იდეების დეფიციტს განიცდით. მოუსმინეთ ახლობლების რჩევებს, ეს ნამდვილად გამოგადგებათ. დღეს შესაძლოა, სიურპრიზიც მიიღოთ.

კურო — დღეს იმის საშიშროებაა, რომ იღუზიებსა და თქვენსავე მოგონილ ტყუილებში გაეხვიოთ, მაგრამ ამაზე არ დარს ნერვიულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ.

ტყუპები — ეცადეთ, ისე არ მოიქცეთ, რომ მერე ბოდიშის მოხდამ მოგიწიოთ. თავი შეიკავეთ ქიმიური საშუალებებისა და მექანიკური საგნების ხმარებისგან, რადგან დიდია ტრავმების ალბათობა. ფინანსებთან დაკავშირებით, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის წარმატებული დღეა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისთვის, თუმცა ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან ამ მხრივ, არასახარბიელო დღეა. დღის მეორე ნახევარი მეგობრების წრეში გაატარეთ.

ლომი — ლომებისთვის წარმატებული დღეა. არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა. სწორი გადაწყვეტილებების მისაღებადაც ეს დღეს აირჩიეთ. სადამოს გარკვეულ დროს დასვენებას თუ დაუთმობთ და უყელა საქმეს შეეშვებით, ამით არაფერი დაშავდება. ცოტა ხნით მარტოობაც სასარგებლოა.

ქალწული — ამ დღეს შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ გარშემომყოფი ადამიანების შეცვლა, არამედ ახალი საქმიანობის დაწყებაც. ეს საქმე კი ძალზე საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემთ, უკეთ გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი. მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჰარმონია პარტნიორულ ურთიერთობებში.

სასწორი — კარგი იქნება, თუ დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას საკუთარ ინტუიციას დაეურდნობით, რადგან იმ სიტუაციაში, რომელშიც აღმოჩნდებით, ძნელი იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა. თუმცა, საიმედო მოკავშირეებს იპოვნით და ამით დახმარებით მაქსიმალურ შედეგსაც მიაღწევთ.

ღრიანკალი — დღეს კარგი განწყობა და ხასიათი საქმეშიც შეგეტყობათ და რომანტიკულ ურთიერთობაზეც აისახება. მშვენიერი დღეა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის, თუმცა ნურც დასვენებაზე იტყვით უარს, მით უმეტეს, რომ დღეს საკუთარი თავის სიამოვნება და ახლობლებისთვის ფულის ხარჯვა ძალიან მოგწონთ, ჰოდა, თავს ნუ შეიზღუდავთ ამ საქმეშიც.

მშვილდოსანი — დღეს მშვილდოსნების წარუმატებლობის ხანა დასრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურებრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს. დღეს ბევრი სასიამოვნო წუთი გელით — მეგობრებთან გართობა, მომხიბლავი ადამიანის ვიზიტი და მომგებიანი ფინანსური ოპერაციები. თქვენც დატკბით ცხოვრებით და გაჭირვებულებსაც დეხმარეთ.

თხის რქა — დღეს გეჩვენებათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის წყალობით, სრულიად დაკარგეთ წონასწორობა და ორიენტაცია. დინებას მიპყვებით და ამის გამო, საკმაოდ ნერვიულობთ, თუმცა, შექმნილი სიტუაცია არც ისე რთულია, როგორც გეჩვენებათ.

მერწყული — მერწყულებმა აქტენტი ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ. ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ. იდეალური დღეა შოპინგისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. დღეს შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც დიდი ხანია არ ელაპარაკებით. პირველმა გადადგით ნაბიჯი შერიგებისკენ და ნახავთ, როგორ სულიერ სიმშვიდეს იგრძნობთ.

თევზები — ნებისყოფის მოკრებისა და მაქსიმალური შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც დღევანდელი დღე იძლევა, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. არადა, კარგი დღეა როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის. დღის მეორე ნახევარი სჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად, მეუღლო გარემოში გაატაროთ.

ბიონსე „მის მილენიუმი“ გახდა

პოპულარულმა ჟურნალმა **GQ, XXI** საუკუნის ყველაზე სექსუალური ქალების სია გამოაქვეყნა. რეიტინგის ლიდერი გახდა და, შესაბამისად, გამოცემის პირველი გვერდი დაიპყრო ცნობილმა პოპ-მომღერალმა ბიონსემ. მის გარდა, ტოპ-სიაში შევიდნენ ასევე პოპულარული მსახიობები და შოუბიზნესის წარმომადგენლები. ასე რომ, პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალებს შორის დასახელდნენ: ჯენიფერ ენისტონი, მილა კუნისი, მარისა ტომეი, ჯესიკა ალბა, ჯენიფერ ლოპესი, ჟიზელ ბუნდშენი, ნაომი უოტსი, აზალია ბენქსი, ქეით აპტონი, ქეთი ჰოლმსი, ბრიტნი სპირსი და სხვები. სიაში მოხვდა გახმაურებული ჯაშუშური სკანდალის გმირი, ამჟამად ტელეწამყვანი და მოდელი ანა ჩაპმანი, რომელსაც გამოცემამ „შიშველი რუსი მაცდუნებელი ჯაშუში“ უწოდა.

კვერცხი ათეროსკლეროზს იწვევს?

მგზავრებს მეტროში ძილს სთავაზობენ

ნიუ-იორკის მეტროში მგზავრებს პიჟამასა და ბალიშებს ურიგებენ და ვაგონში წაძინებას სთავაზობენ, სადაც სკამებს შორის საწოლებია ჩადგმული. სპეციალური გამცილებელი მზად არის, ნებისმიერ მგზავრს ცოტა ხნით თვალის მოტყუების საშუალება მისცეს. პიჟამას ჩაცმის მსურველი ჯერჯერობით არ გამოჩენილა, აი, წაძინება კი ბევრმა მოისურვა და ბალიშიც მოითხოვა. ამ უჩვეულო ჩანაფიქრის ავტორების თქმით, მათ სურდათ, დაღლილ თანამოქალაქეებს არა მხოლოდ დასვენებაში დახმარებოდნენ, არამედ მათი ღიმილი დაემსახურებინათ. ღიმილი კი, როგორც ცნობილია, საუკეთესო წამალია სტრესის დროს. სხვათა შორის, იდეის ავტორების „შემოქმედებაა“ ასევე მგზავრების გასამხიარულებელი, უკვე სახელგანთქმული აქცია „ერთი დღე მეტროში უშარვლოდ“. აქტივისტები, ნელიწადში ერთხელ, მიწისქვეშა ტრანსპორტში ბოლოკაბის ან შარვლის გარეშე, სასაცილო საცვლებით ჩადიან.

ლოთებს გარეზგვით მკურნალობენ

ციმბირში, ნარკომანიასთან ბრძოლის კლინიკის ფსიქოლოგები, ნარკოლოგიური და ალკოჰოლური დამოკიდებულების სამკურნალოდ, „ინოვაციურ“ მეთოდს იყენებენ, რომელიც მარტივი, მტკივნეული, მაგრამ საკმაოდ ეფექტურია — ისინი პაციენტებს როზგავენ. ეს ყველაფერი მხოლოდ სამკურნალო მიზნებით კეთდება, — აცხადებს კლინიკის ერთ-ერთი პროფესორი მარინა ჩუხროვა. საქმე ის არის, რომ პაციენტები, რომლებიც თავს ანებებენ ამ მავნე ჩვევებს, ენდორფინების — „ბედნიერების ჰორმონის“ ნაკლებობას განიცდიან, ნარკოტიკის ან სასმელის დეფიციტით გამოწვეულ დისკომფორტს კი გაროზგვის ტკივილი ფარავს. წკეპლის ყოველ დარტყმაზე ენით აუწერელ ტკივილს ვგრძნობ. ეს თითქოს სასჯელია იმისთვის, რაც ჩავიდინე, თუმცა როცა სეანსი სრულდება, თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, — აცხადებს კლინიკის ერთ-ერთი პაციენტი.



კანადელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ კვერცხის გული ადამიანის ჯანმრთელობას ისეთივე საფრთხეს უქმნის, როგორც თამბაქოს მოწევა. კერძოდ, კვერცხის გული არტერიების შევიწროების რისკს ზრდის, რასაც მედიცინის ენაზე ათეროსკლეროზს უწოდებენ. მკვლევარები ექსპერიმენტისას 1231 ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ. არტერიებში კოლტების საერთო რაოდენობა ულტრაბგერის მეშვეობით მოწმდებოდა, მონაწილეთა დიეტა კი მათ მიერ სპეციალური კითხვარის შევსების შემდეგ განისაზღვრა. მთლიანობაში, სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ყველა ადამიანში არტერიული კოლტების რაოდენობა 40 წლის შემდგომ იზრდება, თუმცა საშუალოზე მეტი ზრდა იმ მოხალისეებში დაფიქსირდა, ვინც ეწეოდა, ან რეგულარულად მიირთმევდა კვერცხის გულს. კვირაში სულ სამი გული საკმარისი იყო, რათა არტერიებში უფრო მეტი კოლტი წარმოქმნილიყო იმასთან შედარებით, ვინც კვირაში მხოლოდ ერთით ნაკლებ — ორ კვერცხის გულს ჭამდა. ხშირად ადამიანები შეცდომით მიიჩნევენ, რომ კვერცხი ჯანსაღი დიეტის ნაწილია. სინამდვილეში, ამ საკვებში ქოლესტერინის მაღალი დონეა, რისი მატებაც ადამიანის ორგანიზმში, გულსისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკს ზრდის, — აცხადებენ მეცნიერები.

სუდოკუ

ადვილი

1				2			4	
		6	3					
7			9	5			1	
					2		8	7
			7		5			
4	2		6					
	8			6	9			5
					3	1		
	5			7				2

სტანდარტი

1					5			
8		2		6				
5						1		7
	5		9	7				
	4	1		5		7	6	
				4	1		3	
7		6						4
				3		2		6
			2					8

რთული

7					8	6		
						9		4
					3		1	7
	9				4	2		
6			9	2	1			8
		3	5				6	
3	1		4					
8		7						
		9	8					2

ექსპერტი

	6				5		3	
		8		7				4
2					8	1		
	4	6	1		3		7	
	1		6		2	9	8	
		4	7					9
6				2		8		
	7		8				1	

დაბინძურებული ჰაერი დანაშაულს ზრდის

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები ახალი ორლეანის უნივერსიტეტიდან. მათ ატმოსფერული ჰაერის ნიმუშები გამოიკვლიეს აშშ-ს მსხვილ ქალაქებში და მოაგროვეს მონაცემები დანაშაულებათა რაოდენობისა და ტიპის შესახებ. სწავლულები მიიჩნევენ, რომ არსებობს კავშირი დაბინძურებულ ჰაერსა და დანაშაულის დონეს შორის. მკვლევარები გვიხსნიან, რომ ტყვია, რომელსაც ჭუჭყიანი ატმოსფერული ჰაერი შეიცავს, ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანების ინტელექტზე. შედეგად, ადამიანებს უმახინჯდებათ გარკვეულ ზნეობრივ ნორმებზე წარმოდგენა და ისინი პოტენციური დამნაშავეები ხდებიან.

ვადაგასული კოსმეტიკა ჯანმრთელობისთვის საშიშია

ბრიტანელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. კოსმეტიკური საშუალებები სწავლულებმა ჯანმრთელობისთვის საშიშად აღიარეს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ყოველი მეორე მანდილოსანი კოსმეტიკას მასზე მითითებულ ვადაზე გაცილებით დიდხანს ინახავს. ასეთ დროს წარმოიქმნება ბაქტერიები და ტოქსინები, რამაც შესაძლოა, ინფექცია გამოიწვიოს, იზრდება ასევე თვალის დაავადებათა განვითარების რისკი. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს თვალის ჩრდილები, რადგან უშუალო კონტაქტშია თვალის არესთან. მათ შემდეგ მოდის ტუჩის საცხი და თხევადი ტონალური კრემები. ყველაზე ხშირად, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ფერუმარილსა და პუდრს ცვლიან.

მკერდი – სარეკლამო ბილბორდი

ახალგაზრდა ჩეხმა ქალბატონმა საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ორიგინალურ ხერხს მიაგნო. მოკრძალებული თანხის გადახდის შემდეგ, მისი მკერდი ნებისმიერი მსურველისთვის სარეკლამო დაფად იქცევა. დამკვეთს მასზე სხვადასხვა სახის განცხადების განთავსება შეუძლია. გოგონა საკუთარ ვინაობას არ ამხელს, თუმცა „ბიზნესზე“ დეტალურად საუბრობს: თავიდან, განცხადება ერთ-ერთ ჩეხურ საიტზე განვათავსე, სადაც შეთავაზება სწრაფად აიტაცეს. შემდეგ კი სოციალურ ქსელებს მივმართე — აქ გამოხმაურება გაცილებით მეტი აღმოჩნდა, — აცხადებს ახალგაზრდა. მის მკერდზე ერთი განცხადების განთავსება დამკვეთს სულ რაღაც, 5 გირვანქა სტერლინგი დაუჯდება, მთლიანი „ბილბორდის“ დაკავება კი 9 გირვანქა ღირს. კლიენტები გოგონას ტექსტებს უგზავნიან, სანაცვლოდ კი „შიშველი რეკლამის“ ფოტოებს იღებენ. ზოგიერთი დამკვეთი მზადაა, რეკლამაში ორმაგი თანხა გადაიხადოს, თუკი მკერდზე განცხადების საკუთარი ხელით განთავსების შესაძლებლობა ექნება. „ბიზნესმენი“ კი აცხადებს, რომ კლიენტების სიმცირეს არც ახლა უჩივის.

მუსიკალური ამაყი ჩამოასხეს

უმაღლესი კლასის არყის მწარმოებლები ყველა ხერხით ცდილობენ პროდუქტის გალამაზებას: ამკობენ სვაროვსკის კრისტალებით, ოქროთი და ბრილიანტებით. ამ საქმეში საკუთარი წვლილი ბრაზილიელმა დიზაინერებმაც შეიტანეს. სააგენტო **Casa Rex**-ის თანამშრომლებმა **Skyy Vodka**-სთვის საკმაოდ უჩვეულო, მუსიკალური შესაფუთი ყუთი დაამზადეს. არაყი, რომელსაც კომპანია Campari Group ასხამს, ლიმიტირებული სერიით, განსაკუთრებულ შეფუთვაში გამოუშვეს — ბოთლზე ყურსასმენებია წამოცმული. დიზაინერების გათვლა ასეთი იყო: არაყი ღამის ცხოვრებასთან, კლუბებთან, მუსიკასა და ახალგაზრდობასთან ასოცირდება, ხოლო ვინც ამ დაწესებულებებში ერთობა, მაგარ სასმელსაც მიირთმევს.

კორეელ ქალებს ველოსიპედით სიარული აუკრძალეს

ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ პირველად ეს აკრძალვა 1996 წელს შემოიღო, შარშან აკრძალვა გააუქმეს, წელს კი ხელისუფლებამ გადაწყვიტა, კვლავ მკაცრად დასაჯოს სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, ვისაც ველოსიპედზე „ამხედრებულს“ დაინახავენ. თუ ადრე მათ მხოლოდ მცირე ჯარიმას — დაახლოებით 38 დოლარს ახდევინებდნენ, ახლა სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ემუქრებიან. ქალებს ველისპედზე მგზავრის რანგში დაჯდომაც ეკრძალებათ, არადა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გაჭირვების ფონზე, გადაადგილების ეს საშუალება მოსახლეობისთვის დიდი შეღავათია. კორეელ ქალებს ამ ორთვლიანი ტრანსპორტით დაჰყავთ ბავშვები, გადააქვთ პროდუქტი და ბაზარში, სავაჭროდ მიაქვთ საქონელი. აღსანიშნავია, რომ ველოსიპედების პირველი ქარხანა ქვეყანაში მხოლოდ 2005 წელს გაიხსნა.

ᲕᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ
20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲤᲐᲠᲩᲘ — ᲒᲔᲠᲫᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝᲑᲐ, ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘ ᲔᲚᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲮᲝᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲗ. ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲔᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲝᲒᲔᲠᲘᲓᲔᲑᲐᲗ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡ.

ᲙᲣᲠᲝ — ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲠᲯᲔᲑᲘ ᲒᲔᲚᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲗ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲣᲬᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲛᲐᲜᲪ ᲓᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ. ᲣᲣᲠᲐᲓᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲣᲐᲕᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ.

ᲪᲣᲪᲐᲠᲘ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲫᲔᲕᲔᲑᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ. ᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲒᲐᲣᲛᲮᲘᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲡ ᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲔᲚᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲗ. ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲔᲚᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔᲪ. ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ, ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ.

ᲚᲝᲛᲘ — ᲚᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲫᲚᲔᲒᲐᲗ ᲡᲐᲘᲛᲘᲡᲝᲓ, ᲠᲝᲛ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲑᲠᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲘᲮᲕᲘᲝᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲐᲕᲬᲧᲝᲗ. ᲜᲣ ᲛᲘᲐᲮᲡᲐᲠᲯᲐᲕᲗ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲛᲗᲔᲚ ᲗᲜᲮᲘᲡ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲘᲦᲕᲐᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲗ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲝᲜ. ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲣᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡ ᲓᲐᲒᲘᲡᲐᲮᲐᲕᲗ — ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ ᲔᲛᲐᲝᲤᲝᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ ᲔᲚᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲜᲮᲘ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲝᲗ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲚᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲜᲮᲘ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲝᲗ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲝᲗ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲑᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲗ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲘᲦᲕᲐᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲛᲔᲗ.

ᲠᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ — ᲠᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲝᲜ. ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲒᲐᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲡᲐᲮᲐᲕᲗ — ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ ᲔᲛᲐᲝᲤᲝᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲢᲣᲠᲘ — ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ ᲔᲚᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲜᲮᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲝᲗ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲝᲗ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲐ — ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲡᲐᲮᲐᲕᲗ. ᲜᲣ ᲛᲘᲐᲮᲡᲐᲠᲯᲐᲕᲗ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲛᲗᲔᲚ ᲗᲜᲮᲘᲡ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲘᲦᲕᲐᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲛᲔᲗ.

ᲚᲘᲠᲘᲐᲜᲣᲚᲘ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲛᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ. ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲝᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲗ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲝᲒᲔᲠᲘᲓᲔᲑᲐᲗ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲐᲛ ᲬᲧᲐᲠᲝᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲛᲘᲓᲘᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲒᲣᲭᲝᲜᲓᲐᲗ. ᲡᲮᲘᲐᲛᲝᲒᲠᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲝᲪᲔᲑᲗ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲣᲬᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲣᲮᲓᲔᲜᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲒᲔᲒᲝᲜᲐᲗ.

ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲥᲐ — ᲓᲦᲔᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲝᲒᲘᲬᲔᲕᲗ ᲡᲐᲣᲙᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲮᲕᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲜᲝᲢᲙᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲐ, ᲓᲐᲐᲚᲐᲒᲝᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲬᲣᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲜ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲬᲣᲬᲘᲜᲔᲗ. ᲐᲘᲣᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲐ.

ᲪᲣᲪᲐᲠᲘᲔᲑᲘ — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲫᲔᲕᲔᲑᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ. ᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲒᲐᲣᲛᲮᲘᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲡ ᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ — ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲔᲑᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲔᲚᲘᲗ: ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲭᲕᲜᲐ, ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ ᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ. ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ, ᲘᲛᲘᲓᲘ ᲘᲥᲜᲔᲗᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲪᲠᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲛᲝᲛᲧᲜᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ, ᲐᲮᲐᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲑᲗ ᲐᲜ ᲫᲕᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲗᲔᲕᲖᲘ — ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲰᲖᲓᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲥᲕᲗ. ᲣᲩᲕᲘᲡᲚᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲒᲘᲦᲘᲗᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲐᲕᲗ ᲗᲐᲛ, ᲗᲛᲮᲚᲝᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ. ᲗᲣ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲠᲐᲤᲘᲠᲔᲑᲗ, ᲒᲐᲣᲨᲘᲐᲠᲔᲗ ᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲡ ᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ.



ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

84 წლის ასაკში, რუსთაველის თეატრის მსახიობი გურამ საღარაძე 17 იანვარს, დაახლოებით 19:00 საათზე გარდაიცვალა.

„დღეს მხნედ იყო. რეზო მირცხულავას დაკრძალვაზეც გახლდათ. შემდეგ სახლში მივიდა. დივანზე წამოწვა და ასე, ჩუმად გარდაიცვალა. ამბობენ, გული გაუჩერდაო“, — აცხადებს ნანული სარაჯიშვილი.

საქართველოს სახალხო არტისტი გურამ საღარაძე 1929 წელს დაიბადა. 1951 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში. მის მიერ შესრულებული როლებია: სოსო (ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“), თესევსი, მასხარა და იულიუს კეისარი (შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „მეფე ლირი“ და „იულიუს კეისარი“) , ჰეილი (მილერის „სეილემის პროცესი“), ტიპოტესკუ (კარაჟალეს „დაკარგული ბარათი“), დურსუნი და ჭეიშვილი (ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“ და „საბრალდებო დასკვნა“), მინდია (გამსახურდიას „ხოგაის მინდია“), შე ფუ, თავადი ყაზბეგი, ეფრეიტორი, ბერი (ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ და „კავკასიური ცარცის წრე“), ტომი (ტ. უილიამსის „შუშის სამხეცე“), გიორგი ჯაფარიძე (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“), უჩა (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“) და სხვ.

2006 წლის 13 ნოემბერს, რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა გურამ საღარაძის ვარსკვლავი.

„ინტერპრესნიუსი“

„ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს მსახიობ გურამ საღარაძის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს. უფალმა დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი. ამინ!

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲨᲘ

თეირანში, ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის კულტურის ინსტიტუტთან არსებულ ხელოვნების გალერეაში, „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი მინიატურების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენის გახსნას ირანის საგარეო უწყებისა და თეირანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ეკონომიკური კოოპერაციის ორგანიზაციის კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, ასევე სტუდენტები და ხელოვნების მოყვარულები ესწრებოდნენ.

გამოფენაზე ირანელი მხატვრის, შარარე სალეჰის 12 ნამუშევარია წარმოდგენილი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ეპიზოდებს ასახავს.

გამოფენის მონაწილეებს საჩუქრად პოემის სპარსული თარგმანები გადაეცათ. სამომავლოდ, საქართველოში ირანელი მხატვრის ნამუშევრების გამოფენაა დაგეგმილი.

თავის დროზე, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის კულტურის ინსტიტუტის ინიციატივით, თანამედროვე ირანული მინიატურებისა და კალიგრაფიული მხატვრობის გამოფენა გაიმართა. გამოფენის ფარგლებში, ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის კულტურის ინსტიტუტის ჯილდო ირანელ კალიგრაფისტს ნასროლა აფჯეის, მინიატურისტ მაჯიდ მეჰრეგანს და ქართველ მხატვარს, ლევან ჭოღოშვილს გადაეცათ.

„პირველი“

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com